პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 64, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 24 თებერვალი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 46 (2089)

დღიური

- საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლად სპარსეთში დაინიშნა ამხ. კამარინი.
- დასრულდა პოლონეთ-საბჭოთა სარკინიგზო კონფერენცია.
- გერმანელ მენშევიკების კამპანია მელითონეთა გაფიცვის ჩასაშლელად.
- მონღოლეთის მთავრობის თავმჯდომარეად არჩეულია ამორი.
- მემაღაროეთა გაფიცვა ჩეხო-სლოვაკიაში გრძელდება.
- არჩევნების შედეგები იაპონიაში.
- ავღანისტანის ფადიშახი ბერლინში.

ხუთშაბათს, 1928 წლ. 1-ლ მარტს, საღამოს 6 საათზე
ა|კავ. საოლქო საკ. კომისიის შენობაში
(რუსთაველის გამზირი 24, მეორე სართული)
შ ე ს დ გ ე ბ ა:
ს.კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის
მეორე მორიგი პლენუმი
დასწრება ც. ს. კომისიის ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა
ც. ს. კომისიის თავმჯდომარე: ა. დოლიძე

სამომხმარებლო კოოპერაცია
(ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობის გამო)

25 თებერვლისათვის თბილისში მოწვეულია საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობა. კოოპერაციის ქვედა ქსელში კი უკვე ყველგან დამთავრდა გადარჩევის კამპანია, რომელიც უკანასკნელ ოთხი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ კამპანიამ ცხადყო მშრომელ მოსახლეობის კოოპერატიული აქტივობის ზრდა. ეს გამოიხატა არა მარტო იმაში, რომ საარჩევნო კრებებზე დასწრების პროცენტი მეტად მაღალი იყო (ზოგან 80—90 პროცენტს აღწევდა), არამედ, რაც უფრო საგულისხმოა, იმაში, რომ კოოპერაციის წევრები ცხოველ მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივ კოოპერატიულ ხელმძღვანელ ორგანოების მუშაობის შეფასებაში და საერთოდ კოოპერაციის საჭირბოროტო საკითხების განხილვაში. ხაზგასასმელია, რომ სოფლად ზოგან კოოპერატიულ გამგეობებს და სარევიზიო კომისიებს უნდობლობა გამოუცხადეს უმოქმედობისა, ცუდი საქმიანობისა და ამომრჩეველთა იმედების გაუმართლებლობისათვის. რაც მოწმობს, რომ მშრომელ გლეხობაში ვითარდება კრიტიკული მიდგომა საქმისადმი და ის თანდათან უფრო ეუფლება კოოპერაციას (ისე როგორც სხ. ორგანიზაციებს).

მშრომელ მასების საზოგადოებრივი თვითმოქმედებისა და შეგნების ზრდით აიხსნება ის უდავო ფაქტი, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია (რომელიც ამჟამად გვაინტერესებს) ბოლო დროს მნიშვნელოვნად განმტკიცდა. 1926—27 წ. სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითადი სავაჭრო ქსელი გაფართოვდა 22,7 პროცენტით. გაიზარდა კოოპერატივის წევრთა რიცხვი: 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის მათი რაოდენობა უდრიდა 208.201 კაცს, ხოლო 1927 წლის დასასრულისათვის მან უკვე მიაღწია 266.166-ს, — ზრდა უდრის 27,8 პროცენტს. კოოპერაციაში ამჟამად შეკავშირებულია მთელი მშრომელი მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი. საგრძნობი მიღწევები გვაქვს კოოპერაციის საშუალებათა გაძლიერების დარგშიც, მაგ., საანგარიშო წელში (1926—27) აკრეფილი იყო 75 პროცენტით მეტი საპაიო გამოსაღებნი, ვინემ წინა წელში (96.799 მან. 426959 მანეთის წინააღმდეგ). გადიდდა კოოპერაციის სავაჭრო ბრუნვაც; სოფლის ვაჭრობის 62 პროცენტი კოოპერაციის ხელში იმყოფება. მიმდინარეობდა მუშაობა კოოპერაციის სავაჭრო აპარატის გასაიაფებლად და რაციონალიზაციისათვის, რის შედეგად ჩვენ მივიღეთ საქონელზე ფასების დაკლება და ზედნადებ ხარჯების შემცირება.

მაგრამ ყველა ამ მიღწევებთან ერთად კოოპერაციას შემდეგში გაცილებით უფრო მეტი აქვს გასაკეთებელი, მას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლულოვანება ახლავს თან.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი მოსახლეობის 50 პროცენტის ჩაბმა კოოპერაციაში, რის შესახებ ზევით ვილაპარაკეთ. ჩვენი ამოცანაა მთელი მშრომელი მოსახლეობის კოოპერატიული შეკავშირება და ამ მიმართულებით უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ცეკას უკანასკნელ პლენუმის რეზოლიუციაში (სოფლად მუშაობის შესახებ) ვკითხულობთ: „პლენუმი აღნიშნავს გლეხობის არა საკმაო კოოპერატიულ შეკავშირებას, რაც აიხსნება როგორც იმით, რომ გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენებს არ მოეპოვება საშუალებები საპაიო გადასახადების შესატანად, ისე აგრეთვე კოოპერაციის ორგანიზაციულ მუშაობის სისუსტით ამ ფენების კოოპერაციის რიგებში ჩასაბმელად. კოოპერაციამ უნდა ჩააბას ეს ფენები თავის რიგებში—შესასვლელ გამოსაღების მოგების ანგარიშზე შეტანის საშუალებით. ამ დირექტივის განხორციელებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ჩვენი საქმიანობის ცენტრში უნდა იქნას მოქცეული კერძოდ ღარიბ გლეხთა მიზიდვა კოოპერაციაში ამ მხრივ საჭიროა ღარიბთა სპეციალური ფონდების გადიდება და მათი სრული და მიზანშეწონილი გამოყენება. ამ მხრივ მდგომარეობა ოდნავადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. თუმცა ეს ფონდი მნიშვნელოვანი რაოდენობითაა შეგროვილი (125.964 მან.), მაგრამ ამ თანხით კოოპერაციაში მოზიდულია მხოლოდ 12 ათასი ღარიბი გლეხი, მაშინ, როცა შეიძლებოდა 25 ათასზე მეტის შეყვანა. და ეს იმ შემთხვევაშიც, თუ საპაიო ნორმად ჩვეულებრივად მიღებულ სრულ ნორმას — 5 მანეთს ვიანგარიშებდით, მაგრამ ფაქტიურად საპაიო გამოსაღების საშუალო ნორმა შეადგენს 3 მ. 74 კ. თუ ასეთ ნორმას მივიღებთ, მაშინ ჩვენ კოოპერაციაში ხსენებული თანხით ჩავაბამდით ღარიბ გლეხთა გაცილებით მეტ რაოდენობას, ვინემ 25 ათასს. აშკარაა, რომ ღარიბთა ფონდი არ არის ჯეროვანად გამოყენებული, ის ან უმოქმედოთ ძევს ან მას სხვა დანიშნულებას ახმარებენ, რაც შეუწყნარებელია. აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც. ღარიბთა მიღება კოოპერაციაში ხშირად მექანიკურად ხდება. კოოპერატიული ორგანოები ადგენენ ღარიბთა სიებს, ისე რომ მათ კრებებს არ იწვევენ და მათ არც კი ეკითხებიან, და ასე ხდება ღარიბების ჩარიცხვა კოოპერაციაში. ასეთი წესი სისტემა არ არის, მაგრამ მას მაინც ხშირად აქვს ადგილი. ამ მოვლენას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს და უზრუნველყოფილი იქნეს ღარიბთა შეგნებული მიზიდვა კოოპერაციაში.

სრულებით არ არის საკმარისი, რომ ღარიბი გლეხები კოოპერაციის წევრები გახდენ. ამასთან საჭიროა მათი აქტიური ჩაბმა კოოპერატიულ მუშაობაში და მათი როლის გაძლიერება ხელმძღვანელ კოოპერატიულ ორგანოებში. ამ მხრივაც დეფექტები ბლომად მოგვეპოვება. საჭიროა კოოპერაციის წევრთა და მის ორგანოების სოციალურ შემადგენლობის და ნივთიერი მდგომარეობის უფრო საფუძვლიანი შესწავლა (ამაზე მიგვითითებს ცეკას პლენუმის რეზოლიუცია), და სათანადო ღონისძიებათა მიღება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ღარიბ გლეხობის და მასთან დაახლოებულ საშუალო ფენების ბატონობა კოოპერაციაში.

ამ მიზნით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელ მოსახლეობაში კოოპერატიული თვითმოქმედების შემდგომ განვითარებას და კოოპერატიულ აქტივის შექმნას. კერძოდ აუცილებელია მასების კოოპერატიულ განათლებისათვის მეტი ზრუნვის გამოჩენა და მეტი თანხების გაღება. იმ კულტურულ რევოლიუციაში, რომელიც ჩვენ ლოზუნგად გვაქვს წამოყენებული, კოოპერაციამ უეჭველად უნდა შეიტანოს თავისი წვლილი.

შემდეგ: პაიების აკრეფის საქმე, როგორც ვსთქვით, გაუმჯობესდა, მაგრამ ამ მხრივ სასურველი შედეგი მაინც არ არის მიღწეული. წევრთა საპაიო დავალიანება კოოპერაციისადმი შეადგენს მთელი საპაიო თანხების 25 პროცენტს, ე. ი. 334.000 მანეთს. „მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში მთლიანად უნდა აიკრიფოს საპაიო გამოსაღებნი უფრო შეძლებულ გლეხებისაგან",—ასეთია ცეკას პლენუმის დადგენილება, რომელიც აუცილებლად უნდა გატარდეს. ეს ერთი უმთავრესი საშუალებათაგანია, რომ კოოპერაცია საკუთარ ფეხზე დადგეს და მისი ფინანსები განმტკიცდეს.

ფინანსიური მოღონიერება კოოპერაციას საშუალებას მისცემს უფრო ფართოდ გაშალოს მუშაობა კერძო ვაჭრის განსადევნად და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის. ამისათვის კოოპერაციამ უნდა განაგრძოს მუშაობა ვაჭრობისა და აპარატის რაციონალიზაციისათვის, მომჭირნეობის დაცვისათვის, ფასების შემდგომი დაკლებისათვის და სხ.

ცეკავშირის ყრილობა ყველა ამ ამოცანის გადასაჭრელად გამოიმუშავებს საერთო და კონკრეტიულ ღონისძიებებს, რომელთა გატარებას კოოპერატიული ორგანიზაციები მასსების აქტიური მონაწილეობით და პარტიის ხელმძღვანელობით უნდა შეუდგენ ისეთი ენერგიით, როგორსაც კოოპერაციისაგან მოითხოვენ სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელი ამოცანები.

ამერიკაში ძლიერდება საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მომხრეთა გავლენა
გერმანიის პრესა პესიმისტურად აფასებს მდგომარეობას ჟენევის კონფერენციაზე
ინგლის-სპარსეთის კონფლიქტის გამწვავება.—სპარსეთის პრესა კონფლიქტის შესახებ

ამერიკა-საბჭ. კავშირის ურთიერთობა
საბჭ. კავშირის მტრები კარგავენ გავლენას

ნიუ-იორკი, 22 თებერვალი. რუსეთ-ამერიკის პალატის სხდომამ. **ფორდის განცხადებამ საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ** და სხვა მოვლენებმა, რომელნიც ამტკიცებენ იმას, რომ **იზრდება ინტერესი საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისადმი, დროებით დაჩრდილეს ჩვენთან დაახლოების მოწინააღმდეგეთა ძალები**, რომელნიც დღემდე გადამჭრელ გავლენას ახდენენ მთავრობის პოლიტიკაზე. თუ მრეწველთა ნაწილი ეძებს ახალ ბაზრებს, სამაგიეროდ მეორეს მხრივ მეფის ფასიანი ქაღალდების პატრონები და მრეწველები, რომელთაც რუსეთში, ქონდათ წარმოებები, მოითხოვენ ანაზღაურებას ჩამორთმეული ქონებისათვის და ძველი ობლიგაციების განაღდებას.

ასეთ პირობებში შეერთ. შტატების მთავრობას უხდება ერთი-მეორეს საწინააღმდეგო პოლიტიკის წარმოება: **საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის წაქეზება, ვიზების მიცემა საბჭოთა კომერციული და ტეხნიკური მისიებისათვის** და ამასთანავე უარის თქმა დე-იურედ ცნობაზე და წინააღმდეგობის გაწევა კრედიტების მიცემის საქმეში.

ეს წინააღმდეგობა ძალიან ბევრ რამეში იჩენს თავს. ასე, მაგალითად, **ადგილობრივი სავაჭრო პალატები დიდის ხალისით იწვევენ რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენელს სმიტს მოხსენებებისათვის**, ხოლო ეროვნული სავაჭრო პალატა ილაშქრებს ამ პროპაგანდის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. ასეთივე წინააღმდეგობებს აქვს ადგილი გუვერის მოქმედებაში (კანდიდატად არის დასახელებული პრეზიდენტის არჩევნებში). ზოგიერთ ცნობებში ნათქვამი იყო, რომ გუვერი ემხრობა საბჭოთა კავშირის ცნობას, სხვა ცნობების მიხედვით—იგი ამ ცნობის წინააღმდეგია. თვითონ გუვერი სდუმს, მაგრამ მის მახლობელ თანამშრომელთა ნაწილი მტრულად არის განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, ხოლო ნაწილი კი—მეგობრულად.

ბანკეტი ბანკირთა კლუბში და სხვა ამგვარი მოვლენები მოწმობს იმას, რომ იცვლება ეკონომიური სიტუაცია, მაგრამ ამ მოვლენების მნიშვნელობა არ უნდა იქნას გაზვიადებული. (ადს).

ინგლის-სპარსეთის კონფლიქტი

ღირსეული პასუხი ინგლისელ იმპერიალისტებს

თეირანი, 22 თებერვალი. გაზეთი „ხეფაკ"-ი მოწინავე წერილში,—სათაურით „სპარსეთი და ინგლისი",— აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ინგლისის ჟურნალ „ნიარ-ისტ"-ში შეთხზეს ხუზისტანის აჯანყება.

„ხუზისტანში",—სწერს გაზეთი—არავითარი აჯანყება არ ყოფილა. ეს აჯანყება არსებობდა მხოლოდ ირაკის გაზეთებში. რეიტერის სააგენტომაც თავის მხრივ არ დააყენა და მთელ ქვეყანას ამცნო მოგონილი ცნობა იმ ამბების შესახებ, რომელთაც ადგილი არ ჰქონია".

ეხება „ნიარ-ისტ"-ის გამოსვლას კაპიტულიაციის გაუქმების შესახებ სპარსეთში, „ხეფაკ"-ი სწერს:

„სპარსეთის მთავრობას არავისთვის არ უკითხავს კაპიტულიაციების გაუქმების შესახებ, მან თვით გააუქმა ისინი და თავის გადაწყვეტილებას კიდეც გაატარებს დანიშნულ ვადაზე (1928 წ. მაისში). ინგლისს საერთოდ არა აქვს კაპიტულიაციების უფლება სპარსეთში, ვინაიდან სპარსეთსა და ინგლისს შორის არავითარი შეთანხმება არაა დადებული კაპიტულიაციების შესახებ. თუ რომელიმე სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სპარსეთის სასამართლო არ იცავს მისი მოქალაქეების ინტერესებს, მაშინ მას შეუძლია მისცეს თავის მოქალაქეებს სპარსეთიდან გასვლის პასპორტი და აცნობოს თავის მთავრობას, რომ არ მისცეს თავის მოქალაქეებს სპარსეთში შესვლის პასპორტი". (ადს).

დავა ბახრეინის კუნძულების შესახებ

თეირანი, 22 თებერვალი. გაზეთი „სეტარეე ირან"-ს არაა კმაყოფილი ლოკერ ლემპსონის განცხადებით სპარსეთის მთავრობის იმ პროტესტის შესახებ, რომლითაც მან მიმართა ერთა ლიგას ბახრეინის კუნძულებზე ინგლისის პროტექტორატის საკითხის გამო და აცხადებს, რომ **სპარსეთის მთავრობამ უნდა დაიცვას თავისი უფლებები ბახრეინის კუნძულებზე, რომლებიც სპარსეთის ტერიტორიის ნაწილს შეადგენენ.**

მიღებული ცნობების მიხედვით, ბახრეინის კუნძულებზე აღმოჩენილია ნავთის წყაროები და სხვადასხვა ლითონის მადანი. ცნობებში ნათქვამია, რომ ინგლისელები ამჟამად იკვლევენ ნავთიან მიწებს.

ბახრეინის კუნძულები, რიცხვით ხუთი, მდებარეობს სპარსეთის ყურეში. ინგლისის მთავრობა ემყარება იმ გარემოებას, რომ ინგლისს 1783 წლიდან ხელშეკრულების საფუძველზე უშუალო ურთიერთობა აქვს ამ კუნძულებზე დასახლებულ ტომების შეიხებთან და მოითხოვს ინგლისის პროტექტორატის ცნობას კუნძულებზე. სპარსეთის მთავრობამ ერთა ლიგის წინაშე გააპროტესტა ინგლის-გეჯასის ხელშეკრულების მე-6 მუხლი, რომელშიაც გეჯასი ცნობს ინგლისის პროტექტორატს ბახრეინის კუნძულებზე.

უშიშროების კომისიის სესიაზე

კამათი დასრულდა

ჟენევა, 22 თებერვალი. ბელგიის, კანადის, შვეციის, ჩილის, ჰოლანდიის და არგენტინის დელეგატების გამოსვლისა და გერმანიის დელეგატის ხელმეორედ გამოსვლის შემდეგ საერთო კამათი უშიშროების კომიტეტის სესიაზე დამთავრდა. ბენეშმა წინადადება შეიტანა, რომ ხუთშაბათს დაიწყოს მოხსენებათა განხილვა, განსახილველი საკითხები დაიყოს ჯგუფებად და არჩეულ იქნეს სარედაქციო კომისია. სარედაქციო კომისია არჩეულ იქნა ისეთი შემადგენლობით, რომ საფრანგეთის თვალსაზრისის მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს საოლქო საგარანტიო ხელშეკრულებათა საკითხში, ექნება თანასწორი ხმები. (ადს).

„ბერლინერ ტაგებლატ"-ი განიარაღების კონვენციის საბჭოთა პროექტის შესახებ

ბერლინი, 22 თებერვალი. კონფერენციის საბჭოთა პროექტის შესახებ „ბერლინერ ტაგებლატ"-ი სწერს:

„ამ გეგმის ავტორებს, რა თქმა უნდა, არავითარი ილიუზიები არ ჰქონებიათ იმ ბედის შესახებ, რომელიც ამ გეგმას მოელის, როგორი უტოპიურიც არ უნდა იყოს ეს პროექტი, **მასში მაინც მოიპოვება სწორი მთავარი შეხედულება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ უშიშროება დამოკიდებულია განიარაღებაზე და რომ საჭიროა დაუყოვნებლივ განიარაღების დაწყება, თუ სურთ უშიშროების განხორციელება**, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა მთავრობა შემდეგში დასთანხმდება მიიღოს მონაწილეობა განიარაღების პროგრამის შემუშავებაში იმ ნაწილობრივი სახით, რომლის რეალური განხორციელებაც შესაძლებელია ეხლანდელ პოლიტიკურ პირობებში". (ადს).

გერმანიის პრესის პესიმიზმი

ბერლინი, 22 თებერვალი. გერმანიის პრესა პესიმისტურად აფასებს ჟენევაში გამართულ მოლაპარაკებას.

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ი სწერს:

„არ უნდა ვიქონიოთ რაიმე ილიუზიები. **გერმანია განმარტოებულია.** ეხლავე უნდა აღინიშნოს, რომ ლაპარაკი [illegible] საგარანტიო ხელშეკრულების დადებაზე. ამრიგად, გერმანიის პოლიტიკა საბოლოოდ უკავშირდება საფრანგეთის პოლიტიკას. არ უნდა დავმალოთ იმ ამოცანის სირთულე, რომელიც უნდა გადასჭრას გერმანიის დელეგაციამ ჟენევაში".

„ჰამბურგერ ნახრახტენ"-ი აღნიშნავს, რომ **დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობა დაუძლეველია.** „ჩვენთვის არ იარსებებს უშიშროება,—სწერს გაზეთი,—თუ არ განიარაღდენ სხვა სახელმწიფოები ან არ შეიარაღდა გერმანია". (ადს).

გერმანელი მენშევიკები ეშლიან მელითონეთა გაფიცვას

მენშევიკური „გამარჯვება"

ბერლინი, 22 თებერვალი. მელითონეთა კავშირის შუა-გერმანიის რაიონულ სადელეგატო კონფერენციაზე რეფორმისტულმა უმრავლესობამ გაიყვანა რეზოლიუცია, რომელიც გაფიცულ მელითონეებს მოუწოდებს მუშაობის განახლებისაკენ. კონფერენციაზე მომხსენებლად გამოვიდა გერმანიის მელითონეთა კავშირის ცეკას წარმომადგენელი, რომელიც მოითხოვდა გაფიცვის შეწყვეტას და მუშაობის განახლებას. სავალდებულოდ გამოცხადებულ სამედიატორო გადაწყვეტილებას ის „გამარჯვებად" სთვლიდა. მომხსენებელი აღნიშნავდა, რომ ეს გადაწყვეტილება ითვალისწინებს სამუშაო ხელფასის 5 ფენიგით გადიდებას ერთ საათში, იმ დროს, როცა გაფიცვის წინ გამოტანილი პირველი სამედიატორო გადაწყვეტილება სამუშაო ხელფასის მომატებას მხოლოდ 3 ფენიგით ითვალისწინებდა. (ადს).

„ფორვერტს"-ი მუშებს ატყუებს.

ბერლინი, 22 თებერვალი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო „ფორვერტს"-ი კვლავ დაჟინებით მოუწოდებს შუა-გერმანიის მელითონეებს შესწყვიტონ გაფიცვა. გაზეთი ცდილობს გაფიცულ მუშებზე გავლენა მოახდინოს იმით, რომ არწმუნებს მათ ბრძოლის განახლების აუცილებლობაში. ამასთანავე გაზეთი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მრეწველობის სხვადასხვა დარგის პატრონები ემზადებიან შეურიგებელი პოზიცია დაიკავონ სამუშაო ხელფასის საკითხში ახალი კოლექ. ხელშეკრულებების დადების დროს რომელიც მოხდება მარტში. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

იაპონელ კომუნისტის დაპატიმრება შანხაიში

შანხაი, 22 თებერვალი. იაპონიის კონსულის განკარგულებით შანხაიში დააპატიმრეს იაპონელი კომუნისტი ნაკამურა, რომელიც გაიგზავნა ნაგაზაკიში. (ადს).

რევოლიუციონური ლიტერატურა

შანხაი, 22 თებერვალი. შანხაიში დააპატიმრეს სამი სტუდენტი, რომელნიც ავრცელებდენ რევოლიუციონურ პროკლამაციებს. პოლიციამ გაჩხრიკა ამ სტუდენტების სასწავლებლის შენობა. ხანკოუში კონფისკაცია უყვეს რევოლიუციონურ ლიტერატურას დიდი რაოდენობით. „შანხაი მერკური"-ს ცნობით, პოლიცია აწარმოებს ჩხრეკას საერთაშორისო უბნის ქუჩებზე. პოლიციის განცხადების თანახმად, ჩხრეკის დროს აღმოჩნდა აფარებული რევოლიუციონური ლიტერატურა ჩინურ და ინგლისურ ენებზე. (ადს).

1.700 კაცის დასჯა კანტონში

ნიუ-იორკი, 23 თებერვალი. ამერიკის სააგენტო იუწყება, რომ კანტონის ხელისუფლების ორგანოებმა დასაჯეს 20 თებერვლამდე 1.700 კაცი, რომელნიც შეპყრობილ იქნენ კანტონის აღმოსავლეთ რაიონში კომპარტიის წევრობისათვის (ადს).

ჩრდილოელთა ოპერაციები

პეკინი, 22 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩჟილ-შანდუნის ჯარების ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი ცზია-ჩოუ, (შანდუნის პროვინციის სამხრეთ დასავლეთით, ხენან-შანდუნის საზღვრებიდან 45 კილომეტრის მანძილზე) არმიის სარდლის ცნობით, **ფინ-იუისიანის ჯარებმა უკან დახევის დროს დიდი ზარალი ნახეს.** (ადს).

გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად

პეკინი, 22 თებერვალი. ხანკოუდან მიღებული ცნობით, **კანტონის ხელისუფლებამ საუ-ბუში** (გუანდუნის პროვინციის სამხრეთ აღმოსავლეთით, ხაიფინის მაზრაში) **გაგზავნა ორი დივიზია გლეხების აჯანყების ჩასაქრობად; აჯანყებას ხელმძღვანელობენ კომუნისტები.** (ადს).

კომუნისტების მოძრაობა გუანში.

ნიუ-იორკი, 22 თებერვალი. ასოშიეტედ პრესის კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კომუნისტურმა რაზმმა 14.000 კაცის რაოდენობით, რომელიც ხუნანის პროვინციიდან ჩამოვიდა, ალყა შემოარტყა გუილინს.— გუანსის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის მემაღაროეთა გაფიცვა

პრაღა, 22 თებერვალი. მემაღაროეთა გაფიცვა ჩრდილო-დასავლეთ ბოჰემიაში გრძელდება. მოლაპარაკებამ მწარმოებლებსა და მუშათა წარმომადგენლებს შორის არავითარი შედეგები არ გამოიღო. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაფიცვის რაიონში აკრძალა ყოველგვარი კრებების მოწვევა. გაფიცული მემაღაროენი კატეგორიულად მოითხოვენ ჟანდარმერიის გაწვევას გაფიცულთა რაიონიდან.

ფალკნოფის რაიონში (ჩრდილო-დასავლეთ ბოჰემიაში) გერმანელი სოციალ-დემოკრატები აგიტაციას სწევენ, რომ გაფიცულთა რაიონში გაიგზავნოს ქვანახშირი და ავრცელებენ ყალბ ხმებს, თითქოს გაფიცვაში მონაწილეობას იღებენ მოსკოვის აგენტები".

22 თებერვალს პრაღაში გაიმართა მასიური მიტინგი, რომელიც მოაწყო პროფკავშირთა საერთაშორისო კავშირმა (პროფკავშირთა რევოლიუციონური გაერთიანება). მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც პრაღელი მუშები სოლიდარობას უცხადებენ გაფიცულ მემაღაროეებს. რეზოლიუცია ემხრობა კლასობრივ ბრძოლის გამწვავებას კაპიტალის წინააღმდეგ და კონტროლის დაწესებას რეფორმისტული პროფკავშირების იმ წარმომადგენელთა მოქმედებაზე, რომელნიც მოლაპარაკებას აწარმოებენ მწარმოებლებთან. (ადს).

პოლონეთ-საბჭოთა სარკინიგზო კონფერენცია

ვარშავა, 22 თებერვალი. პოლონეთ-საბჭოთა სარკინიგზო კონფერენციამ ვილნოში დაამთავრა თავისი მუშაობა. (ადს).

საბჭოთა ახალი სავაჭრო წარმომადგენელი სპარსეთში

მოსკოვი, 23 თებერვალი. საკავშირო სახკომსაბჭომ ამხ. **ტამარინი** დანიშნა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად სპარსეთში. (ადს).

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-2 გვერ.)

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი
კამათი ინგლისის საკითხის გარშემო

მოსკოვი, 21 თებერვალი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის 18 თებერვლის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ინგლისის საკითხის შესახებ გაკეთებულ მოხსენების გარშემო.

ამხ. კემპბელის სიტყვა

„ინგლისის კომისიის დავალებით,—განაცხადა ამხ. კემპბელმა,—მე უნდა შემოვიტანო პლენუმზე კომისიის მიერ ერთხმად მიღებული რეზოლიუცია, რომელიც შეიცავს კომისიის დასკვნებს დიდ ბრიტანეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ საჭიროა, რათა პარტია უფრო გაბედვით და მტკიცედ, ვინემ ოდესმე, გამოვიდეს ტრედ-იუნიონთა და მუშათა პარტიის ბიუროკრატიის წინააღმდეგ. ჩვენი ტაქტიკა არ ნიშნავს იმას, რომ ამჟამად შეიძლება დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ კომპარტიამ უარი სთქვას ბრძოლაზე მუშათა პარტიაში შესვლის უფლების მოსაპოვებლად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ბრძოლა ტრედ-იუნიონებში და მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანოებში შესასვლელად შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საშუალება ჩვენი კომუნისტური პოზიციის განსამარტავად. მიუხედავად ამისა, ამჟამად ეს ბრძოლა უნდა სწარმოებდეს სხვანაირად. ეხლა, ახალ პირობებში, მოთხოვნილება ტრედ-იუნიონებში და მუშათა პარტიაში მიღების შესახებ წაყენებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ კომპარტიას საშუალება მიეცეს აწარმოოს პროფკავშირებში და ორგანიზაციებში შეტევითი ბრძოლა მუშათა პარტიის ეხლანდელ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ჩვენ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით კომისიამ დაადგინა: კომპარტიამ ბრძოლის წარმოების დროს არ უნდა დაივიწყოს, რომ მას ჰყავს ორი მტერი და არა ერთი, და რომ ის ებრძვის არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ იბრძვის აგრეთვე მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელიც ამჟამად ღალატობს მუშებს".

ამხ. არნოტის სიტყვა

„ეხლანდელი მომენტი,—ამბობს ამხ. არნოტი (ინგლისი), — ხელსაყრელია იმისათვის, რომ კომპარტიამ გააძლიეროს იერიშები მუშათა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების წინააღმდეგ და თავის - თავზე აიღოს ხელმძღვანელობა პროლეტარიატის, რომლის პატივისცემა მან უკვე დაიმსახურა თავისი ბრძოლით სამთამადნო მუშების დასაცავად 1926 წელში. კომპარტიამ უნდა აწარმოოს აგრეთვე ბრძოლა მუშათა პარტიის ბელადების წინააღმდეგ მათ საკუთარ საარჩევნო ოლქებში, უნდა წამოაყენოს მათ წინააღმდეგ თავისი კომუნისტი კანდიდატები. კომპარტია ირჩევს რა ბრძოლის ახალ გზას, ამავე დროს არ უარყოფს მთლიანი ფრონტის ტაქტიკას. ის მთლიანი ფრონტის ტაქტიკას შეუთანხმებს პროლეტარიატის ბრძოლის დამოუკიდებელ ხელმძღვანელობას.

ამხ. ლარკინის სიტყვა

ამხ. ლარკინი (ირლანდია) სწორად სთვლის კომისიის მიერ დასახულ ხაზს. ახალი ტაქტიკა გამოიწვევს კონსოლიდაციას, როგორც მუშათა პარტიაში, ისე ტრედ-იუნიონებში, რაც მეორეს მხრივ კომპარტიას საშუალებას მისცემს ჩამოაშოროს მასები რეფორმისტულ პარტიას და დარაზმოს საკუთარი დროშის ქვეშ.

„ჩვენ არ გადაუხვევთ ლენინის გზას,—ამბობს ამხ. ლარკინი. ჭეშმარიტი ლენინიზმი მდგომარეობს იმაში, რომ შესცვალო თავისი ტაქტიკა წარმოშობილ დაბრკოლებებისა და შეცვლილ პირობების მიხედვით. ჩემის აზრით ლენინი, რომ იყვეს დღეს ჩვენთან პლენუმზე, ის მოიწონებდა ამ ხაზს და მხარს დაუჭერდა ჩვენ გადაწყვეტილებებს. მე ნათლად მაქვს წარმოდგენილი ის უდიდესი დაბრკოლებები, რომლებიც სდგას ჩვენი ამხანაგების წინაშე ინგლისში. პარტიის წევრთა რიცხვი არც ისე დიდია. მაგრამ თუ თვითეული პარტიის წევრი გაიმსჭვალება თავისი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით, მაშინ ის 7.000 რომლებიც ჩვენ გვყავს ამჟამად, წლის ბოლოში გადაიქცევა 70.000-ად".

ამხ. ერკოლის სიტყვა.

„ინგლისის კომპარტიამ,—განაცხადა ამხ. ერკოლიმ (იტალია),—მთელი თავისი ძალღონე უნდა მოახმაროს მასების განთავისუფლებას მუშათა პარტიის გავლენისაგან, რათა გაიყოლიოს ეს მასები და გახდეს რევოლიუციონურ გზაზე შემდგარ მასების პარტიათ. შედეგები, რომელთაც ჩვენ მივაღწიეთ ინგლისის კომისიაში კამათის დროს, უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე იმიტომ, რომ ინგლისის კომპარტიის ახალი ხაზის გამომუშავება იყო ინგლისის პარტიის ცენტრის და კომუნისტურ ინტერნაციონალის ხელმძღვანელ ცენტრის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგი. პლენუმის მუშაობის შედეგად ინგლისის კომპარტიის ცეკა მტკიცედ შემჭიდროვდა კომინტერნის ხაზის საფუძველზე. ჩვენ გვესმის თუ რა სიძნელეები სდგას ინგლისის კომპარტიის წინაშე, მაგრამ ჩვენმა ინგლისელმა ამხანაგებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ამ ბრძოლაში მათ დახმარებას გაუწევენ კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა სექციები".

ამხ. ბრაუნის სიტყვა

„მუშათა პარტიის რეფორმისტული ბელადები,—განაცხადა ამხ. ბრაუნმა—(გერმანია),—არაფერს არ მოერიდებიან, რათა ცილი დასწამონ ჩვენს პარტიას და გამოიყენონ ის განხეთქილების გამომწვევად. ჩვენს პარტიას დიდი სიძნელე გადაელობება წინ მუშათა კლასის იმ ფენებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დარწმუნებულნი ჩვენი პოლიტიკის სისწორეში. აი, რატომ არის საჭირო, რომ პარტია აბსოლიუტურად მთლიანი და შემჭიდროებული ფრონტით გამოვიდეს თავისი მტრების წინააღმდეგ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ჩვენ მოვახერხეთ, ჩვენ მივიღებთ დახმარებას ინგლისის პროლეტარიატის ფართო ფენებისაგან, იმ პროლეტარიატის, რომელმაც ამდენი გამოცდილება შეიძინა უკანასკნელ წლებში".

ამხ. გალლახერის სიტყვა

„წარმოდგენილი რეზოლიუცია—ამბობს ამხ. გალლახერი (ინგლისი)—სასარგებლო იქნება, არა მარტო თვით პარტიისათვის, არამედ ის გახდება სტიმულად აგრეთვე ყველა აქტიური მუშებისათვის, რომლებიც ამჟამად უკმაყოფილონი არიან მუშათა პარტიის ბელადებით და ტრედ-იუნიონისტულ ბიუროკრატიით. ამასთანავე ერთად ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ ძველი ტრადიციების მოსპობისაკენ, მუშათა პარტიაში სხვიანი დისციპლინის შესუსტებისაკენ, ნამდვილ, მასიურ, რევოლიუციონურ კომპარტიის შექმნისაკენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ წლის ბოლოში პარტია გახდება უფრო ძლიერი, ვინემ ის იყო ოდესმე, რომ მას ეყოლება წევრების უფრო დიდი რაოდენობა და ექნება ფართო გავლენა მასებზე.

ვიცნობ რა კომისიაში შემავალ დელეგაციების განწყობილებას და მათ დამოკიდებულებას ამ რეზოლიუციისადმი, ვსთხოვ პლენუმს ერთხმად მიიღოს ეს რეზოლიუცია, რომელიც სახავს უმნიშვნელოვანეს ამოცანებს დიდი ბრიტანეთის კომპარტიის წინაშე.

რეზოლიუცია კენჭის ყრის შემდეგ მიღებულ იქნა ერთხმად.

რეზოლიუცია ინგლისის საკითხის გარშემო

კომინტერნის აღმასკომის მეცხრე პლენუმმა 18 თებერვალს ერთხმად მიიღო რეზოლიუცია ინგლისის საკითხის გარშემო. რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ინგლისის ბურჟუაზია მომავალში აუცილებლად განაგრძობს მუშათა კლასის შევიწროვების პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკაში ინგლისის ბურჟუაზია წინანდებურად განაგრძობს ომის მზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

დიდი ბრიტანეთის გაბატონებულ კლასების პოლიტიკა ცდილობს თავისი გავლენის სფეროში მოაქციოს მუშათა ძირითადი ორგანიზაციები: მუშათა პარტია და ტრედ-იუნიონები მიუხედავად წინააღმდეგობისა მუშათა კლასის მხრივ. ამ ორგანიზაციების ბელადები ცდილობენ გადააქციონ თავიანთი ორგანიზაციები ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და მწარმოებელთა კავშირების დამხმარე აპარატებად.

იდეოლოგიურად მუშათა პარტიის და ტრედ-იუნიონების რეფორმისტული ბელადები აშკარად და ცინიკურად იცავენ „სამრეწველო მშვიდობიანობის" თვალსაზრისს, და კაპიტალიზმთან აქტიურად თანამშრომლობას რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინააღმდეგ. ორგანიზაციულად ისინი ცდილობენ ფორმალურად დამოუკიდებელი მუშათა ორგანიზაციები გადააქციონ ბურჟუაზიის დამხმარე აპარატებად, მათი ზედა ფენების ბურჟუაზიულ ორგანიზაციებში შეზრდის საშუალებით.

კაპიტალისტურ ბურჟუაზიის და რეფორმიზმის ამ კონსოლიდაციას თან სდევს ბრძოლის გამწვავება მემარჯვენე ფრთასა და რევოლიუციონურ მუშებს შორის. პროფკავშირების ბელადებს იერიშები მიაქვთ მუშათა მოძრაობის მემარცხენე ელემენტებზე და პირველ რიგში კომპარტიაზე—პროლეტარიატის ერთად-ერთ რევოლიუციონურ პარტიაზე.

ობიექტიური მდგომარეობა აღრმავებს მუშათა კლასის ფართე მასების უკმაყოფილებას, უკმაყოფილებას არა მარტო ქვეყნის საერთო მდგომარეობით, არამედ აგრეთვე მუშათა პარტიის და ტრედ-იუნიონების ოფიციალურ ხელმძღვანელთა რეფორმისტულ პოლიტიკით. არა თანაზომიერად, ხვეულებით მუშათა კლასი საერთოდ და მთლიანად განაგრძობს მოძრაობას მარცხნით. მუშათა მოძრაობის განვითარების პერსპექტივას ინგლისში ახასიათებს კლასობრივი ბრძოლის თანდათანობითი გამწვავება, რაც იწვევს რეფორმისტულ ბელადების უფრო და უფრო მეტ დაახლოებას ბურჟუაზიასთან რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება, რომ კომპარტია დაეყრდნოს მასების გამემარცხენების პროცესს და გამოვიდეს მუშათა პარტიის და პროფკავშირების ბელადების წინააღმდეგ ბრძოლის მკაფიო და მტკიცე ტაქტიკით, რათა გააძლიეროს მემარცხენე მუშების აქტივობა ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა კლასის ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამჟამად კომპარტია, რომელიც არ წარმოადგენს მუშათა პარტიის შემადგენელ ნაწილს და არ სარგებლობს არავითარი უფლებით ამ ორგანიზაციაში, ამავე დროს, ტრედ-იუნიონებსა და მუშათა პარტიის შორის არსებულ ურთიერთობისა გამო, ხშირად ხელფეხ შებორკილი რჩება მუშათა პარტიის დისციპლინით. (მაგალითად იმ შემთხვევებში, როცა იმართება ტრედ-იუნიონთა კონფერენციები, რომლებიც „მთელი ორგანიზაციულად გაერთიანებული შრომის" სახელით აყენებს კანდიდატებს პარლამენტში). საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლის დაწყება ამ დისციპლინის წინააღმდეგ, რომელიც ადუნებს მუშათა ნებისყოფას და ავიწროებს კომპარტიის თავისუფლებას.

ამჟამად არ არის მიზანშეწონილი მუშათა პარტიაში შესვლის ლოზუნგის მოხსნა, ვინაიდან მუშათა პარტია თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის გამო ჯერ კიდევ სავსებით და საბოლოოდ არ გადაქცეულა სოციალ-დემოკრატიულ პარტიათ. ამასთანავე ერთად, ბრძოლა მუშათა პარტიაში შესვლისათვის უნდა გადაიქცეს შეტევითი ბრძოლათ ამ პარტიის მოღალატურ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

საერთო-პოლიტიკურ მდგომარეობაში საჭიროა ხელმძღვანელობა იმით, რომ კომპარტიას ჰყავს მტრების არა ერთი ბანაკი, არამედ ორი ბანაკი: ერთის მხრივ, კონსერვატიული პარტია, რომელიც მთავრობის სათავეში სდგას და სოციალურად ეყრდნობა ლორდებ და მსხვილ ბურჟუაზიის მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო მეორეს მხრივ—ლიბერალების და მუშათა პარტიის და ტრედ-იუნიონთა ზედაფენების ბლოკი, რომელიც ეყრდნობა ბურჟუაზიის ნაწილს, წვრილ-ბურჟუაზიას და მუშათა არისტოკრატიას. ბრძოლა უნდა სწარმოებდეს ორივე ბანაკის წინაღმდეგ სხვადასხვა საშუალებებით.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აურიოთ ერთი - მეორეში მდგომარეობა, რომელიც იყო 1918 — 1920 წლ., როცა ლენინი აყენებდა მუშათა პარტიისათვის მხარის დაჭერის ტაქტიკას, და ეხლანდელი მდგომარეობა. 1918—20 წლებში მუშათა პარტიის მთავრობას შეეძლო ეთამაშა კერენსკის მთავრობის როლი მთელი მისი მერყეობით. არ შეიძლება მისი შედარება აგრეთვე 1922—23 წლებში არსებულ მდგომარეობასთან, როცა მუშათა პარტიის პროგრამაში შედიოდა მოთხოვნილებები, რომელთა წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდენ კაპიტალისტები. (კაპიტალის დაბეგვრა, უმუშევრობა, საბჭოთა კავშირი).

ამჟამად ე. წ. მუშათა მთავრობა თავიდანვე მუშების წინააღმდეგ შეტევის აშკარა იარაღი იქნება. მაკდონალდის მთავრობის მაგალითი, საყოველთაო გაფიცვის და სამთამადნო მუშათა გაფიცვის ჩაშლა, პოზიციის შეცვლა ომის და საბჭოთა კავშირისა და ჩინეთისადმი დამოკიდებულების საკითხში, ყველაფერი ეს მოითხოვს კომპარტიისაგან უფრო მკაფიოდ და გადაჭრით გამოვიდეს დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიის სახით და შესცვალოს თავისი პოზიცია მუშათა პარტიისა და „მუშათა მთავრობის" მიმართ, და მასთანავე, მუშათა მთავრობის ლოზუნგი შესცვალოს რევოლიუციონურ მუშათა მთავრობის ლოზუნგით.

კომპარტია არჩევნებზე გამოვა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია თავისი პლატფორმით და ლოზუნგებით. კომპარტია შეეცდება წამოაყენოს დამოუკიდებელ კომუნისტურ კანდიდატურების მაქსიმალური რიცხვი. კომპარტია ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს მუშათა პარტიიდან გამორიცხულ ორგანიზაციების კანდიდატებს, რომლებიც წამოყენებულ იქნებიან მუშათა პარტიის ოფიციალურ ორგანიზაციების „შტრეიკბრეხერულ" კანდიდატების საწინააღმდეგოდ. აუცილებლად საჭიროა კანდიდატების წამოყენება მუშათა პარტიის და გენერალურ საბჭოს ბელადების საწინააღმდეგოთ. ცენტრალური კომიტეტი დაუყონებლივ უნდა შეუდგეს ნიადაგის მომზადებას საარჩევნო ოლქებში. რამდენადაც მუშათა მასების მნიშვნელოვანი ფენები ჯერ კიდევ რეფორმისტულ ბელადებს მიჰყვებიან, აუცილებლად საჭიროა მთლიანი ფრონტის შექმნა, როგორც ნაციონალურ, ისე ადგილობრივ მასშტაბით, რათა კიდევ ერთხელ გამომჟღავნებულ იქნეს მუშათა პარტიის და პროფკავშირთა ბელადების მოქმედება, იმ ბელადების, რომლებიც ამჯობინებენ კავშირს კაპიტალისტებთან, ვინემ რევოლიუციონურ მუშებთან.

მუშათა პარტიის კანდიდატებისათვის ხმის მიცემა დანარჩენ ოლქებში კონკრეტიულად და საბოლოოდ უნდა იქნეს გადაწყვეტილი მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ჩატარებულ იქნება წინასწარი მუშაობა საკუთარ კანდიდატურების და მემარცხენე მუშათა კანდიდატურების წამოსაყენებლად. საჭიროა დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს ფართე კამპანია მასებში—ყოველდღიურ გაზეთის შესაქმნელად და ამ გაზეთისათვის საშუალებების მოსაკრებად. ბრიტანეთში მომხდარ ცვლილებათა დიდი მნიშვნელობის გამო ცეკას ახალი ტაქტიკის სათანადოდ გატარების მიზნით დიდ ბრიტანეთის კომპარტიამ უნდა ჩაატაროს ფართე დისკუსია ყველა პრობლემებისა და საკითხების გარშემო, რომლებიც დაკავშირებულია ამ ტაქტიკასთან" (ადს).

ბრძოლა ორ ფრონტზე

კომინტერნის პლენუმის რეზოლიუცია ინგლისის საკითხის შესახებ, ერთხმად მიღებული ამა თვის 18-ს, სავსებით გამოხატავს კომუნისტურ ინტერნაციონალის ძირითად ტაქტიკურ თვალსაზრისს იმ საკითხში, თუ რა ამოცანები აქვს მსოფლიო პროლეტარიატს ბრძოლაში გააფთრებულ შეტევაზე გადმოსულ კაპიტალისა და სოციალ-რეფორმიზმის წინააღმდეგ, რომელიც არ სჯერდება კაპიტალის ლაქიის როლს, არამედ ყოველმხრივ სცდილობს, რომ მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციები გადააქციოს ბურჟუაზიის აპარატად. ინგლისის საკითხის შესახებ მიღებულ რეზოლიუციის ძირითადი აზრი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ პროლეტარიატმა თავისი ტაქტიკა აუცილებლად უნდა ააშენოს ბრძოლაზე ორი ბანაკის წინააღმდეგ, ეხება არა მარტო ინგლისს არამედ იმდენადვე გერმანიას, საფრანგეთს და ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს პოზიცია გამომდინარეობს კაპიტალისტურ ქვეყნებში შექმნილ მდგომარეობის მხედველობაში მიღებიდან.

რამდენადაც მუშათა მასები სულ უფრო და უფრო ადგებიან აქტიურ ბრძოლის გზას, პროფკავშირთა რეფორმისტული ხელმძღვანელი ზედაფენები და აგრეთვე რეფორმისტული სოციალისტური ორგანიზაციები სულ უფრო და უფრო უკავშირდებიან კაპიტალისტურ ჩაგვრის აპარატებს.

ეს მდგომარეობა აშკარად და გარკვევით სჩანს ინგლისშიაც კი, სადაც არა მარტო სახელმწიფო ხელისუფლების აპარატი, არამედ მუშათა მოძრაობის აპარატიც ისეა აგებული, რომ თვალები აუხვიოს მშრომელ მასებს და დაფაროს მათგან კლასობრივ ურთიერთობათა ნამდვილი აზრი.

სწორედ მუშათა მოძრაობის თავისებურმა ორგანიზაციულმა ჩამოყალიბებამ ინგლისში შექმნა განსაკუთრებული სიძნელენი ახალ ტაქტიკურ ხაზის შემუშავების საქმეში, ისეთი ხაზის, რომელიც შეეფერებოდეს ამჟამად მიმდინარე ხანას.

ინგლისის მუშათა პარტია თავის ორგანიზაციულ სტრუქტურით დღემდი რჩება ფედერატიულ ტიპის პარტიად, რომელიც აგებულია პროფკავშირთა ბაზაზე. ფორმალურად მუშათა პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის ყველა საკითხებს სწყვეტს პროფკავშირთა 4 მილიონი წევრი, რომლებსაც თავის დელეგატების საშუალებით მუშათა პარტიის ყრილობებზე აქვთ ფორმალური საშუალება, გამოსთქვან და დაიცვან თავისი აზრები, მაგრამ აშკარაა, რომ სინამდვილეში ეს ორგანიზაციული თავისებურობა ძლიერ მცირედ იჩენს თავს მუშათა პარტიის პროგრამასა და ტაქტიკაში. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებით უკანასკნელ 14 თვის განმავლობაში მემაღაროეთა დამარცხების შემდეგ მუშათა პარტია სულ უფრო და უფრო იქცეოდა კონტინენტალური ტიპის ცენტრალიზაციაქმნილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად. კიდევ მეტი, უწევენ რა ექსპლოატაციას მუშათა კლასის ზოგიერთ ფენებში მემაღაროეთა დამარცხების შემდეგ შექმნილ დეპრესიას და ეყრდნობიან რა ზუბრების „ძლევამოსილი" მთავრობის დახმარებას, ინგლისის რეფორმისტებმა ბევრ რამეში „კლასიკური" გერმანული სოციალ-დემოკრატიაც კი უკან მოიტოვეს. მათ გაუსწრეს გერმანელ სოციალ-დემოკრატებს, როგორც პროგრამის საკითხში (სრულიად ხელის აღება არა მარტო სოციალიზმზე, არამედ კაპიტალის დაბეგვრის მოთხოვნილებაზედაც), ისე ყბადაღებულ დისციპლინის განხორციელების დარგში მუშათა პარტიის შინაურ მდგომარეობას. თვალსაჩინოდ ახასიათებს ის გარემოება, რომ ისეთი მემარცხენე მოლაყბეებიც კი, როგორიც ლენსბერი და მაქსტონია, არა თუ ემორჩილებიან მაკდონალდს ყველა პოლიტიკურ საკითხებში, არამედ თავის ვალდებულებად სთვლიან ხმა მისცენ მას პარტიის ლიდერის არჩევნების დროს, მაშინ, როდესაც სულ რაღაც ორი წლის წინად მემარცხენეები კიდევ შესაძლებლად სთვლიდნენ წამოეყენებიათ თავის კანდიდატად მაკდონალდის წინააღმდეგ იგივე ლენსბერი და გაფაციცებით ეკრიბათ ხმები მის სასარგებლოდ.

ეხლა მემარცხენეებს უკვე აღარ შეუძლიათ მისცენ თავს ასეთი ფუფუნების ნება. მათ მშვენივრათ ესმით და იციან, რომ თუმცა პროფკავშირები განაგრძობენ პოლიტიკურ ანარიცხების შეტანას და ინახავენ მუშათა პარტიის აპარატს, ფაქტიურად მთელი ძალაუფლება მუშათა პარტიის შიგნით ხელში აქვს ჩაგდებული მოხერხებულად მოწყობილ აპარატს, რომლის განკარგულებაშია გამოცდილი პოლიტიკანები ძველ ბურჟუაზიულ პარტიებიდან და რომელსაც თავის ნებასურვილისამებრ ყავს დამორჩილებული მუშათა პარტიის ყველა ორგანიზაციები. ეხლა მუშათა პარტიიდან რიცხავენ არა მარტო კომუნისტებს, არამედ ისეთ მემარცხენე ჯგუფებსაც, რომლებსაც სავსებით ითმენენ კონტინენტის ისეთი რეფორმისტული ორგანიზაციები, როგორიცაა გერმანიის სოციალ-დემოკრატია და საფრანგეთის სოციალისტური პარტია.

ჩვენ მოვიხსენიეთ მაკდონალდისათვის ხმის მიცემა, კიდევ უფრო დამახასიათებელია მუშათა პარტიის ყველა ორგანოების პოზიცია მაკდონალდის პოლიტიკის მიმართ ინდოეთის საკითხში. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ეგრედწოდებულ დამოუკიდებელ მუშათა პარტიას თავი მოჰქონდა თავისი ანტიიმპერიალისტური მისწრაფებებით. ამ პარტიის ლიდერები გაიძახოდნენ, რომ ისინი ისევ იმუშავებენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგაში, მიუხედავად მეორე ინტერნაციონალის აკრძალვისა, თითქოს ის გარემოება, რომ მაკდონალდი აშკარად შეუერთდა ბოლდუინს ინდოეთის ხალხების თავისუფლებისაკენ მისწრაფებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მშვენიერ საშუალებას აძლევს დამოუკიდებელ მუშათა პარტიას გამოვიდეს თავისი პროგრამით და ტაქტიკური ხაზით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თვით პარლამენტში დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრები სამარცხვინოდ სდუმდნენ და საშუალება მისცეს მაკდონალდს სოლიდარობა გამოეცხადებია ბოლდუინისათვის, თავისი პრესის ფურცლებზე კი ისინი კიდევაც ამტკიცებენ მაკდონალდის პოზიციის სისწორეს.

ჩვენ მოვიყვანეთ მხოლოდ ორი მაგალითი. ამ მაგალითების რიცხვი შეიძლებოდა უსაზღვროდ გაგვედიდებია. ყველა ამ მაგალითების აზრი ერთია: მუშათა პარტია ხდება კონტინენტალური ტიპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიად, რომელიც მუშათა კლასის წინააღმდეგ იყენებს ნაცად რეფორმისტულ მეთოდებს ხალხის მასების დარაგვრისა და გაბრიყვების ამ მეთოდების დამატებით, რომლებიც მან შეითვისა ინგლისის გაბატონებულ კლასებისაგან. ამ პირობებში ინგლისის კომპარტიას მოუხდა სერიოზულად მოეკიდნა ხელი ამ საკითხის გადაჭრისათვის, თუ როგორ ეწარმოებია დამოუკიდებელი ბრძოლა ორ ფრონტზე: ბოლდუინის კონსერვატიულ მთავრობის წინააღმდეგ და მაკდონალდის მუშათა პარტიის წინააღმდეგ.

პასუხი ამ კითხვაზე ნათელ და გარკვეულ ფორმით არის მოცემული კომინტერნის პლენუმის რეზოლიუციაში. ამიერიდან კომუნისტური პარტია, განაგრძობს რა გამწვავებულ ბრძოლას ზუბრების მთავრობის წინააღმდეგ, საშუალებას აღარ მისცემს მუშათა პარტიას გაასაღოს თავი ინგლისის მთელი შეკავშირებული მუშათა კლასის წარმომადგენლად. კომუნისტური პარტია აშკარად და გადაჭრით იბრძოლებს მუშათა კლასის ხელმძღვანელობისათვის და მის წარმომადგენლობისათვის კლასობრივ ბრძოლის ყველა სფეროებში, ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლებში და როგორც მუნიციპალურ, ისე საპარლამენტო საარჩევნო კამპანიებში.

ახალი ტაქტიკის გატარება მოითხოვს კომუნისტურ პარტიისაგან არა მარტო დიდ გამბედაობას და თაოსნობას, არამედ უაღრეს სიფრთხილესაც. კომუნისტური პარტია უნდა მიისწრაფოდეს იმისაკენ, რომ კლასობრივი ბრძოლის თვითეულ დარგში, თვითეულ ეტაპში ჩამოაშოროს მუშები მათ რეფორმისტულ ლიდერებს, შეაკავშიროს ისინი და უხელმძღვანელოს მათ ბრძოლაში. სწორედ ამიტომ პლენუმის რეზოლიუცია საჭიროდ სთვლის არა მარტო მთლიანი ფრონტის ტაქტიკის სისტემატიურად და მოფიქრებით გატარებას, არამედ ბრძოლის გაგრძელებასაც მუშათა პარტიაში მიღებისათვის. თავის თავად ცხადია, რომ მუშათა პარტიაში მიღებისათვის ბრძოლის ფორმებმა უნდა განიცადოს ცვლილებები და თვით ეს ბრძოლაც არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს. ინგლისის გაბატონებულ კლასების პოლიტიკა და პროფკავშირებისა და მუშათა კლასის რეფორმისტულ ხელმძღვანელ ზედაფენის პოლიტიკა სულ უფრო და უფრო აღრმავებს დიფერენციაციას მუშათა კლასის შიგნით. ბრძოლა კომუნიზმისა და რეფორმიზმის შორის სულ უფრო და უფრო მწვავე ხდება; ამასთან შეფარდებით მთლიანი ფრონტის განხორციელების ფორმები და მეთოდებიც ძლიერ უნდა შეიცვალოს. უკვე ეხლა პლენუმის რეზოლიუცია ურჩევს ინგლისის კომპარტიას, რომ ბრძოლას მუშათა პარტიაში მიღებისათვის თავდაცვითის მაგიერ მიეცეს შეტევითი ხასიათი. ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნისტური პარტია აშკარად ეტყვის პროლეტარიატს, რომ კომუნისტური პარტია მიღებული უნდა იქნეს მუშათა პარტიაში, რათა გამოდევნოს იქიდან მაკდონალდები, ტომასები, ლენსბერები და პერსელები.

ინგლისის კომუნისტური პარტიის ახალი ტაქტიკის საკითხის გადაჭრის დროს კომინტერნის პლენუმს მოუხდა სერიოზულად შეესწავლა ის საკითხი, თუ რამდენად და რა მხრივ შეიცვალა სიტუაცია 1920 წელთან შედარებით, როდესაც ინგლისის კომპარტია, ლენინის რჩევით, მოუწოდებდა მუშათა პარტიას ხელისუფლების აღებისაკენ და მხარს უჭერდა მუშათა მთავრობის ლოზუნგს. ის ცვლილებები და გარდატეხები, რომლებიც მოხდა იმ მომენტიდან, როდესაც ლენინი აყენებდა მუშათა პარტიისათვის მხარის დაჭერის ტაქტიკას, გარკვევით არის ჩამოყალიბებული პლენუმის რეზოლიუციაში. 1920 წ. დიდი რევოლიუციონური აღტყინების პირობებში მუშათა მთავრობას ინგლისში „შეეძლო ეთამაშნა კერენსკის მთავრობის როლი მთელი თავისი მერყეობით". უფრო გვიან 1922-23 წ. ბრძოლა მუშათა მთავრობისათვის დაკავშირებული იყო ინგლისის მუშათა მოძრაობის მძლავრ განვითარებასთან. 1924 წლის ბოლოს ბრძოლა მუშათა მთავრობისათვის დაკავშირებული იყო ორ საკითხთან, რომლებმაც დაამხო მაკდონალდის მთავრობა: ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და კომუნისტურ პროპაგანდის თავისუფლება (კემპბელის საქმე). ეხლა „მუშათა მთავრობა" იქნება მთავრობა იმ რეფორმისტების, რომლებმაც გასცეს საყოველთაო გაფიცვა, სამშილოდ გასწირეს მაღაროს მუშები და დაეხმარენ ბოლდუინს სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ,—რეფორმისტების, რომლებიც ეხლა ყოველდღე ეხმარებიან ზუბრებს გაუსწორდნენ ინგლისის მუშებს და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს და რომლებიც აქტიურად ეხმარებიან ინგლისის ბურჟუაზიას ომის მომზადების საქმეში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასეთი „მუშათა მთავრობის" წინააღმდეგ ინგლისის მუშათა კლასმა და მისმა ბელადმა—ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ—უნდა აწარმოოს შეურიგებელი ბრძოლა.

თავის თავად ცხადია, რომ ბრძოლა აშკარა კაპიტალისტურ ჩაგვრის მთავრობასთან უნდა სწარმოებდეს სხვა წესებით და სხვა საშუალებებით, ვიდრე ბრძოლა იმ ბურჟუაზიულ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მუშათა მთავრობას უწოდებს თავს. ამიტომ ნათელია, რომ ახალი ტაქტიკა მოასწავებს არა მარტო ბრძოლის უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას, არამედ შეიცავს უაღრესად რთულ და ძნელ ამოცანებს ინგლისის კომუნისტურ პარტიისათვის. ამ სიძნელეებს ანგარიში გაუწია როგორც ინგლისის დელეგაციამ, ისე მთელმა პლენუმმაც, რომელიც დარწმუნებულია, რომ ინგლისის კომუნისტური პარტია დასძლევს ახალ ამოცანებს.

მოხდა ისე, რომ სწორედ იმ მომენტში, როდესაც პლენუმი მსჯელობდა ინგლისის კომპარტიის ახალი ტაქტიკის შესახებ, მოვიდა ცნობა, რომ ერთის მხრივ მაკდონალდისა და ტომასის მუშათა პარტია აწყობს ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობას კომუნისტებისა და რევოლიუციონურ პროლეტარების წინააღმდეგ და მეორეს მხრივ ძლიერდება და მტკიცდება პროლეტარულ ქვედა ფენების აღშფოთება რეფორმისტების წინააღმდეგ. კლასობრივ ბრძოლის მთელი ობიექტიური მდგომარეობა ინგლისში კომინტერნის პლენუმის მიერ დასახულ ტაქტიკას ხდის არა მარტო ერთად-ერთ სასურველად არამედ ერთად-ერთ შესაძლებლადაც. შეგვიძლია ეჭვი არ შევიტანოთ იმაში, რომ კომინტერნის მიერ დასახულ ახალ ტაქტიკურ ხაზს კმაყოფილებით შეხვდებიან არა მარტო კომუნისტურ პარტიის წევრები, არამედ ქვანახშირის, საფეიქრო და ყველა სხვა სამრეწველო დარგების ათასეული მუშებიც, რომლებიც თავის ზურგზე განიცდიან მუშათა პარტიისა და გენერალურ საბჭოს ლიდერების პოლიტიკის მთელ სისაძაგლეს.

„პრავდა",

ღამის ცნობები

გაფიცვა ჩაშალეს

ბერლინი, 23 თებერვალი. რეზოლუცია გაფიცვის დამთავრების შესახებ მიღებულია სრულიად გერმანიის მელითონეთა კავშირის ჰალეში მოწვეულ კონფერენციის უმრავლესობის მიერ 4 კომუნისტის ხმის წინააღმდეგ.

ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი — აცხადებს მიმართვაში, რომელიც მუშებს მოუწოდებს შესწყვიტონ გაფიცვა, ვინაიდან „მუშათა კლასს აქვს შესაძლებლობა მომავალ არჩევნებში იზრუნოს ხმაზე, რომ უფრო ფართე ასპარეზი იქნეს თავისი მოქმედებისათვის, ვიდრე დღემდე ქონდა".

მუშები რეფორმისტების წინააღმდეგ

ბერლინი, 22 თებერვალი. ადგილობრივ მუშათა სადელეგატო კონფერენციის დიდმა უმრავლესობამ 15 ხმის წინააღმდეგ ჰალეში მიიღო რეზოლუცია, რომელიც სასტიკათ ჰკიცხავს საოლქო კონფერენციის დადგენილებას გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

რეზოლუცია აღნიშნავს, რომ საკითხი ბრძოლის შეწყვეტის, თუ გაგრძელების შესახებ შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს გაფიცულ მუშათა შორის რეფერენდუმის ჩატარებით".

შემდეგ რეზოლუცია მოითხოვს ბრძოლის გაგრძელებას გადამწყვეტი - ენერგიული ღონისძიებებით და ბრძოლის მთელ ფრონტზე გადატანით. — საჭიროა, — ნათქვამია რეზოლუციაში, — მიმართვა მოწოდებით საბჭოთა კავშირის მუშებისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ". საჭიროა 8 საათის სამუშაო დღის მოთხოვნა, საჭიროა ბოლო მოეღოს სამედიატორო სისტემის პოლიტიკას, საჭიროა დარაზმული ბრძოლა ტრესტებისა და მათი მთავრობის წინააღმდეგ. ბრძოლა უნდა გაგრძელდეს გამარჯვებამდე". (ადს).

„როტე ფანე" გამცემლების წინააღმდეგ

ბერლინი, 23 თებერვალი. „როტე ფანე" სწერს:

„სრულიად გერმანიის მელითონეთა კავშირის ხელმძღვანელები ისე ჩქარობდნენ ბრძოლის ჩაქრობას, რომ არც კი უზრუნველჰყვეს გაფიცულები საჭირო გარანტიებით — თავი დაეცვათ მოსალოდნელი რეპრესიების დროს. კომპარტია და მის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მუშათა მასის მოწინავე ნაწილი გააგრძელებენ ბრძოლას უკანასკნელ მომენტამდე. სამედიატორო სისტემა შეიძლება განადგურებული იქნეს, გაფიცვის უფლება კი შეიძლება დაცული იქნეს არა რეიხსტაგის საარჩევნო ფურცლების საშუალებით, არამედ „უკანონო" ბრძოლით სამედიატორო დადგენილებებათა სავალდებულოდ გამოცხადების წინააღმდეგ".

ქაღალდის მრეწველობის მუშათა გაფიცვა

სტოკჰოლმი, 23 თებერვალი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება: — „ახალი ცდა — მხარეების შერიგებით მოეგვარებიათ კონფლიქტი ცელულოზის მრეწველობაში, მარცხით დამთავრდა. ამის გამო შვეციის მრეწველთა კავშირმა დაადგინა გამოაცხადოს ლოკაუტი ქაღალდის ფაბრიკაში, სადაც 13 ათასი მუშა მუშაობს. ამგვარად იმ მუშათა საერთო რაოდენობა, რომელნიც ჩაბმულნი არიან კონფლიქტში სატყეო, სამთამადნო, ცელულოზის და ქაღალდის მრეწველობათა დარგებში, აღწევს 55 ათასს კაცს. ლოკაუტი ქაღალდის ფაბრიკაში დაიწყება 5 მარტს და გაგრძელდება მანამდე, ვიდრე მოგვარებული არ იქნება კონფლიქტი ცელულოზის მრეწველობაში.

ბურჟუაზია ნერვიულობს

ლონდონი, 23 თებერვალი. „დეილი ექსპრეს"-ს ჟენევის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ლორდ კუშენდენმა მასთან საუბარში განაცხადა შემდეგი: „მე ვფიქრობ, რომ საჭიროა სერიოზულად და როგორც ჯერ არს განხილული იქნეს თუ როგორი ღირსებანი არიან რუსეთის წინადადებები და არა ამ წინადადებების ხელაღებით უარყოფა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ისინი მოსკოვიდან გამოდიან, როცა რუსეთის პროექტი განხილვის საგნად გახდება, რაც მარტში უნდა მოხდეს, მე განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდები ამ წინადადებებს".

გაზეთის მოწინავე წერილში ნათქვამია, რომ განიარაღება უნდა განხორციელდეს თანდათანობით, ხოლო საბჭოთა კავშირი ამასობაში შევა ისტორიაში, როგორც სახელმწიფო, რომელმაც ჩაშალა ერთა ლიგის მიერ მოწვეული განიარაღების კონფერენცია — წინადადებით — განვიარაღდეთო. (ადს).

ამიერ - კავკასიელების დაჯილდოება წითელი დროშის ორდენით

მოსკოვი, 23 თებერვალი. იმ პირთა სიაში, რომელნიც დაჯილდოვებული არიან წითელი არმიის ათი წლის თავისათვის, წითელი დროშის ორდენით, აღნიშნული არიან სომხეთის მშრომელთა დივიზიის უფროსი მელიქ-შახნაზაროვი და მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყების ორგანიზატორი ამხ. ალნიაშვილი (ადს).

ამხ. რიკოვის სიტყვა

მელითონეთა ყრილობაზე

23 თებერვალი. მელითონეთა ყრილობაზე გამოვიდა ამხ. რიკოვი.

ამხ. რიკოვმა აღნიშნა, რომ ლითონის მრეწველობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობაში და დაწვრილებით შეეხო სამეურნეო მშენებლობის საკითხებს და ნაკლოვანებებს.

მრეწველობის საშუალებანი მიმდინარე წელს გაიზრდება 1,2 მილიარდი მანეთით. მიმდინარე წელს ახალ სარემონტო სამუშაოებზე, გარდა მუდმივ მომუშავეთა, იმუშავებს 1,2 მილიონი, კაცი, მაშინ როცა წარსულ წელს ახალ სამუშაოებზე და სარემონტო სამუშაოებზე მუშაობდა ერთი მილიონი სააღმშენებლო დარგის მუშა. ტრანსპორტის განახლებაზე და აღდგენაზე ჩვენ მიმდინარე წელს დავხარჯავთ ნახევარ მილიარდ მანეთს. მიუხედავად ამისა, ამ თანხის დახარჯვით ჩვენ ვერ მივაღწევთ იმ შედეგებს, რომლებიც უნდა მიგვეღო და შეგვეძლო მიგვეღო. ამჟამად საკითხი მდგომარეობს არა იმაში, რომ გავადიდოთ დასახარჯი საშუალებები, არამედ იმაში, რომ ვისწავლოთ ამ ხარჯების რაც შეიძლება მიზანშეწონილად გამოყენება. ჩვენი კაპიტალისტური აღმშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლოვანება აქამდის მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ ვიცით რა ეღირება ის.

საყვედურები ფინანსების დაგვიანებით მოწოდების შესახებ, ხშირად წარმოსდგება იქიდან, რომ სამუშაოთა ღირებულება ხშირად გაცილებით უფრო ძვირია, ვინემ ეს ნავარაუდევი იყო ხარჯთ - აღრიცხვებით, ხოლო თავისუფალი საშუალებები ამ გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად სახელმწიფოს არ მოეპოვება.

მეორე ნაკლი კაპიტალურ სამუშაოებში — არის ის, რომ ეს სამუშაოები არ არის საკმაოდ ეფექტიური. ამის მთავარი მიზეზი მდგომარეობს ჩვენს ტეხნიკურ ჩამორჩენილობაში.

ჩვენი კაპიტალისტური აღმშენებლობის სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა გამო, და იმის გამო, რომ ახალი წარმოებები და ახალი მოწყობილობა მეტად დაგვიანებით იწყებს მუშაობას, ხშირად საჭირო ხდება მთელი რიგ წლიური და ხუთწლიანი გეგმების გადათვალიერება და შეცვლა.

კაპიტალური აღმშენებლობის საკითხებს საჭიროა მივაქციოთ მაქსიმალური ყურადღება, რათა დახარჯულ თანხებიდან მივიღოთ მაქსიმალური შედეგები. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს სავსებით შესაძლოა. აქ საჭიროა ენერგიული ზომები.

შემდეგ, ამხ. რიკოვი ჩერდება სამუშაო ხელფასის საკითხებზე.

რას მიიღებს მუშა სამუშაო ხელფასის გადიდებისაგან? პირველ რიგში, მისი საბინაო გაჭირვების შენელებას, მისი კვების და ჩაცმა-დახურვის გაუმჯობესებას, მის კულტურულ მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებას. ამისთვის საჭიროა არა მარტო ხელფასის გადიდება, არამედ ამავე დროს ფეხსაცმელების, ტანსაცმლის, საკვები პროდუქტების, ერბოს, კვერცხის დამზადების გადიდება, ბინების აგება. მხოლოდ ამ შემთხვევაში მუშათა სამუშაო ხელფასის ფულადი გადიდება სამუშაო ხელფასის ნამდვილი რეალური გადიდება იქნება.

თუ შევადარებთ მუშათა მოხმარებას 1926 წელში იმასთან, თუ რას უდრიდა მუშის მოხმარება 1911 წელში, დავინახავთ, რომ ჭვავის ფქვილის მოხმარება თვითეულ სულზე უდრის 95 პროცენტს, ე. ი. შემცირდა 5 პროცენტით ომის წინა დროსთან შედარებით, ხორბლის ფქვილის მოხმარება — 164 პროც. ე. ი. გაიზარდა 64 პროც.-ით., თევზის მოხმარება ომის წინა დროსთან შედარებით შემცირდა 86 პროც.-ით, ხორცის მოხმარება გაიზარდა ერთნახევარჯერ, საჭმელის ზეთის მოხმარება შემცირდა 8 პროცენტით, კარაქის მოხმარება გაიზარდა 42 პროც., შაქრის და კანფეტების — 25 პროცენტით. ტანსაცმლის, თეთრეულის და ფეხსაცმლის მოხმარება გაიზარდა 15 პროცენტით.

აქედან ჩანს, რომ მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება დაკავშირებულია სათანადო ზრდასთან და ცვლილებებთან საბჭოთა კავშირის მთელს მეურნეობაში, ხოლო საკვები პროდუქტების მხრივ უშუალოდ დაკავშირებულია სასოფლო მეურნეობის განვითარებასთან. ამ ბოლო დროს გაჩნდა დაბრკოლებები სასოფლო - სამეურნეო საქონლის ბაზარზე, განსაკუთრებით დიდ ცენტრებში. ზოგიერთი ამ დაბრკოლებათაგანი, ეჭვს გარეშეა, გამომდინარეობს, იმ მთელ რიგ შეცდომებიდან, რომლებიც ჩვენ დავუშვით დამზადების კამპანიაში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე საქმის მეორე მხარე. წარსული წლის დამზადების კამპანიის დამთავრების შემდეგ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მსხვილ ცენტრებისათვის მისაწოდებლად მოამზადა ერბოს და კვერცხის ისეთი რაოდენობა, რომელიც მისი აზრით უზრუნველყოფდა ამ პროდუქტებით ქალაქს. თავის გამოანგარიშებაში ის ხელმძღვანელობდა წარსული წლის მოხმარების რაოდენობით.

ეხლა კი გამოირკვა, რომ ქალაქის მიერ, კერძოთ მუშათა კლასის მიერ ამ პროდუქტების მოხმარება იზრდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვინემ ეს გათვალისწინებული იყო. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ განუწყვეტელი მსვლელობა სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ დამოუკიდებლად მთელი სახალხო მეურნეობის ზრდისაგან იქნებოდა დიდი შეცდომა. სოციალისტური აღმშენებლობის პროცესში ჩვენ ვცდილობთ მთელი მეურნეობა შევუფარდოთ იმას, რომ მუშათა კლასის ელემენტალური კანონიერი მოთხოვნილებანი მთლიანად იქნეს დაკმაყოფილებული, შეძლებისდაგვარად, მოკლე ხნის განმავლობაში. მაგრამ ეს შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ მთელი ჩვენი მეურნეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გზით.

შემდეგ ამხ. რიკოვი აღნიშნავს, მუშების საჩივარს იმის შესახებ, რომ ქალაქები დაცარიელებულია სამრეწველო საქონლისაგან და რომ მუშათა კოოპერაციას ხშირად არ მოეპოვება უაღრესად საჭირო საგნები. ამ სიძნელეების მიზეზი ისეთივეა, როგორიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმართ, მაგრამ მეორე მხრიდან; მთავრობა იძულებული იყო პურის დამზადების მსვლელობის უზრუნველსაყოფად ქალაქებისათვის და მუშათა ახალშენებისათვის პურის დაუბრკოლებლივ მისაწოდებლად დროებით შეემცირებინა სამრეწველო საქონლის მიწოდება ქალაქებისთვის. ეს ღონისძიება სავსებით გამართლდა და მიმდინარე წელს ჩვენში ადგილი აღარ ექნება დაბრკოლებებს მუშებისათვის და ქალაქის მოსახლეობისათვის პურის მიწოდების საქმეში.

გაზაფხულის დაწყებიდანვე ქალაქებისათვის და მუშათა კოოპერატივებისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდება გადიდებული უნდა იქნეს მაქსიმალურ შესაძლო ფარგლებში.

მიუხედავად მრავალ ნაკლოვანებათა, რომელნიც ჩვენ უნდა გამოვასწოროთ ყოველწლიურად, ჩვენ ვიძლევით ისეთი ზრდის მაგალითს და ისეთ პირობებში, რომელიც ქვეყანას აქამდე არ ახსოვს. უნდა ვიფიქროთ, რომ მახლობელი ერთი ან ორი წელი ვერ შეამსუბუქებს იმ მდგომარეობას, რომელსაც ჩვენ ამჟამად განვიცდით. ეს აიხსნება იმით, რომ ხარჯები, რომლებიც ჩვენ გავიღეთ წარსულ წელს და რომლებსაც ვხარჯავთ მიმდინარე წელს, შედეგებს მოგვცემს, მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ, როცა ახალი სამუშაოები დამთავრდება. ჯერ-ჯერობით კი ჩვენ ვხარჯავთ მილიარდებს და ამისგან არ ვღებულობთ უშუალო შედეგებს ბაზარზე სამრეწველო საქონლის სათანადო ზრდის მხრივ. კაპიტალურ სააღმშენებლო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი, გადადის რა მოსახლეობის ხელში სამუშაო ხელფასის სახით, ადიდებს მის სყიდვით უნარს, ადიდებს აგრეთვე მოთხოვნილებას პირადი მოხმარების, ყოველგვარ საქონელზე. სწორედ ამიტომ, საჭიროა მუშაობის გაუმჯობესება, მუშაობის ტემპის თანდათანობით დაჩქარება, მძიმე ინდუსტრიის განვითარების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვებას.

ყრილობა მქუხარე ტაშით და ოვაციით აცილებს ამხ. რიკოვს. ყველანი ფეხზე დგებიან. ისმის „ურა". (ადს).

პოლონელ პანების ქველმოქმედება

ვარშავა, 22 თებერვალი. ოფიციოზი „ეპოკა" იუწყება, რომ ვარშავაში მოეწყო „ქართული ემიგრაციის დამხმარე კომიტეტი", რომელსაც თავმჯდომარეობს ლედნიცკი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ მოგილევის ყოფილი არქიეპისკოპოსი როპი, ვარშავის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იავორსკი, მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი ლაურისევიჩი, პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პეპესოველების) ბელადები ნეძიაკოვსკი, პოტოცკი, თანუში და რაჭვილი და პოლონეთის სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი.

„ქართველ პატრიოტებს, — სწერს ოფიციოზი, — რომელნიც რუსეთში არსებული მდგომარეობის გამო იძულებულნი არიან სამშობლოს გარეთ ეძებონ თავშესაფარი, ყოველთვის, სიმპატიით ხვდებოდნენ პოლონეთის საზოგადოებრივი წრეები". დამხმარე კომიტეტი აცხადებს, რომ იგი „მადლობით მიიღებს შემოწირულებებს კომიტეტის მიზნებისათვის". (ადს).

წითელი არმიის ათი წლის თავი

ერთად ერთი მსოფლიოში

„თუ მყვლეფელნი, — სწერდა ლენინი კაუცკის წინააღმდეგ, — განადგურებული არიან მხოლოდ ერთ ქვეყანაში, — ეს, რასაკვირველია, ტიპიური შემთხვევაა, ვინაიდან ერთდროული რევოლუცია მთელ რიგ ქვეყნებში იშვიათი გამონაკლისია, — ისინი მაინც უფრო ძლიერი არიან გაყვლეფილებზე, ვინაიდან დიდია მყვლეფელთა საერთაშორისო კავშირი. კაპიტალიზმის გადასვლა კომუნიზმში მთელ ისტორიულ ეპოქას წარმოადგენს. სანამ ეს ეპოქა ჯერ არ დამთავრებულა, ექსპლოატატორებს კიდევ აქვთ თავიანთ ბატონობის რესტავრაციის იმედი და ეს იმედი იქცევა რესტავრაციის ცდად".

საბჭოთა კავშირმა არა ერთხელ განაცხადა მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ იგი მისწრაფის მშვიდობიანობისაკენ, რომ მას არ სურს ომი, რომ საბჭოთა წყობილებაზე გადასვლა ნაკარნახევი იყო ბრძოლით, რომ დაგვეძლია იმპერიალიზმი, რომელიც აუცილებელს ხდის ომს.

სწორედ იმიტომ, რომ საერთაშორისო რევოლუციამ ჯერ კიდევ არ გაიმარჯვა, სწორედ იმიტომ, რომ ისტორიულმა ეპოქამ — კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლამ, — გადაშალა თავისი მატიანის მხოლოდ პირველი ფურცლები, სწორედ იმიტომ, რომ სანამ ეს ეპოქა არ დამთავრებულა, ექსპლოატატორებს აქვთ თავისი ბატონობის რესტავრაციის იმედი და ეს იმედი „იქცევა რესტავრაციის ცდად", — სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირმა ყოველგვარი საშუალებით უნდა განამტკიცოს თავისი სამხედრო ძლიერება.

წითელი არმია არის მსოფლიოში ერთად ერთი პროლეტარული დიქტატურის არმია; წითელი არმია თავისი ხასიათით, ისტორიული როლით და სოციალური მნიშვნელობით არის იმპერიალისტური სახელმწიფოების არმიის ანტიპოდი; წითელი არმია არის ერთად ერთი არმია, რომელიც იბრძვის საზოგადოებრივი სისტემის გამარჯვებისათვის, იმ სისტემის, რომელიც მოსპობს თვით ომის შესაძლებლობას.

თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოების არმია საგარეო ფრონტებზე ბრძოლის დროს და ქვეყნის შიგნით „სამოქალაქო წესრიგის" დამყარების დროს მოწოდებულია დაიცვას თავისი იმპერიალიზმის ინტერესები; ყოველი თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოს არმია მოწოდებულია იბრძოლოს ექსპლოატატორული წყობილებისათვის ნიადაგის განსამტკიცებლად, პროლეტარული და არა-პროლეტარული მშრომელი მასების დამმონებელი წყობილებისათვის ნიადაგის გასამაგრებლად. მხოლოდ პროლეტარული დიქტატურის არმია აღიზარდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, მხოლოდ იგი ამტკიცებს თავის ძალებს ინტერნაციონალიზმის გამარჯვებისათვის, მხოლოდ მას ასულდგმულებს საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესები და მთელი მსოფლიოს გაყვლეფილთა ინტერესები.

ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, ეს შეეხება როგორც ჩვენი წითელი არმიის ობიექტიურ როლს, ისე საბჭოთა კავშირის წითელ არმიის კლასობრივ თვითშეგნებას.

ლენინი საზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ „ჩვენ შევქმენით არმია, რომელმაც პირველად ისტორიაში იცის, თუ რისთვის იბრძვის იგი"-ო.

თუ ეს მართალი იყო წითელი არმიის არსებობის პირველი წლებისათვის, ეს ათასჯერ მართალია წითელი არმიის ათი წლის თავზე როცა განმტკიცდა კომუნისტური პარტია, გაძლიერდა მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი პროლეტარული დიქტატურა და ორგანიზაციულად და იდეურად გაიზარდა საბჭოთა კავშირის წითელ მებრძოლთა არმია.

სწორედ ამიტომ წითელი არმია იწვევს მთელი მსოფლიოს მშრომელთა სიმპატიას, სწორედ ამიტომ ყველა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მასების კომუნისტური ავანგარდები მოუწოდებენ მშრომელთ გადავიდნენ წითელ არმიის მხარეზე, როცა ისინი საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში გაწვეულ იქნებიან, ვინაიდან წითელი არმია იცავს მთელი მსოფლიოს გაყვლეფილთა ინტერესებს.

წითელ არმიას აღმართული აქვს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა. წითელი არმიის დროშებზე აღბეჭდილია მარქსის და ლენინის დიადი ლოზუნგები. წითელი არმია — რევოლუციონური ჩირაღდანია მთელი მსოფლიოს გაყვლეფილთა და ჩაგრულთათვის. ამაშია მისი ძალა.

წითელ არმიას მტკიცე ბაზა აქვს საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა მასებში, იგი პროლეტარიატის და ჩვენი ქვეყნის ღარიბ-საშუალო გლეხობის ღვიძლი შვილია, მის [illegible] წითელ არმიაში მყოფი მუშები და გლეხები იღებენ პოლიტიკურ გამობრძმედას და კულტურულ ძალას სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის. წითელი არმია არის პროლეტარული დიქტატურისა და საბჭოთა მუშურ - გლეხური საზოგადოებრიობის ზრუნვის საგანი, მუშურ - გლეხური მასების ზრუნვის საგანი.

წითელი არმიის ძალა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება იმიტომ, რომ ჩვენი მტრების — იმპერიალისტების ზურგში, მშრომელთა რიგებში, იმპერიალისტური არმიების მომავალ ჯარისკაცებში, იზრდება და მტკიცდება სოლიდარობის გრძნობა საბჭოთა პროლეტარიატისადმი და სიმპატიის გრძნობა საბჭოთა კავშირისადმი, იზრდება რწმენა იმისა, რომ წითელი არმია არის ერთად ერთი არმია მსოფლიოში, რომელიც იცავს ყველა ქვეყნის გაყვლეფილთა ინტერესებს. წითელი არმია იცავს საბჭოთა კავშირს. იგი არ სცდილობს ახალი მიწა - წყალის დაპყრობას და ერების დამონებას, იგი სდგას სოციალისტური მშენებლობის სადარაჯოზე, იგი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მშრომელთ იბრძოლონ იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ.

როცა წითელი არმიის ათი წლის თავზე საბჭოთა კავშირის ქალაქებში და სოფლებში გაივლიან ჩვენი წითელი მებრძოლების მწყობრი რიგები, როცა მუშები და გლეხები პატივისცემით აღნიშნავენ პროლეტარული დიქტატურის დამცველის ათი წლის თავს, — მსოფლიოს ყოველ კუთხეში, სადაც ოფლის სუნი ტრიალებს, გაისმის მისასალმებელი სიტყვები იმ ერთად - ერთი არმიისადმი, რომელიც არ იწამლება იმპერიალისტური პატრიოტიზმის შხამით, არ ემზადება კაპიტალის ინტერესების დასაცავად, არამედ გამსჭვალული არის ყველა ქვეყნის მშრომელებთან შეურყეველი კლასობრივი კავშირის გრძნობით. წითელი არმია ათი წლის განმავლობაში ემსახურებოდა პროლეტარული რევოლუციის საქმეს საბჭოთა კავშირში და ამით საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის საქმეს.

იმპერიალისტების იმედი თავისი ბატონობის რესტავრაციისადმი სულ უფრო და უფრო იჩენს ტენდენციას იმისა, რომ ეს იმედი „გადაიქცეს რესტავრაციის ცდად".

ეს ცდები მით უფრო უნაყოფო დარჩება, რაც უფრო მჭიდრო იქნება საბჭოთა პროლეტარიატის კავშირი ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან, რაც უფრო მეტად განმტკიცდება საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის იდეა, პროლეტარული, კომუნისტური ინტერნაციონალის იდეა.

საერთაშორისო პროლეტარიატი კაპიტალის შეტევას უპასუხებს თავისი რიგების შემჭიდროებით და თავისი რევოლუციონური აქტიობის გამოცოცხლებით, იზრდება რევოლუციონური მოძრაობა კოლონიალურ ქვეყნებში. რაც უფრო მძლავრი და ინტენსიური იქნება საერთაშორისო რევოლუციონური მოძრაობის ზრდის პროცესი, მით უფრო მტკიცე გახდება საბჭოთა კავშირი, მით უფრო ძლიერად იგრძნობს თავს საბჭოთა კავშირის დამცველი — წითელი არმია.

პროლეტარული დიქტატურის არმიის ათი წლის თავზე საბჭოთა კავშირის წითელი მებრძოლნი ესალმებიან ყველა ქვეყნის რევოლუციონურ მუშებსა და გლეხებს, რომელნიც აღსდგენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ესალმებიან კოლონიალურ ქვეყნებს.

ყველა ქვეყნის ჩაგრული და გაყვლეფილნი, რომელნიც დგანან რევოლუციის დროშის ქვეშ, ამ დღეს სულით და გულით იდეურად ჩვენს მებრძოლებთან — წითელ არმიელებთან იქნებიან.. სწორედ ის გარემოება, რომ ასეთი იდეური კავშირი არსებობს წითელი არმიასა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა შორის, არის კომუნიზმის გამარჯვების საწინდარი.

„პრავდა", 23 თებერვალი.

რას ამბობენ წითელი არმიის შესახებ საზღვარგარეთ

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის განმავლობაში უცხოელთა აზრმა წითელი არმიის შესახებ დიდი ევოლუცია განიცადა. პირველად თავისი აზრი უცხოეთის სამხედრო სპეციალისტებმა, — მარშალ ფოშის სახით, — გამოსთქვეს 1918 წელში, როცა მათ, გერმანიასთან ომის დამთავრების შემდეგ, მოუხდათ გადაეჭრა საკითხი, თუ როგორ უნდა მოეღოს ბოლო ბოლშევიზმის საფრთხეს რუსეთში და როგორ უნდა დაუბრუნდეს კაპიტალისტებს რეკვიზიციით ჩამორთმეული ფაბრიკები.

1918 წლის ბოლოში ფოშმა ამნაირად დაახასიათა წითელი არმია:

— წითელი არმია წარმოადგენს ყაჩაღების ბანდას, რომლის გაფანტვა ადვილად შეიძლება არამც თუ ტყვიამფრქვევლებით, არამედ უბრალო ჯოხებითაც».

ეყრდნობოდენ რა ასეთ შეფასებას, საფრანგეთმა, ინგლისმა და ზოგიერთმა სხვა სახელმწიფოებმა საბჭოთა რუსეთში გაგზავნეს დამსჯელი ექსპედიცია, რომელიც ათი დივიზიისაგან შესდგებოდა.

როგორ განსაცვიფრებლად მეორდება ისტორია! ასი წლის წინად ასეთსავე საკითხს საფრანგეთის რევოლუციის ჩაქრობის შესახებ სწყვეტდნენ გერმანიის და ავსტრიის სამხედრო სპეციალისტები. მაშინ გადაჭრით აცხადებდნენ, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის არმია წარმოადგენს ამბოხებულ მეჩექმეების და მეფურნეების ბანდას, რომ მათი განადგურება ადვილი საქმეა, პარიზის წინააღმდეგ ლაშქრობა კი — „გასართობი სეირნობა" იქნება. მაგრამ პირველმავე სერიოზულმა დამარცხებამ ვალმისთან 1792 წელს აიძულა პრუსიის გენერლები შეეცვალათ თავისი თვალსაზრისი საფრანგეთის არმიის შესახებ და გადასულიყვნენ სერიოზულ ომზე.

დაახლოებით იგივე მოხდა 1918-19 წლებში. ანტანტის მიერ მოსკოვში „გასასეირნებლად" გაგზავნილი დამსჯელი ექსპედიცია არამც თუ ვერ მოხვდა მოსკოვში, არამედ იძულებული გახდა შერცხვენილი დაბრუნებულიყო უკან. ცუდათ შეიარაღებული და არა საკმაოდ გაწვრთნილი წითელი არმია 1918-19 წლებში წარმოადგენდა უდიდეს ძალას, და ფოშის აზრი მის შესახებ სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდა.

მარტო ფოში როდი ფიქრობდა ამგვარად. ასეთსავე თვალსაზრისს იზიარებდა გერმანიის ცნობილი გენერალი ჰოფმანი, რომელიც, როგორც აღმოსავლეთის ფრონტის შტაბის უფროსი, მონაწილეობას იღებდა ბრესტის საზავო მოლაპარაკებაში და, ამიტომ თავის თავს სთვლიდა რუსეთის საკითხის მცოდნეთ საერთოდ, და წითელი არმიისა კერძოთ. ისიც აცხადებდა, რომ სამხედრო თვალსაზრისით წითელი არმია არ წარმოადგენს სერიოზულ ძალას. თუ გერმანიას ნებას მისცემენ შეადგინოს ორასი ათას კაციანი არმია, რომელიც მოწყობილი იქნება სამხედრო ხელოვნების ყველა წესების მიხედვით, მაშინ, ჰოფმანი, ერთი დაკვრით ბოლოს მოუღებს წითელ არმიას. აი როგორი აზრის იყო გენერალი ჰოფმანი.

მაგრამ, საფრანგეთის ავტორიტეტებმა, პირველი ცდის სამარცხვინოთ დამთავრების შემდეგ, აღარ მოისურვეს მეორე ცდის მოხდენა. ისინი კარგათ ხედავდნენ, რომ იმ დროის ტეხნიკურ, სამხედრო თვალსაზრისით, წითელი არმია მეტად მცირე ძალას წარმოადგენდა (როგორც იყო სინამდვილეში), — და თვითეულ ბრძოლაში ინგლისის და საფრანგეთის ჯარებს გამარჯვების ყველა შანსები ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ომის ახალი იარაღი, რომელიც ასე წარმატებით გამოიყენეს ინგლისელებმა და ფრანგებმა გერმანიის წინააღმდეგ, სახელდობრ აგიტაცია და პროპაგანდა, — წითელი არმიისა და მისი პოლიტიკური აპარატის ხელში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ძალათ გადაიქცა, ვინაიდან მან გამოიყენა ბურჟუაზიულ საზოგადოების კლასობრივი წინააღმდეგობანი და მიიტანა იერიშები ამ მიმართულებით. სწორეთ ამ იარაღმა მისცა გამარჯვება საბჭოთა რუსეთს ანტანტასთან ბრძოლაში, მიუხედავათ მთელი იმ ტეხნიკისა, რომელიც იყო ინგლის-საფრანგეთის საექსპედიციო ჯარების განკარგულებაში.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ინგლისელები და ფრანგები შემდეგ აზრს გამოსთქვამდნენ წითელი არმიის შესახებ: — სამხედრო თვალსაზრისით არმია არ წარმოადგენს სერიოზულ ძალას, პოლიტიკურ თვალსაზრისით კი მისი იარაღი იმდენად ძლიერია, რომ მთელი დასავლეთ-ევროპის ტეხნიკა ამ იარაღის წინაშე, უძლურია და დასახულ სამხედრო ამოცანების განხორციელება შეუძლებელი ხდება.

ომი დამთავრდა, მაგრამ მის დამთავრებასთან ერთად დაიწყო ახალი ომის მზადება.

შემდეგი შემთხვევა, როცა სამხედრო ავტორიტეტებმა გარკვევით გამოსთქვეს თავისი აზრი წითელი არმიის შესახებ — იყო გენუას კონფერენცია. საფრანგეთის ყველა მნიშვნელოვანმა გაზეთებმა მოათავსეს წერილები წითელი არმიის შესახებ, [illegible], მაგალითად, პოლკოვნიკ რებულს, ობაკის და სხვ. წერილები „ტან"-ში, ისინი ამტკიცებდნენ, რომ წითელი არმია ხდება რეგულიარული არმიათ. მეთაურნი და წითელარმიელნი მნიშვნელოვნად გაიზარდენ სამხედრო თვალსაზრისით. ხელმძღვანელობა აბსოლუტურად და ენერგიულ გენერალურ შტაბის ხელშია. რკინის გზებზე თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება, და თუმცა წითელ არმიას სრულებით არ მოეპოვება თანამედროვე იარაღი ავიაციის სფეროში, მაგრამ ის სამხედრო თვალსაზრისით მაინც სერიოზულ ძალას წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, ინგლისი, და აგრეთვე, თუმცა უფრო ნაკლებ ენერგიულად, — საფრანგეთი შეუდგენ ახალი შეიარაღებული ძალის მოწყობას. ინგლისის გენერალურ შტაბისათვის აშკარა იყო, რომ შეუძლებელია წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა საყოველთაო სამხედრო ბეგარის წესით შედგენილი არმიის საშუალებით, ვინაიდან ასეთი არმიის რიგებში საკმაოდ მოიპოვება მუშები და გლეხები, რომლებიც ზიზღით უყურებენ ომს და თანაუგრძნობენ საბჭოთა რუსეთის მუშებს და გლეხებს.

მხოლოდ ფაშისტური არმიას — ბურჟუაზიის კლასობრივ არმიას — შეუძლია ბრძოლა საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური არმიის წინააღმდეგ. მაგრამ სანამ ძირითად იარაღს წარმოადგენენ ტყვიამფრქვევლები და სწრაფ მსროლელი ზარბაზნები, — მანამდე საყოველთაო სამხედრო ბეგარაზე უარის თქმა შეუძლებელი იყო.

აქ საჭირო იყო მებრძოლთა მასები. ამიტომ ინგლისის გენერალური შტაბის ყველა ღონისძიებები მიმართული იყო იმისკენ, რომ შეეცვალა არსებული ტეხნიკური მოწყობილობა და საყოველთაო სამხედრო ბეგარის არმიიდან გადასულიყო მცირე, კლასობრივ, მაგრამ ტეხნიკურად ძლიერ თანამედროვე არმიაზე.

ასეთი არმია მათ წარმოდგენილი ჰყავდათ ახალ, მექანიზაციაქმნილ არმიის სახით. ისინი ფიქრობდნენ, რომ 60.000 კაცი აეროპლანებით და სხვადასხვა სახის ტანკებით, და აგრეთვე ყოველგვარი ქიმიური რაზმებით და ორგანიზაციებით, ადვილად დაამარცხებდა საბჭოთა კავშირის მილიონიან არმიას, რომელსაც არ აქვს რამოდენიმეთ მაინც დამაკმაყოფილებელი ტეხნიკა ავიაციის და მოტორების და ტანკების მშენებლობის დარგში. 1917 წლის ოქტომბერში კამბრესთან მომხდარი ბრძოლა, როცა 1.000 კაცმა 382 ტანკით დაამარცხა გერმანელთა ასი ათასიანი არმია, — მათ იმედს აძლევდა, რომ ამ ამოცანას წარმატებით შეასრულებდნენ. ასეთი მართლაც მცირე არმია, რომელიც შემდგარი იქნება კლასობრივი ნიშნის მიხედვით, არმია, რომელშიაც ყველა მებრძოლ მანქანებს ხელმძღვანელობას გაუწევენ ფაშისტები, მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა კავშირისათვის.

უკანასკნელი შეფასება უცხოელების მხრივ ჩვენ გვაქვს წითელი არმიის ათი წლის თავზე. ეს შეფასება უკვე დიდათ განსხვავდება იმისაგან, რასაც ისინი ამბობდნენ 1922 წელში. დასავლეთ ევროპის ავტორიტეტები სავსებით სწორად აღნიშნავენ ჩვენი არმიის ზრდას; პოლონური და გერმანული სამხედრო ჟურნალები, („პოლსკა ზბროინა" და სხვ.), რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ჩვენი არმიის ცხოვრებას, აღნიშნავენ წითელი არმიის უდიდეს ტეხნიკურ ზრდას და მისი სამხედრო მომზადების გაუმჯობესებას.

პილსუდსკი ურჩევს თავის გენერლებს — ზერელედ ნუ უყურებენ წითელ არმიას, ვინაიდან მისი შეფასების დროს შეუძლებელია ერთად-ერთ საზომად მიჩნეული იქნეს გამარჯვება მდინარე ვისლაზე 1920 წელს. წითელი არმია 1928 წელში დიდათ განსხვავდება იმისაგან, რაც ის იყო 1920 წელში.

გერმანიის სამხედრო სპეციალისტებიც აგრეთვე საჭიროდ სთვლიან ყურადღების მიქცევას იმ სერიოზულ მუშაობისათვის, რომელიც ჩაატარა წითელმა არმიამ, რითაც ის მნიშვნელოვნად დაუახლოვდა თანამედროვე ევროპიულ არმიას.

სხვათა შორის, ინგლისური და ფრანგული სამხედრო ჟურნალები აღნიშნავენ ჩვენი არმიის მნიშვნელოვან ზრდას, ლაპარაკობენ სამხედრო აკადემიის შესახებ, რომელიც, მათი სიტყვით წარმოადგენს ევროპიული ტიპის სამხედრო-სამეცნიერო დაწესებულებას.

უკეთებთ რა ჯამს მათ განცხადებებს, უნდა ვსთქვათ, რომ წითელმა არმიამ მიაღწია ომის წინადროის დონეს — საარტილერიო, საინჟინერო და ქვეითა ჯარის ტეხნიკის მთელ რიგ საკითხებში.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ფრანგები და ინგლისელები საერთოდ დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენ ტეხნიკურ მიღწევებისადმი სამხედრო სფეროში.

უცხოეთის შტაბებს ყველაზე უფრო აინტერესებთ სამხედრო ტეხნიკის ის დარგები, რომლებიც, მათი აზრით, გადამწყვეტენ მომავალ ომს, — ე. ი. ტანკები, ავიაცია და ქიმია.

დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული აზრი აღნიშნავს, რომ ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ არა მარტო ტეხნიკურ სფეროში, არამედ პოლიტიკურ მუშაობის სფეროშიაც.

სოფელთან დაახლოებისაკენ აღებული კურსი, და უკრაინულ, ბელორუსულ, ქართულ და სხვ. ნაციონალურ ნაწილების ორგანიზაცია უცხოელ სპეციალისტების აზრით დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ამ ნაციონალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით, რომლებსაც ასე უხეშად და სასტიკად ეპყრობოდა მეფის რეჟიმი, — შესაძლო ხდება მტკიცე სამხედრო ნაწილების შედგენა.

ამგვარად, იმ პოლიტიკურ ბაზას, რომელზედაც შენდება არმია, ჩვენი მტრები გაფართოებულად სთვლიან სამოქალაქო ომის წლებთან შედარებით და პილსუდსკი ახდენს ერთგვარ ცდებს, — მართალია რაიმე მნიშვნელოვანი შედეგების გარეშე, — წაბაძოს ამ ჩვენს მუშაობას ბელორუსიაში და გალიციაში.

უკეთებთ რა ჯამს წითელი არმიის შეფასებას დასავლეთ ევროპის სამხედრო სპეციალისტების მიერ, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველანი სცნობენ ჩვენს მნიშვნელოვან ზრდას 1920 წელთან შედარებით, როგორც ტეხნიკურ დარგში, ისე უშუალოდ სამხედრო მომზადების სფეროში. სცნობენ იმ პოლიტიკური ბაზის მნიშვნელოვან ზრდას, რომელზედაც შენდება ჩვენი არმია და აგრეთვე სამხედრო მრეწველობის ზრდას.

ა. ვერხოვსკი.

ამხ. კალინინის, პეტროვსკის და რიკოვის დაჯილდოება

წითელი დროშის ორდენით

მოსკოვი, 23 თებერვალი. წითელი არმიის ათი წლის თავთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს შუამდგომლობით დაადგინა დააჯილდოოს წითელი დროშის ორდენით ამხ. კალინინი, პეტროვსკი და რიკოვი, როგორც ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელნი და წითელი არმიის გამამხნევებელნი მის მძიმე ბრძოლაში პროლეტარიატის მტრებთან. ეს დადგენილება შეტანილი იქნება დასამტკიცებლად საბჭოთა კავშირის ცაკის უახლოეს სესიაზე. (ადს).

წითელი არმიის ათი წლის თავი*)

მეთაურთა შემადგენლობის პროგრამა

მეთაურთა კადრების პრობლემა წამოიჭრა წითელარმიის წინაშე მისი არსებობის პირველ დღეებიდანვე. ეხლა, როდესაც ეს პრობლემა ძირითადად და უმთავრეს ნაწილში უკვე გადაჭრილია, ის განისაზღვრება შემდგომი შერჩევის, გაუმჯობესების და შევსების წმინდა ტეხნიკურ ამოცანით. მაგრამ 1918—1919 წ. და 1920 წელშიაც კი ეს იყო უდიდესი პოლიტიკური ამოცანა. იმ დროს მეთაურთა მინიმალურ კადრების შექმნა წარმოადგენდა რევოლუციონურ არმიის პირველ რიგების მშენებლობის და მათი ბრძოლის უნარის აუცილებელ პირობას. მეთაურის როლი და მნიშვნელობა არმიაში უდიდესია. თუ მშვიდობიან დროს მეთაურთა შემადგენლობას მოეთხოვება ტეხნიკური გაწვრთნა, პოლიტიკური ცოდნა და მორალური სიმტკიცე, ომის დროს მეთაური, ამას გარდა, უნდა იყოს თავისი ნაწილის ბელადიც. ტყუილად კი არ სწერდა ენგელსი საფრანგეთის არმიის სედანთან და მეცთან განადგურების შემდეგ, რომ ყველაფრის აღდგენა შეიძლება, გარდა იმისა, „რაც ყველაფერზე უფრო საჭიროა — ეს არის მძლავრი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია არმიის შექმნა შეიარაღებულ ხალხისაგან. ეს ორგანიზაცია შესდგება რეგულიარულ არმიის ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრებისაგან". („წერილები ომის შესახებ", გვ. 129). ეს დებულება მთლიანად არის სწორი აგრეთვე წითელი არმიის მიმართ, მხოლოდ იმ შესწორებით, რომ არც ერთ არმიაში კლასობრივად საიმედო მეთაურთა შემადგენლობის შექმნის პრობლემა, ისე მწვავედ არ მდგარა, როგორც მუშათა პირველ რევოლუციის შეიარაღებულ ძალების მოწყობის დროს.

ამის მიზეზი ნათელია, საუკუნეებით გაბატონებულ ფეოდალურ - ბურჟუაზიულ კლასების საუკუნეების განმავლობაში შექმნილ არმიებს ჰყავთ თავისი, არმიებთან ერთად გაზრდილი, მეთაურთა კადრები. ჩვენ კი უნდა გვეშენებინა ჩვენი წითელი არმია, არა მარტო ყოველივე კადრების გარეშე, არამედ მეფის ძველი არმიის ოფიცერთა მძლავრ კორპუსის, ნებასურვილის წინააღმდეგ მუშათა კლასს, რომელმაც დაიპყრო ხელისუფლება, ოქტომბრის დღეების შემდეგ თავის რიგებში ჰყავდა არა ერთი პირველხარისხოვანი პოლიტიკოსი, ეკონომისტ-მეცნიერი და ტეხნიკოსი, მაგრამ სრულებით არ ჰყავდა სამხედრო კვალიფიციური სპეციალისტები. აი, ამიტომ პირველ თვეებში ოქტომბრის შემდეგ, მეთაურთა თანამდებობას იჭერდნენ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარები, რომლებსაც ხშირად არასოდეს არ უმსახურნიათ ჯარში, უნტერ-ოფიცრები და მცოდნე რევოლუციონური ჯარისკაცები იყვნენ სამხედრო საქმის თითქმის ერთად-ერთი „ავტორიტეტები" და სასურველი კანდიდატები სამწყობრო, ადმინისტრატიულ და საშტაბო თანამდებობებზედაც კი. მხოლოდ 1918 წლის განმავლობაში თანდათანობით მობილიზაციის და ინდივიდუალურ მოხალისეობის წესით არმიაში იწყეს შემოსვლა ყოფილმა ოფიცრებმა. მაგრამ დიდი სამხედრო სპეციალისტები ჩვენთან ძლიერ ცოტა მოდიოდა, ბევრი მათგანი არჩევდა ეცხოვრა დიდ ქალაქებში, ვიდრე განეცადა მერყევი ფრონტების ცვალებადი ბედი. ამავე დროს შეიქმნა პირველი საბჭოთა მეთაურთა კურსები, რომლებიც შემდეგში სისტემატიურად ავსებდა მეთაურთა შემადგენლობის დანაკლისს ფრონტებზე. საკვირველი არ არის, რომ განსაკუთრებით გამწვავებულ ბრძოლების პერიოდში (1919 წელი) წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობა წარმოადგენდა უაღრესად ჭრელ სურათს. მისი რაოდენობამ სამოქალაქო ომის ბოლოს მიაღწია ვებერთელა ციფრს — 130,000 კაცს. მთელი ეს მასა იყოფოდა სამ დაახლოვებით ერთგვარ ჯგუფებად: 1) რევოლუციონური მეთაურები, 2) მეფის არმიის პრაპორჩიკები, უნტერ-ოფიცრები და ჯარისკაცები, თითქმის ყველა რევოლუციონერი გლეხები და 3) ყოფილი სამწყობრო ოფიცრები და ძველი გენერალური შტაბის ოფიცრები. მეთაურთა შემადგენლობის ეს სიჭრელე არ განისაზღვრებოდა სპეციალურ მომზადების, საერთო კულტურიანობის დონის და იმ სოციალური წრის სხვადასხვაობით, საიდანაც იყო გამოსული ეს ხალხი. მათ ჰყოფდა აგრეთვე პოლიტიკურ რწმენის და იმ მოტივების სხვადასხვაობა, რომლებმაც მიიყვანა ისინი რევოლიუციონურ არმიაში. თუ არსებული ნაწილი მთლიანად, მეორე კი თავისი უდიდესი უმრავლესობით იყვნენ იმ თავის კლასების ჭეშმარიტი წარმომადგენლები, რომლების ინტერესებისათვის ისინი იბრძოდნენ, სამაგიეროდ მესამე ჯგუფში ცოტა არ იყო ისეთი ხალხი, რომელიც წითელ არმიაში მსახურობდა რევოლუციონურ იძულების გამო და ნაწილობრივ (მართალია, ძლიერ მცირე ნაწილი) ბოროტად, მტრულადაც კი იყო განწყობილი ოქტომბრის რევოლუციის მიმართ და გვღალატობდა პირველ მოხერხებულ შემთხვევაში. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები თვითეული ჯგუფის რაოდენობის შესახებ. მაგრამ ცნობები წითელ მეთაურთა შესახებ გვიჩვენებს, თუ რამდენად მცირე იყო შედარებით ამ მეთაურთა პროცენტი. ასე 1918 წ. გამოშვებული იყო 1.700 კაცი, 1919 წელში 11,500 კაცი, 1920 წ. — 26,000 კაცი და 1921 წ. — 14,000 კაცი. წითელი არმიის დემობილიზაციის დაწყების შემდეგ (1921 წ.) მეთაურთა შემადგენლობის რიცხვმა სწრაფად იწყო კლება. 130.000 წითელ მეთაურიდან ამჟამად დარჩა მხოლოდ 48.000 კაცი მხოლოდ არმიის რიცხვის შემცირების შემდეგ მოგვეცა ჩვენ საშუალება უფრო მკვიდრ საფუძველზე დაგვეყენებინა მეთაურთა შემადგენლობის შერჩევა, ვიდრე სამოქალაქო ომის წლებში, როდესაც მეთაურთა ერთგულებისა და ნიჭის გამოცდა და შემოწმება ხდებოდა მხოლოდ ბრძოლაში და ხშირად ძლიერ ძვირი ჯდებოდა. ამასთანავე მშვიდობიანმა პერიოდმა წარუდგინა მეთაურს სრულიად ახალი, მოულოდნელი მოთხოვნილებანი. მეთაური - მებრძოლი და წითელ მებრძოლთა ბელადი ბრძოლის ველზე, უნდა გამხდარიყო ინსტრუქტორად, მასწავლებლად, პოლიტიკურ აღმზრდელად. ზოგიერთს შეუძლია შეუსაბამობა დაინახოს იმაში, რომ ჩვენ თუმცა ძლიერ ვაფასებდით წითელი არმიის ბრძოლის ღირსებებს სამოქალაქო ომის წლებში, შეუძლებლად ჩავთვალეთ მისი იმავე დონეზე დატოვება მშვიდობიან დროს. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, რომ წითელი არმიის სუსტი სამხედრო მომზადება გვირჩევნია მის კარგად გაწვრთვნას, ან ცუდი, ხშირად მოღალატურად განწყობილი შტაბის მუშაკები სამხედრო აკადემიაში კარგად გაწვრთნილი სამხედრო სპეციალისტებს. ისტორიამ ჩვენ ისე მოგვცა არმია, როგორიც იყო ის სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლის წლებში ჩვენს კლასობრივ მტრებთან. ჩვენ არ გვქონდა დრო ამ საკითხების მოფიქრებისათვის, თუ როგორ მოგვეწყო არმია, როგორ მოგვეწყო მისი მართვა-გამგეობა და სხვ. მაგრამ როგორც კი დადგა სამხედრო შესვენების ხანა, ჩვენ უნდა დაგვესვა და გადაგვეჭრა ყველა ეს საკითხები, მათ შორის საკითხიც მცოდნე და კლასობრივად საიმედო მეთაურის შესახებ. უნდა გამოგვენახა საკითხის ისეთი გადაჭრა, რომელსაც შეეერთებია მუშურ-გლეხურ მეთაურთა შემადგენლობის მიერ ომში მოპოვებული მაღალი სამხედრო ღირსებები აუცილებელ სამხედრო ცოდნასთან, ურომლისოდაც ეს მეთაურები დაჰკარგავდნენ თავის მნიშვნელობას. აშკარაა, რომ ეს არ იყო ადვილი საქმე ზოგიერთი კარგი მეთაურების, რომლების დამსახურება და გმირული საქმეები არაერთხელ აღნიშნულა უმაღლეს სამხედრო ჯილდოს გაცემით, ჩავარდენ ძლიერ მძიმე მდგომარეობაში, პროლეტარიატს, როგორც უკვე ვთქვი, წარსულში არ ჰქონდა თავისი სამხედრო კულტურა. პირიქით, მას სრულებით დახშული ჰქონდა სამხედრო სკოლის კარი, ისიც უნდა ითქვას, რომ რევოლუციამდე მუშათა კლასი თითონაც არ იჩენდა არავითარ ინტერესს სამხედრო სკოლისადმი. პროლეტარული მებრძოლი რაზმები და პროპაგანდისტულ-აგიტატორული მუშაობა ძველი არმიის რევოლუციონურ ორგანიზაციებში, ე. ი. ის, რის კეთებაც უხდებოდა მუშა რევოლუციონერებს, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდა „საკმაო სკოლას" საჭირო სამხედრო ცოდნის შესაძენად. და აი, იმისათვის, რომ ეს მეთაურები ჩამოგვეყალიბებინა მეთაურთა ერთფეროვან კორპუსად, რომ ზოგი აღგვეზარდა პოლიტიკურად, ზოგი მოგვემზადებია ტეხნიკურად, საჭირო იყო, ჯერ-ერთი, დრო, და მეორე - სწავლება. ჩვენ მოკლე ვადაში, პირდაპირ დავფარეთ ჩვენი ოლქები სამხედრო სკოლების, განმეორებითი კურსების ქსელით. ამ სკოლებს მოუხდა მუშაობა ისეთ კონტინგენტებში, რომლებისთვისაც ბევრად უფრო მახლობელი და გასაგები იყო ტყვიამფრქვევლების ენა და ზარბაზნების ხმა, ვიდრე ის უამრავი სპეციალური სამხედრო დისციპლინები, რომლებიც დაატყდა მათ სწავლისათვის უჩვეულო თავს. სიძნელენი მასწავლებლებისათვის და თვითონ მოსწავლეთათვის უდიდესი იყო. მაგრამ ჩვენი წითელი მეთაურების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ისეთივე ენერგიით და თავგამოდებით ეკვეთნენ სამხედრო ცოდნას, როგორც მიჰქონდათ იერიში დენიკინებზე, კოლჩაკებზე და იუდენიჩზე. სხვადასხვა განმეორებით, გრძელ და მოკლე ვადიან კურსებზე, გადამზადებულ იქნა წითელი არმიის მეთაურთა თითქმის მთელი კადრები. სამხედრო და სპეციალური აკადემიები, რომლებმაც დაიწყეს თავისი სამოსწავლო და სამეცნიერო მუშაობა 1918 წლის შემოდგომიდან, სისტემატიურად უშვებდნენ არმიაში კვალიფიციურ სპეციალისტებს.

მაგრამ წითელ არმიას ესაჭიროებოდა არა მარტო არსებულ კადრების გაუმჯობესება, არამედ მათი განუწყვეტელი შევსება და უკვე 1924 წელს ჩვენ რეგულიარულად ვღებულობთ მომზადებულ წითელ მეთაურებს, რომელთაც გავლილი აქვთ ნორმალური სკოლა, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ძველ იუნკრების სასწავლებლებს. ამ საქმეში, ისევე, როგორც წითელ აკადემიების მოწყობაში, უდიდესი დამსახურება მიუძღვის ძველ ყოფილ ოფიცრებს. ისინი წარმოადგენდნენ მასწავლებელთა იმ სპეციალურ კადრს, რომლის დაუხმარებლად იმ ხანებში შეუძლებელი იყო მეთაურთა შემადგენლობის მომზადება. წითელ მეთაურთა კორპუსი თანდათან იცვლიდა სახეს. გუშინდელი მუშები და გლეხები, რომელთაც გაიარეს პრაქტიკული სკოლა კლასობრივ მტერთან ბრძოლაში, ჩვენი თვალის წინ ხდებოდნენ თეორეტიულად მომზადებულ სამხედრო სპეციალისტებათ. მეთაურთა შემადგენლობამ არამც თუ შეითვისა თანამედროვე სამხედრო კულტურის ყველა მხარეები, არამედ შეიძინა მისი დაწინაურების უნარიც.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ხდებოდა მეთაურთა შემადგენლობის ბუნებრივი გაცხრილვა. სამწუხაროდ, დავკარგეთ მრავალი ისეთი მეთაურები, რომელთა სამხედრო ღირსებები მეტად მაღალი იყო. ბევრმა ნებაყოფლობით ამჯობინა დაზგაზე და გუთანზე მუშაობა სამხედრო პროფესიონალის თანამდებობას. იყვნენ ისეთებიც, რომელთათვის „სამხედრო ცოდნის" შეთვისება უფრო ძნელი იყო, ვინემ პერეკოპის, ან ტარაჟანოვის ფორტის აღება. ყველა ეს ამხანაგები კვლავ საუკეთესო მეთაურები იქნებიან, თუ ჩვენ მოგვიხდა იარაღის ხელში აღება. მათი ბრძოლის გამოცდილება ამჟამადაც დიდ ღირებულებას წარმოადგენს.

როგორია წითელი არმიის ათი წლის თავისათვის წითელი არმიის მეთაურთა სოციალური და პარტიული შემადგენლობა?

72 პროცენტი მუშა და გლეხია, ხოლო 28 პროცენტი დანარჩენნი, რომელთა შორის უმრავლესობას წარმოადგენენ ყოფილი წვრილი მოსამსახურეები. პარტიული ფენის ზრდა 6 წლის განმავლობაში 20 პროცენტიდან 48,1 პროცენტამდე უდიდესი მნიშვნელობის მქონე მოვლენაა. ეს ციფრები ჩვენ გვაძლევს უფლებას ვსთქვათ, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმია თავიდან ბოლომდე, მეთაურიდან წითელ არმიელამდე სავსებით ამართლებს თავის სახელწოდებას;

არა ნაკლებ საინტერესოა სამხედრო-საგანმანათლებლო შერჩევის შედეგები. მთელი არსებული მეთაურთა შემადგენლობა სამხედრო განათლების მიხედვით იძლევა შემდეგ სურათს: ნორმალური სკოლა დამთავრებული აქვს — 23.889 კაცს, მოკლე ვადიანი მეთაურთა კურსები — 4.125 კაცს, გაუმჯობესების კურსები — 7.341 კაცს, სამხედრო აკადემიები — 2.126 კაცს, ძველ არმიაში სამხედრო განათლება მიღებული აქვს (ყოფილი ოფიცრები) — 4.418 კაცს, საკმაო სამხედრო მომზადება არ მიუღია (ყოფილი უნტერ-ოფიცრები და ჯარისკაცები) და ფორმალურად არავითარი მომზადება არ მიუღია — 2.968 კაცს.

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ ჯერ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენ გვყავს წითელი მეთაურის დამთავრებული ტიპი. ერთგვარი სიჭრელე მომზადებაში ჯერ კიდევ არსებობს. მაგრამ საერთოდ საქმე კარგათ არის დაყენებული.

მეტის გაკეთება ხანმოკლე პერიოდში (1921 — 1927 წლ.) შეუძლებელი იყო. წითელი მეთაური იზრდება და ვითარდება თავის არმიასთან ერთად. და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა ჩვენი მეთაურთა კორპუსი გადაიქცევა ერთნაირ, თანაბრად მომზადებულ, მაღალ კვალიფიკაციურ კოლექტივათ.

სხვათა შორის, უკანასკნელ დროს ჩვენი მეთაური თანდათან იპყრობს ბურჟუაზიულ პოლიტიკოსების და სამხედრო სპეციალისტების ყურადღებას. ჩვენი კრიტიკოსები მეტად მკაცრი არიან წითელი მეთაურის მიმართ. ისინი ჯერ კიდევ არ სცნობენ მას ნამდვილ მეთაურად, რომელსაც შეუძლია შეასრულოს მეთაურის მართლაც რთული მოვალეობანი. უცხოელების აზრი ჩვენი მეთაურების შესახებ ან სკეპტიკურია ან ისინი სრულებით უარყოფენ წითელ არმიაში მეთაურთა შემადგენლობის არსებობას. დრომოჭმულ ტრადიციებზე აღზრდილ სამხედრო ბურჟუას, ვერ წარმოუდგენია, რომ მუშები და გლეხები გახდენ ნამდვილ სამხედრო სპეციალისტებათ, სამხედრო ცოდნის, ხელოვნების და მეცნიერების „ქურუმებათ". ჩვენ გავარღვიეთ კედელი, რომელიც სამხედრო ცოდნას აშორებდა ფართე მასებს. ჩვენ გავსწმინდეთ ის ყოვლგვარი უსარგებლო ტრადიციებიდან და ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობიდან და ამ სახით ჩვენ მივეცით და ვაძლევთ ამ ცოდნას წითელ მეთაურებს. ჩვენთვის სახაცილოა უცხოეთის სპეციალისტების ამგვარი მსჯელობა: „რაღა მეთაურია ეს, თუ მან ამ ცოტა ხნის წინად შეირთო მოსამსახურე ქალი", ან „რაღა მეთაურია ეს, თუ მას ქუჩაში ჯარისკაცები ხელის აღებით არ აძლევენ სამხედრო სალამს"-ო.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ერთი გარემოება; გახდა, ან უკეთ რომ ვსთქვათ ხდება თუ არა ჩვენი მეთაური კვალიფიციურ სამხედრო სპეციალისტად თუ ეს მისთვის მიუღწეველია. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ჩვენთვის „არ არის მიუღწეველი" — ცალკე შემთხვევებში ჩვენ უკვე გვყავს დამთავრებული საუკეთესო მეთაური და ჩვენ ჩქარი ნაბიჯით მივდივართ ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანის სავსებით გადაჭრისაკენ.

შემდეგ უცხოელ ბურჟუაზიას ვერ გაუგია, რომ ის გარემოება, რომ წითელ მეთაურთა შემადგენლობაში არ აქვს ადგილი კასტას, ჩინების პატივისცემას, მნიშვნელობას, არამც თუ ხელს არ უშლის მის მუშაობას, არამედ, პირიქით, აუცილებელი პირობაა ამ მუშაობის წარმატებისათვის.

უცხო ქვეყნების პროლეტარებს კი მშვენივრად ესმით ეს დამახასიათებელი თვისება, რომლითაც წითელი არმია ღრმად განსხვავდება იმპერიალისტების არმიისაგან. ამიტომ კითხვები, რომლებსაც ისინი იძლევიან წითელი არმიის ცხოვრების გაცნობის დროს, სრულებით სხვაგვარად გაისმის: „როგორ უნდა დაამტკიცოთ, რომ წითელი არმია იცავს მუშების და გლეხების ინტერესებს", ან „როგორია მეთაურთა სოციალური შემადგენლობა", ან „რა ჩინები არსებობს წითელ არმიაში და როგორია მათი სახელწოდება", ან „შეუძლია თუ არა უბრალო წითელ არმიელს სიტყვა წარმოსთქვას იმ კრებაზე, რომელსაც ესწრება „გენერალი" (ე. ი. უფროსი მეთაური) და სხვა. პროლეტარი სამართლიანად გამოსთქვამს შიშს, რომ წითელ არმიაში თანდათანობით, მისი ცხოვრების პროცესში, მშვიდობიან პირობებში არ იჩინოს თავი ანტაგონიზმმა უბრალო წითელ არმიელსა და მეთაურთა შემადგენლობას შორის. მთელი ქვეყნის შეგნებული მუშები სავსებით სამართლიანად უყურებენ წითელ არმიას, როგორც თავის საკუთარს, როგორც მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის მებრძოლ რაზმს. ისინი უაღრესად დაინტერესებული არიან იმაში, რომ წითელი არმია გაიზარდოს და გაძლიერდეს, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის მებრძოლი ძალა. ამიტომ წითელ არმიაში, მის შინაგან წყობილებაში ისინი ყველაზე უფრო ეძებენ იმას, რაც არ მოიპოვება მილიტარიზმის არმიებში: უბრალო ჯარისკაცის და მეთაურის კლასობრივ ინტერესების მთელიანობას. ჩვენ კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავამშვიდოთ ჩვენი საზღვარგარეთელი ამხანაგები. წითელი არმია ნამდვილად არის მუშებისა და გლეხების არმია, მისი ძალა მდგომარეობს იმაში, რაც შეადგენს ჩვენი სახელმწიფოს სასიცოცხლო ენერგიას — მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის მჭიდრო ძმურ კავშირში, ჩვენს სახელმწიფოს მჭიდრო კავშირში მთელს მსოფლიოს პროლეტარიატთან.

წითელი არმიის ხელმძღვანელობა კომუნისტური პარტიის მტკიცე ნაცად ხელში იმყოფება.

მეთაური არის ჯარისკაცის უფროსი, როგორც არმიაში, ისე, არმიის გარეთ — ასეთია ბურჟუაზიულ მეთაურის ფილოსოფია. ეს თვით არის ბურჟუაზიის კლასობრივ ბატონობის განსახიერება. მეთაურთა შემადგენლობის შევსება ხდება კლასობრივ ნიშნის მიხედვით, ე. ი. ან მთლიანად ბურჟუაზიისაგან, ან ძველი ფეოდალური თავადაზნაურობის ნაშთებისაგან, მაშინ როცა უბრალო ჯარისკაცებს ჰკრებენ მშრომელ, დაჩაგრულ კლასებიდან. ბურჟ. კლასობრივი სახელ. სამხედრო მეთაურებისაგან მოითხოვს შეუსუსტებელ ყურადღებას ჯარისკაცებისადმი, რათა ისინი მუდამ მორჩილებაში იმყოფებოდნენ. ამ პირობებში ბუნებრივია ის წესები და ურთიერთობა მეთაურსა და ჯარისკაცთა მასას შორის, რომელიც გამეფებულია ბურჟუაზიულ სახელმწიფოების არმიებში და ურომლისოდაც ვერც ერთი ასეთი არმია ვერ იარსებებს. ამ არმიებში ჯარისკაცი და მეთაური, პირველ ყოვლისა, არიან ორი კლასის, ორი მტრული ბანაკის წარმომადგენელნი და რამდენადაც მეთაური არის ბურჟუაზიის კლასობრივ ბატონობის იდეის გამომხატველი. იმდენად ის ამ იდეებს ძალით ახვევს თავზე თავის ხელქვეით, რომელსაც სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტები უბრალო მექანიკურ ძალათ ხდის.

არაფერი ამდაგვარი წითელ არმიაში არ არის და არც შეიძლება იყვეს. მეთაური და წითელი არმიელი ჩვენს არმიაში ერთდაიმავე კლასს ეკუთვნიან. მათი ინტერესები ერთნაირია. ამიტომ ჩვენში ურთიერთობა სამსახურში ეყრდნობა სასტიკ ამხანაგურ გონიერ დისციპლინას, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს მეთაურის მიერ მის საპასუხისმგებლო მოვალეობათა შესრულებას.

პარტიულ-პოლიტიკური აპარატი

პარტიულ-პოლიტიკური აპარატის როლი წითელ არმიაში განსაკუთრებით დიდია. პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა წითელ არმიაში მუდამ ითვლებოდა და დღეს მით უფრო ითვლება მისი ბრძოლის უნარის მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად. შეიარაღებული ძალების მშენებლობაში ჩვენი პარტია გამოდიოდა იმ პრინციპიდან, რომ არმიის ბრძოლის უნარი პირდაპირ პროპორციონალურია მისი მეთაურებისა და ჯარისკაცების პოლიტიკური შეგნებისა და მორალური სიმტკიცის დონესთან. ამ მხრით ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები, რომლებსაც აშკარად აღიარებენ ჩვენი მტრები.

არც ერთ არმიას მსოფლიოში არ შეუძლია დაიტრაბახოს პოლიტიკურ და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ისეთი დაყენებით, როგორიც აქვს გამარჯვებული პროლეტარიატის არმიას. და ეს არა იმიტომ, რომ ბურჟუაზიული არმიები ჩვენზე ღარიბია, ან და იმიტომ, რომ ჩვენ უფრო მეტი გამოცდილება გვაქვს. ბურჟუაზიულ არმიებს მხოლოდ ისეთი პოლიტმუშაობის წარმოება შეუძლიათ, რომელიც ჯარისკაცების კლასობრივ შეგნებას ანელებს. და აძინებს. ამიტომ პოლიტმუშაობა კაპიტალისტ. არმიებში ატარებს მოტყუების ხასიათს და ის შედარებით, დიდ შედეგებსაც ვერ აღწევს. თითქმის ყველა ბურჟუაზიულ არმიებში პოლიტიკურ, კულტურულ და მორალურ აღზრდის ხელმძღვანელები არიან ხუცები, უკეთეს შემთხვევაში კი სამსახურიდან გადამდგარი ულტრა-რეაქციონური ოფიცრები და მასწავლებლები. ჯარის სულიერი განწყობილება უმთავრესად დამყარებულია მკაცრ დისციპლინაზე. ფაშისტურ ნებაყოფლობით სამხედრო ორგანიზაციებზე, ჩვენ, რა თქმა უნდა, აღარ ვლაპარაკობთ. აქ „პოლიტიკურ" მუშაობას ბურჟუაზია აწარმოებს არა ცუდათ და ამ მუშაობის მთავარ მიზანს შეადგენს პატრიოტული გრძნობების გაღვივება მებრძოლებში მორალურ ზეგავლენის შარლატნური მეთოდებით.

წითელი არმია — ერთად ერთი არმიაა მსოფლიოში, რომელიც თავისი ჩასახვიდან დღემდე ბრძოლის უნარის განმტკიცების დარგში მთავარ ყურადღებას აქცევდა მებრძოლთა პოლიტიკურ შეგნებას. ამ მიზნით მან შექმნა კარგად მოწყობილი პოლიტიკური აპარატი, რომელიც, წარმოადგენს რა არსებითად არმიის პარტიულ ორგანიზაციას, მისი გამარჯვების ორგანიზატორი გახდა. წითელი არმიის არსებობის განვითარების და განმტკიცების ათი წლის მანძილზე პოლიტორგანოები წარმოადგენდნენ იმ შემაკავშირებელ დუღაბს, რომელიც წითელ არმიას იცავდა მთელ რიგ მომაკვდინებელ საფრთხისაგან და ხდიდა მას აჯანყებულ პროლეტარიატის ნებისყოფის ძლევამოსილ განმახორციელებლად.

„ჩვენი გამარჯვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ გაძლიერებული პარტიულ და კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობის წყალობით წითელი არმიის რიგებში"-ო სწერდა ლენინი, ჩვენი პირველი სამხედრო გამარჯვების დროს. აი ეს პარტიული, პოლიტიკური და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა გვაძლევდა ჩვენ გამარჯვებას ჩვენ მტრებზე. ამიტომაა, რომ სავსებით სამართლიანად უწოდებენ ჩვენ ჩვენს პოლიტაპარატს „განსაკუთრებული სახის იარაღს", რომლის ძალასაც კარგად იცნობენ ჩვენი მტრები. ჩვენი არმიის პოლიტიკური ორგანოები, გარდა უშუალო პარტიულ-პოლიტიკურ და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისა წითელ არმიელებს შორის, — წარმოადგენდნენ პარტიის ორგანოებს და სამოქალაქო ომის მძიმე პერიოდში თავის თავზე კისრულობდნენ კიდევ არაჩვეულებრივად დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანას — გაეწიათ პოლიტიკური მუშაობა ზურგში, ფრონტთან ახლო მდებარე არმიის მოქმედების რაიონებში. ამ ამოცანის შესრულებაში პოლიტორგანოებმა მართლაც რომ გასაოცარ შედეგებს მიაღწიეს. ხშირად წითელი არმიისადმი მტრულად განწყობილი რაიონები, სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების მუშაობის ზეგავლენით, ისე იცვლებოდნენ, რომ ვეღარ იცნობდით, ხშირი იყო შემთხვევა, როცა პოლიტორგანოების კარგი პოლიტიკური მუშაობის წყალობით შესაძლებელი ხდებოდა მებრძოლი ნაწილების შევსება ადგილობრივი ახალგაზრდობითა და ხანდახან მოწიფული კაცებით. ამავე დროს, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებისა, პოლიტორგანოები ბრწყინვალედ ასრულებდნენ ორგანიზაციულ მუშაობას მტრისათვის წართმეულ რაიონების გასაბჭოების დარგში. ამ რაიონებში მმართველობის ახალი აპარატების, რევკომების, სახურსათო ორგანოების და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა ყოველთვის პოლიტორგანოებს უხდებოდათ. კულტურულ განმანათლებელი მუშაობა მომქმედი ჯარების ნაწილებში და უახლოეს ზურგის ნაწილებში, რა თქმა უნდა, თავის მხრივ სასურველ გავლენას ახდენდა მოსახლეობაზე, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონდა ჯარის ამ ნაწილებს.

დაუფასებელია არმიის პოლიტიკური ორგანოების სამსახური წითელ არმიის რიგებში მყოფ ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საქმეში. იმ მრავალ ასეულ ათას მუშას და განსაკუთრებით გლეხს, რომლებიც ამჟამად მოღვაწეობენ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე, მაღალი პოლიტიკური და კლასობრივი შეგნება შეძენილი აქვთ პოლიტორგანოებიდან.

დიდია სამხედრო კომისრის დამსახურება რევოლუციის შეიარაღებული ძალების მშენებლობის საქმეშიაც. სამხედრო კომისარი, წარმოადგენდა რა ის წითელ არმიაში იმ პარტიულ-პოლიტიკურ ღერძს, რომლის გარშემოც იკრიბებოდა პოლიტიკურად და მორალურად ყველაზე უფრო მტკიცე ელემენტები, ფაქტიურად არმიის სულს და გულს წარმოადგენდა. სამხედრო კომისრის როლი სამოქალაქო ომის ყველა პერიოდში ჭეშმარიტად დიდი და მრავალფეროვანია.

სამხედრო კომისრების ინსტიტუტის მეოხებით ჩვენმა პარტიამ წითელი არმიის მშენებლობის პირველ პერიოდში შეძლო ძველი სამხედრო სპეციალისტების მიზანშეწონილად გამოყენება. სამხედრო კომისარის მუშაობამ ხელი შეუწყო ისეთი პირობების შექმნას, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და წითელი არმიისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო სპეციალისტები თანდათანობით ჯერ ლოიალურ [illegible] ამყარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან და ბოლოს პროლეტარიატის არმიის მეგობრები და ნამდვილი პატიოსანი მუშაკები ხდებოდნენ. სამხედრო კომისარმა, რომელიც ხშირად სამხედრო საქმეს სამხედრო სპეციალისტისაგან სწავლობდა, თავისი მხრით, დარწმუნების მეთოდით ბოლოს და ბოლოს ჩააბა ის თავისი საქმისათვის მებრძოლ მუშებისა და გლეხების ინტერესების წრეში. ბრძოლის ყველაზე უფრო მძიმე მომენტებში სამხედრო კომისარი ვალდებული იყო თავისი პირადი მაგალითით, უანგარო სიმამაცით და გამბედაობით გაემხნევებია მოქანცული წითელი ჯარები. სამხედრო კომისარი — ბრძოლის ამოცანების გვერდით, თავის პარტიულ ამხანაგებთან ერთად ხელმძღვანელობას უწევდა და ხშირად აწყობდა კიდეც პოლიტორგანოების გეგმით წინასწარ დასახულ პარტიულ-პოლიტიკურ და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას არა მარტო ნაწილებში, არამედ იმ რაიონებშიაც, სადაც ეს ნაწილები იყო დაბანაკებული. სამხედრო კომისარი, რომელიც ხშირად წერა-კითხვის ნახევრად მცოდნე მელითონე ან ფეიქარი იყო, გარდა სხვა რამისა, აუცილებლივ უნდა ყოფილიყო ერთგვარი ცოდნით, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მას პასუხი გაეცა მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების ყველა საკითხებზე და იქვე გადაეჭრა ურთულესი პრობლემები, რომლებიც ნაწილის შემდგომ არსებობასთან იყო დაკავშირებული. კომისარს თავისი მდგომარეობის მიხედვით, წარმატების შემთხვევაში, უნდა დაევიწყებია თავის პირადი მე, და პირველ ადგილზე წამოეყენებია უბრალო მებრძოლები, მთელი ნაწილი და მეთაურთა შემადგენლობა. როცა ჩვენ ვიმარჯვებდით, ვაქებდით მეთაურსა და კომისარს. მაგრამ ნაწილის ყველა დამარცხებას და ყველა შეცდომას უწინარეს ყოვლისა ყოველთვის კომისარის დაუდევრობას ვაწერდით. ის პასუხს აგებდა ყველაფერზე — ასეთი იყო ობიექტიური პირობები.

მაგრამ სწორედ შეუპოვარი ბრძოლებისა და მძიმე განსაცდელთა ამ პირობებმა, რომელმაც შექმნა კომისარის ტიპი, მეორეს მხრივ, მოგვცა საშუალება მიგვეღო მთელი კადრი ნამდვილი მებრძოლი კომუნისტებისა, რომელნიც პარტიის ნებისყოფას ატარებენ წითელი არმიის რიგებში. სამხედრო კომისრების რიგებიდან გამოვიდა მრავალი ასეული საუკეთესო უფროსები, შტაბის მუშაკები და სამხედრო საქმის სხვა სპეციალისტები.

ამჟამად, როცა გადაწყდა წითელ უფროსთა შემადგენლობის შექმნის პრობლემა, რაიც სავსებით უზრუნველჰყოფს წითელი არმიის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ამ დარგში, ბევრად შეიცვალა სამხედრო კომისარის როლი და მნიშვნელობა. კონტროლის ფუნქციები და მეთვალყურეობა უფროსთა შემადგენლობაზე, მეურვისა და „ძიძის" როლი, რასიც თავის დროზე შეადგენდა კომისრის თანამდებობის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას, ეხლა წარსულს ეკუთვნის. მთელ რიგ ღონისძიებათა მიღებით უფროსთა ეხლანდელი შემადგენლობა თითქმის ერთგვარია, იგი პოლიტიკურად საიმედოა და უშუალოდ არის დაკავშირებული პარტიასთან და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებთან. მაგრამ მიუხედავად ამისა, პოლიტორგანოების როლი და კომისრების, პოლიტნაწილის უფროსთა თანაშემწეების (რომელთაც ამჟამად დაიჭირეს კომისრების პოზიცია) მნიშვნელობა მაინც დიდია, რამდენადაც პარტიულ-პოლიტიკური და კულტ.-აღმზრდელობითი მუშაობა კვლავ რჩება უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორად არმიის მომზადების საქმეში. საერთო პირობები ამჟამად მოითხოვს წითელი არმიის პარტიული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას.

წითელი არმიის ცხოვრება ამჟამად ჩამოყალიბდა ისეთ მტკიცე ფორმებში, რომლებიც მას სავსებით განასხვავებენ ყველა ბურჟუაზიული არმიებისაგან. პოლიტორგანოები, პარტორგანიზაციები, კომკავშირი და უფროსთა ინსტიტუტი, — ყოველივე ეს წარმოადგენს სამხედრო ძალების კულტურული და პოლიტიკურ-მორალური აღზრდის ძლიერ ბერკეტებს. მხოლოდ მათი სწორი და ჯეროვანად მოწესრიგებული მუშაობა მოგვცემს აუცილებელ შედეგებს, მათი მოქმედების მცირეოდენი ფუნქციონალური დარღვევა გავლენას იქონიებს მთელი მუშაობის მდგომარეობაზე. ამიტომ წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების მიზნით საჭიროა ამ ურთიერთ მოვლენის ფორმების კვლავ გაუმჯობესება, რომლებიც საბოლოოდ შეიქმნა ჩვენს არმიაში. ამიტომ სპეციალურმა სამხედრო მზადებამ არ უნდა დაჩრდილოს არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მუშაობა წითელი მებრძოლების კულტურულ-საგანმანათლებლო აღზრდის დარგში.

წითელი არმია შეასრულებს თავის მოვალეობას

როცა ვათვალიერებთ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს მეორე ათი წლის საზღვარზე, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბევრ წარმატებებს მივაღწიეთ. ქვეითმა წითელმა ჯარმა, რომელიც აღზრდილია სამოქალაქო ომის მებრძოლთა ტრადიციებზე, შეინარჩუნა თავისი თვისებები 1924 წლის რეფორმის შემდეგაც, გადაიქცა ძლიერ იარაღად და შეითვისა ჯგუფობრივად ტაქტიკა და ბრძოლის ახალი მეთოდები. ჩვენი ცხენოსანი ძალა, რომლის გმირობა ყველას ახსოვს, მტკიცდება და ძლიერდება, აუმჯობესებს თავის სამხედრო მზადებას და ნივთიერ ნაწილს, ანახლებს თავის შემადგენლობას და ინარჩუნებს თავის საყოველთაოდ ცნობილ ბრძოლის უნარიანობას. წითელი არტილერია, რომელმაც სამოქალაქო ომში დაანგრია პერეკოპის სიმაგრეები და გალიციის ფორტები, მოსპო ყველა დაბრკოლებანი წითელი არმიის წინსვლის გზაზე, ეხლა ახალ ნიადაგზე მოეწყო, მან შეითვისა სროლის ახალი მეთოდები, გააძლიერა მატერიალური ნაწილი და ეხლა საიმედო იარაღია მუშათა და გლეხთა არმიისათვის. ჩვენი მიღწევები წითელ არმიაში, ავიაციაში, ქიმიაში, ყველასათვის ცნობილია. უკანასკნელ წლებში სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს ჯავშნოსან ნაწილებს, რომელთაც უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს სამოქალაქო ომში. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის საერთო ზრდასთან ერთად იზრდება ბრძოლის სამხედრო-ტეხნიკური საშუალებანი, უმჯობესდება სპეციალური ჯარები — მიმოსვლის, რკინის გზების და საინჟინერო ჯარები.

ჩვენ ამ შედეგებს ვერ მივაღწევდით ჩვენი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალების მშენებლობაში, რომ ყველა მშრომელებს განუწყვეტლივ არ ეზრუნათ წითელ არმიაზე. ძლიერი საზოგადოებრივი ორგანიზაცია — თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოება, რომლის წევრთა რიცხვი უდრის 3 მილიონს, დიდ ნივთიერ დახმარებას უწევს არმიას და დაუფასებელ სამსახურს უწევს ავიაციო და ქიმიურ მრეწველობას. თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების მოქმედება საუკეთესო დამამტკიცებელია იმისა, რომ განუყრელი კავშირი არსებობს საბჭოთა კავშირის მშრომელთა და წითელი არმიის შორის. მეორე ათ წელში ჩვენ განვაგრძობთ რთულ მუშაობას ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვის ყოველმხრივ განმტკიცებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ტეხნიკურ საშუალებათა გაძლიერებას და ჯარის ყველა ნაწილების სამხედრო მზადების გაუმჯობესებას. მომავალ პერიოდში ჩვენ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ვალდებული ვართ შევეცადოთ სამხედრო სამეცნიერო-გამოკვლევითი მუშაობის გაძლიერებას. ჩვენმა წითელმა ადიუნქტებმა უნდა განაგრძონ ენერგიული მუშაობა სწავლების დარგში. თანდათან უნდა დაიჭირონ სათანადო ადგილი მეცნიერებაში და უნდა გახდენ სამხედრო მეცნიერების საყოველთაოდ ცნობილი მოღვაწეები. ჩვენი სამეცნიერო-გამომკვლევი ინსტიტუტების და დაწესებულებების მუშაობა მეორე ათ წელში იმდენათ უნდა გაფართოვდეს, რომ დააკმაყოფილოს ეხლანდელი მომენტების მოთხოვნილებანი. მძიმე, სახელოვანი ბრძოლის ათი წლის გზა განვლილია. წინ არის ახალი ათი წელი, და რევოლუციის შეიარაღებული ძალები ისევე ერთგულად, მტკიცედ, თავგანწირვით და ფხიზლად დაიცავენ სოციალიზმის მშენებელთა მშვიდობიან შრომას, როგორ წინედ.

წითელი არმია ბოლომდე სახელოვნად შეასრულებს თავის მოვალეობას.

კ. ვოროშილოვი.

---

*) დასაწყისი იხილე „კომუნისტი" № 45.

მისალმებანი წითელ არმიას

გერმანიის მუშკორები--წითელ არმიას



Die Rote Fahne

Zentralorgan der Kommunistischen Partei Deutschlands (Sektion der Kommunistischen Internationale)

Arbeiter-Korrespondenz der Roten Fahne.

Berlin, den 6. Februar 1928.

An alle Roten Soldaten und Matrosen der U.d.S.S.R.!

Im Namen der Arbeiter-Korrespondenten der Roten Fahne, sowie der Arbeiter-Korrespondenten ganz Deutschlands senden wir Euch zum zehnten Jahrestage des Bestehens der Roten Armee, des ersten proletarischen Staates der Welt die brüderlichsten Grüsse.

Vor 10 Jahren, als das proletarische Russland sich gegen seine Unterdrücker erhob, da waren es die roten Partisanen, Eure Vorgänger, die ohne gehörige Ausrüstung, hungrig und abgerissen, aber die Flamme der Revolution im Herzen tragend, erst gegen die einheimische Bourgoisie und dann gegen die Interventionsarmeen kämpften, und diese vielfach überlegenen Feinde vernichtend geschlagen hatten.

Aus diesem kleinen Häuflein Partisanen, die ihr Blut für die Freiheit des Sowjetstaates und für die Sache der Arbeiterschaft vergossen haben, entstand ein gewaltiges proletarisches Volksheer, das imstande ist den kapitalistischen Söldnerheeren Einhalt zu gebieten. Nur das Bestehen einer starken proletarischen Armee ist eine Garantie dafür, dass die proletarische Diktatur von den unzähligen Feinden, die die Sowjetunion umringen, nicht erschüttert wird.

In diesen Tagen rufen wir Euch, Arbeiter und Bauern [illegible] zu: Ihr steht nicht allein auf vorgeschobenem Posten! Mit Euch kämpft die gesamte klassenbewusste Arbeiterschaft Deutschlands und der ganzen Welt. Schreitet weiter vorwärts auf diesem Wege und tragt die Fahne der Revolution weiter siegreich voran! Wir werden stets mit Euch sein.

Es lebe die Rote Armee!

Es lebe die U.d.S.S.R.!

Es lebe die Weltrevolution!

Arbeiter-Korrespondenz der Roten Fahne

გერმანიის კომპარტიის გაზეთში, „როტე ფანე“-ში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

ბერლინი, 1928 წლის 6 თებერვალი

გთხოვთ გამოაქვეყნოთ ამასთან დართული ჩვენი მისალმება წითელ არმიისადმი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ გზით კავშირს გავაბამთ ცალკე წითელარმიელებთან, რაც დიდი ხანია ჩვენი მუშკორების გულითად სურვილს წარმოადგენს.

კომუნისტური სალამით (ხელმოწერა).

საბჭოთა კავშირის ყველა წითელარმიელებს და წითელფლოტელებს

„როტე ფანე“-ს მუშკორთა და მთელი გერმანიის მუშკორთა სახელით გიგზავნით ძმურ სალამს მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს წითელ არმიის არსებობის ათის წლის თავის გამო.

ათი წლის წინად, როცა პროლეტარული რუსეთი აღსდგა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ, თქვენი წინამორბედი წითელი პარტიზანები, ცუდათ შეიარაღებულნი, მშიერნი და ტიტველნი, მაგრამ რევოლიუციონური ცეცხლით გულში, იბრძოდნენ და სასტიკად ამარცხებდნენ—ჯერ საკუთარ ბურჟუაზიას, ხოლო შემდეგ ინტერვენტების არმიებს.

პარტიზანთა ამ მცირე ჯგუფიდან, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა საბჭოთა სახელმწიფოს თავისუფლებისათვის, გაიზარდა ძლიერი პროლეტარული სახალხო არმია, რომელსაც შეუძლია უკუაქციოს კაპიტალისტების დაქირავებული ძალები. მხოლოდ ძლიერი პროლეტარული არმიის არსებობა არის იმის გარანტია, რომ პროლეტარულ რესპუბლიკას ვერ შეარყევენ მრავალრიცხოვანი მტრები, რომლებიც გარს ეხვევიან საბჭოთა კავშირს.

ამ დღეებში ჩვენ თამამად გეუბნებით თქვენ:

— შეიარაღებულო მუშებო და გლეხებო, თქვენ მარტო არა ხართ მოწინავე სადარაჯოზე! თქვენთან ერთად იბრძვიან გერმანიის და მთელი ქვეყნის ყველა კლასობრივათ შეგნებული მუშები! წადით პირდაპირ. ამ გზით და მუდამ მაღლა გეჭიროთ რევოლიუციის ძლევამოსილი დროშა! ჩვენ უყველთვის თქვენთან ვიქნებით!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

გერმანიის წითელ ფრონტელებისაგან

მოსკოვი, 23 თებერვალი. გერმანიიდან წითელი არმიის სახელზე მიღებულია მისალმება წითელ ფრონტელთა კავშირისაგან და აგრეთვე ცნობილ გარმანელ რევოლიუციონურ რეჟისორ პისკატორისაგან (ადს).

უკრაინის კომპარტიის ცეკასაგან

ხარკოვი, 23 თებერვალი. უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკა მიესალმა უკრაინის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს და მისი სახით უკრაინის სამხედრო ოლქის ნაწილების წითელარმიელებს, წითელფლოტელებს, პოლიტმუშაკებს და მეთაურებს.

უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკამ მოწოდებით მიმართა ყველა მუშებსა და გლეხებს.

მიმართვა მოუწოდებს მშრომელთ წითელი არმიის და მთელი ჩვენი ქვეყნის სამხედრო მომზადების გაძლიერებისაკენ და ყურადღების გაძლიერებისაკენ წითელარმიელებისა და დემობილიზაციით გაშვებულებისადმი. (ადს).

ახალგაზ. კომინტერნის ალმასკომისაგან

მოსკოვი, 23 თებერვალი. ახალგაზრდობის კომინტერნის მისალმებაში წითელი არმიის იუბილეს გამო ნათქვამია:

„მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები ისევ ემზადებიან საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. კიდევ ბევრი ბრძოლების გადახდა და სჭირდება წითელ არმიას. ეჭვს გარეშეა, რომ წითელი არმია ისე, როგორც უწინ მზად არის ეჭვს გარეშეა, აგრეთვე ის, რომ მთელი მსოფლიოს მშრომელი ახალგაზრდობა აღდგება საბჭოთა კავშირის დასაცავად. თავის მხრივ ახალგაზრდობის კომინტერნი და მისი სექციები აკეთებენ ყველაფერს, რათა ხელი შეუშალონ იმპერიალისტებს მათ პროვოკაციულ მუშაობაში, აამხედრონ მშრომელ ახალგაზრდობის მასები თავის ქვეყნის ბურჟუაზიის და მთელი კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ და დარაზმონ ბურჟუაზიულ არმიების ჯარისკაცები და მატროსები საბჭოთა კავშირის დაცვის და წითელი არმიის მხარეზე გადმოსვლის ლოზუნგების გარშემო“.

ს რ. რუსეთის ცაკისაგან

მოსკოვი, 23 თებერვალი. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის მისალმებაში მუშურ-გლეხურ წითელ არმიისადმი ნათქვამია:

„სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმი მხურვალე სალამს უძღვნის მუშურ-გლეხური წითელი არმიის წითელარმიელებსა და მეთაურებს წითელი არმიის ათი წლის თავზე. დღეს შესრულდა 10 წელი მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის შემდეგ. ამ 10 წლიწადში წითელმა არმიამ გაიარა თავისი დიდი ისტორიული გზა — დიად გამარჯვებათა გზა გააფთრებულ ბრძოლაში შინაურ და საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციასთან. ამ 10 წლიწადში წითელმა არმიამ საბოლოოდ განდევნა საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან მისი მტრები, რამაც საშუალება მისცა საბჭოთა ქვეყნის მშრომელთ შესდგომოდნენ მშვიდობიან სოციალისტურ აღმშენებლობას და გადაელახათ სამეურნეო არევ-დარევა.

სრულიად რუსეთის ცაკი დარწმუნებულია, რომ წითელი არმია, ურყევი თავის შემჭიდროებით, პოლიტიკური სიმტკიცით და სამხედრო-ტექნიკური გაწვრთნით მტკიცედ იდგომება თავის სახელოვან პოსტზე საბჭოთა კავშირის დასაცავად და საჭირო შემთხვევაში შესძლებს მოიგერიოს საერთაშორისო იმპერიალიზმის შემოტევა საბჭოთა ქვეყანაზე.

გაუმარჯოს წითელ არმიას!

სრულიად რუსეთის ცაკის თავმჯდომარე კალინინი.

სრულიად რუსეთის ცაკის მდივანი კისელიოვი.

განათლების მუშაკების მიმართვა.

მოსკოვი, 23 თებერვალი. განათლების მუშაკთა კავშირის ცეკამ და სამეცნიერო მუშაკთა სექციის ცენტრ. გამგეობამ წითელი არმიის ათი წლის თავის გამო მოწოდებით მიმართეს საბჭოთა კავშირის სამეცნიერო მუშაკებს. მოწოდებაში ნათქვამია, რომ იუბილე გამოყენებულ უნდა იქნას საშეფო მუშაობის გაძლიერებისა და ამ მუშაობაში სამეცნიერო ძალების უფრო ფართოდ ჩაბმისათვის (ადს).

ა.-კ. პროფსაბჭოსაგან

მუშურ-გლეხური წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავზე ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი, ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს სახით, უძღვნის საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ მონაპოვართა დამცველს თავის მხურვალე პროლეტარულ სალამს.

მუშურ-გლეხური წითელი არმია წარმოიშვა საბჭოთა ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის უაღრესად მძიმე დღეებში, ოქტომბრის მონაპოვართა გმირული დაცვის თითქმის პირველსავე დღეებში და გასულ 10 წლის განმავლობაში მან გაიარა საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო და შინაურ მტრებთან ბრძოლის უძნელესი გზა, ის ფხიზლად იცავდა დედამიწის ზურგის იმ ერთი მეექვსედის საზღვრებს, სადაც გამარჯვებული პროლეტარიატი მშრომელ გლეხობასთან ერთად აწარმოებს დიად სოციალისტურ აღმშენებლობას.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა კლასი დარწმუნებულია, რომ წითელი არმია, რომელიც თავის დროზე დაეხმარა აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მშრომელ მასებს მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატისტების ბატონობისაგან განთავისუფლებაში, მომავალშიაც მედგრად დაიცავს საბჭოთა ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა მშვიდობიან შრომას.

გაუმარჯოს წითელ არმიას — მუშათა და გლეხთა შეიარაღებულ რაზმებს!

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

ამხ. ვოროშილოვის მისალმება

10 წლის წინად ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის შესახებ. ამ აქტით საფუძველი ჩაეყარა ძლევამოსილ ოქტომბრის რევოლიუციის შეიარაღებული ძალების ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას. ამიერიდან მშრომელების მონაპოვართა დაცვა ევალებოდა მუშურ-გლეხურ წითელ მეომრებს.

კლასობრივი მტრები ღვარძლიანი დაცინვითა და სიძულვილით შეხვდნენ 1918 წ. 23 თებერვლის დეკრეტის გამოქვეყნებას.

მემამულეებსა და ბურჟუებს ჯერ კიდევ არ დაკარგოდათ იმედი — უცდიდნენ რევოლიუციისა და მისი მებაირახტრე ბოლშევიკების დაღუპვას. „დიდ“ და „მცირე“ თავადებს, ბანკირებს, მრეწველებს და აზნაურებს წარმოუდგენლად მიაჩნდათ, რომ მუშები და გლეხები შექმნიდნენ ისეთ არმიას, რომელიც ხანგრძლივად იარსებებდა და გადასწყვეტდა რევოლიუციის ბრძოლის ამოცანებს.

მაგრამ მათ მალე გაუცრუვდათ მოლოდინი. წით. არმია დღითი-დღე იზრდებოდა და მტკიცდებოდა და ბოლოს მტრების მრისხანე ძალად იქცა. დაუსრულებელმა ფრონტებმა და თეთრგვარდიელების მრავალრიცხოვანმა კონტრ-რევოლიუციონურმა არმიებმა, რაზმებმა და ბანდებმა შეასწავლეს წითელ არმიას ბრძოლა და გამარჯვება. იოლი არ ყოფილა ეს გამარჯვება. ათეული ათასი საუკეთესო მუშა და გლეხი დაიხოცა ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეზე, ათეული ათასი ჯანსაღი და ღონიერი მშრომელი გახდა ინვალიდი. მაგრამ მსხვერპლს ტყუილა არ ჩაუვლია. მტრის ძალებმა ვერ გაუძლეს რევოლიუციის შეიარაღებული რაზმების ძლიერ შეტევას — გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა, გაიმარჯვა ჩვენმა სახელოვანმა, მსოფლიოში ერთად-ერთმა წითელმა არმიამ.

წითელმა არმიამ დაამარცხა არა მარტო შინაური კონტრ-რევოლიუცია, არამედ უცხოეთის იმპერიალისტური ჯარებიც, რომლებიც რუსეთის მემამულეებსა და ბურჟუაზიას ეხმარებოდნენ. გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, იაპონიის და სხვა ქვეყნებს გენერლებმა თავის ზურგზე იგემეს წითელი ჯარების განმანადგურებელი ძალა.

წითელი არმია შექმნა კომუნისტურმა პარტიამ და ის დაუღალავად უწევდა ხელმძღვანელობას არმიის მთელ ცხოვრებასა და ბრძოლას. პარტიის რჩეული და ყველაზე მტკიცე ელემენტები გაიგზავნა წითელი არმიის რიგებში. მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ, რომლებიც შეკავშირებული იყვნენ ერთი ნებისყოფითა და ერთი სურვილით მტრის დასამარცხებლად, თავისი საუკეთესო შვილები მისცეს რევოლიუციის შეიარაღებულ ძალებს.

საბჭოთა რესპუბლიკებია მშრომელები იღებდნენ დიდ მსხვერპლს და წითელმა არმიამ გმირული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა.

სამოქალაქო ომის პერიოდის სასტიკ ბრძოლებში და ცხოვრების მძიმე პირობებში გამარჯვების შემდეგ იზრდებოდა და წინ მიდიოდა მუშურ-გლეხური წითელი არმია.

ყოველ არმიას და—განსაკუთრებით კი პროლეტარიატის დიქტატურის პირველ არმიას შეუძლია იარსებოს და გამოსადეგი იყოს მხოლოდ მაშინ, როცა მას ჰყავს პოლიტიკურად მომზადებული და მორალურად მტკიცე მეთაურთა შემადგენლობა. პოლიტმეთაურთა შემადგენლობა— ეს არის მთელი ჩვენი არმიის ხერხემალი, ღერძი და სული. კომპოლიტშემადგენლობამ წარსულ ბრძოლებში თავისი სისხლით და მშვიდობიან დროს თავისი დაუღალავი მძიმე შრომით დაამტკიცა, რომ ის ერთგულია სოციალისტური რევოლიუციის, რომ მას შეუძლია დაწინაურდეს და დააწინაუროს აგრეთვე წითელი არმია, რომელსაც აკლდა დისციპლინა და სიმტკიცე.

მუშურ-გლეხური წითელი არმია თავისი არსებობის ათი წლის თავზე წარმოადგენს ისეთ მებრძოლ ძალას, რომელსაც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მსოფლიოს იმპერიალისტებმა და მათმა ლაქიებმა— საბჭოთა კავშირიდან განდევნილი პარაზიტული კლასების წარმომადგენლებმა, რომელთაც ჯერ კიდევ ესიზმრებათ ჩვენი სამშობლოს სილამაზე და სიმდიდრენი— მისი ნავთი, ქვა-ნახშირი, ოქრო, პური.

წითელი არმიის რიგები ათი წლის განმავლობაში გაიარა მრავალმა მილიონმა მუშამ და გლეხმა. მრავალი ათი ათასი მებრძოლი უფროსები და პოლიტმუშაკები, რომელნიც ეხლა ეწევიან მშვიდობიან შრომას, მთელი თავისი არსებით ყოველთვის არიან წითელ არმიასთან. საბჭოთა კავშირის მთელ მუშათა კლასს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთ არასოდეს არც ერთი წუთით არ გაუწყვეტიათ და არ სწყვეტენ ძმურ კავშირს თავის შეიარაღებულ ავანგარდთან. ისინი ეხლაც დაუღალავად მუშაობენ არმიის ტეხნიკური და სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად. მშრომელებს არმიასთან, მის ყოველდღიურ ცხოვრებასთან კიდევ უფრო მეტად აკავშირებს ჩვენი ტერიტორიალურ-სამილიციო სისტემა. კომკავშირი —ახალგაზრდა ლენინელთა კავშირი ყოველთვის იყო, არის და იქნება წითელი არმიის საუკეთესო მეგობარი, რომელიც ყოველწლიურად აწვდის მას საუკეთესო ძალებს.

ათი წლის თავზე საბჭოთა კავშირის წითელი შეიარაღებული ძალების სახელით ძმურ სალამს უძღვნი ჩვენი კავშირის მშრომელთ, ყველა იმათ, ვინც აწყობდა წითელ არმიას და ვინც მის რიგებში იბრძოდა რევოლიუციისათვის.

მხურვალე სალამი წითელი არმიის სახელით საერთაშორისო პროლეტარიატს, მის ერთგულ მოკავშირეს მსოფლიო კონტრ-რევოლიუციასთან და იმპერიალიზმთან ბრძოლაში.

მხურვალე სალამი სამოქალაქო ომის ყველა გმირებს —ინვალიდებს, მებრძოლებს, უფროსებს, თადარიგის პოლიტმუშაკებს.

მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები ყველა წითელ მებრძოლებს, უფროსებს და პოლიტმუშაკებს, რომელნიც დაუღალავად ეწევიან სახელოვან სამსახურს წითელი დროშების ქვეშ.

ყოველი მუშა და გლეხი შინაგანი კმაყოფილების გრძნობით ხვდება წითელი არმიის ათი წლის თავს და ამას აქვს სათანადო საფუძველი და მიზეზი. ჩვენი წითელი არმია არის ერთად ერთი არმია მსოფლიოში, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშებთან და გლეხებთან; არა მარტო წითელ არმიელთა მასა, არამედ უფროსთა შემადგენლობა, პოლიტმუშაკები უდიდესი უმრავლესობით—გამოსული არიან მუშათა და გლეხთა წრიდან.

თვით სამსახური არმიაში არის ამავე დროს კულტურული სკოლა ახალგაზრდობისათვის, განსაკუთრებით გლეხობისათვის. კულტუროსნობის გარდა არმია სწავლობს კოლექტიურ ცხოვრებას, კოლექტიურ დისციპლინას, რასაც მნიშვნელობა აქვს არა მარტო უშუალოდ წითელი არმიისათვის და მისი ბრძოლის უნარიანობისათვის, არამედ წითელარმიელთა კერძო ცხოვრებისათვისაც. ამის დამამტკიცებელია ის, რომ ჩვენი საბჭოთა, კოოპერატიული და სხ. ორგანოები სოფლად უმთავრესად შესდგებიან ყოფილ წითელ არმიელთაგან.

წითელი არმია ყოველ წლობით თავისი რიგებიდან უშვებს ორასი ათას წითელ არმიელს და ამით იგი სულ უფრო და უფრო უშუალოდ უკავშირდება მშრომელთა მასებს, ვინაიდან, როგორც ზემოდ ვსთქვით, წითელი არმია არის კულტურული სკოლა, და ამის გამო მოგონება არმიაში გატარებული დროის შესახებ საუკეთესო მოგონებად რჩება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ამ დღეებში ნიკოლსკის ქუჩაზე შემთხვევით გავხდი მოწმე ასეთი ამბისა: ორი სამოქალაქო ტანთსაცმელში ჩაცმული აკრიტიკებდა ქუჩაში მიმავალი სამხედრო ნაწილის უფროსს, რომ იგი სწორედ არ უწევდა ხელმძღვანელობას თავის ნაწილს, და სანამ ნაწილი არ მიეფარა თვალს, ისინი სავსებით სერიოზულად აღნიშნავდნენ უარყოფით და დადებით მხარეებს. ისინი, ალბად, ყოფილი წითელ არმიელები ან უფროსები იყვნენ, და ასეთები ასი ათასობით არის.

კავშირის ყველა ერების პროლეტარიატს გლეხობის წითელი არმიის სახით ჰყავს ავანგარდი— მტკიცე სიმაგრე საბჭოთა კავშირის მტრების, კლასობრივი მტრების წინააღმდეგ. როგორც მუშამ, ისე გლეხმა იცის, რომ ისინი თავის ინტერესებს დაიცავენ არმიაში, რომ იგინი წარმოდგენენ შეკავშირებულ ძალას, რომელსაც შეუერთდებიან ყველა მუშები და გლეხები, როცა საჭირო იქნება გალაშქრება მტრების წინააღმდეგ. ამიტომ ძლიერია ჩვენი არმიის კავშირი მუშათა მასებთან და გლეხობასთან.

ჩვენი წითელი არმია წარმოიშვა და გაიზარდა სამოქალაქო ბრძოლაში, თეთრგვარდიელთა, —ჩვენი კლასობრივი მტრების ტყვიისმფრქვევლების და ზარბაზნების გრიალში. წითელი არმია აღჭურვილი იყო ძლიერი ენტუზიაზმით, გმირული თავდადებით, აღჭურვილი იყო მტკიცე რწმენით და სწორედ ამით გაიმარჯვა მან მუშათა და გლეხთა მტრებზე და საბჭოთა კავშირის საზღვრებთან დააყენა მტკიცე მცველი ძალა.

გაივლო 10 წელი... როგორი წლები?.. 10 წლებს ახასიათებდა მთელი რიგი სტიქიური უბედურებანი (მოუსავლიანობა 1921 წელში, წყალდიდობა ლენინგრადში, მიწისძვრა ყირიმში და სხ.). კაპიტალიზმის განუწყვეტელი გამოლაშქრება ჩვენი კავშირის წინააღმდეგ (კერზონის ულტიმატუმი, თავდასხმა ლონდონის საბჭოთა წარმომადგენლობაზე, ინგლისის მიერ ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტა, მუშების ჟლეტა ჩინეთში და სხ.) მაგრამ იზრდებოდა მატერიალური და კულტურული ძლიერება და ამასთან ერთად იზრდებოდა ჩვენი წითელი არმიის ძლიერება.

ჩვენ არა ვართ პრინციპიალური მომხრენი იმისა, რომ მუდმივი შეიარაღებული ძალები ვიყოლიოთ. პროლეტარულ სახელმწ. თავისი შინაგანი პოლიტიკით შეუძლია არ იყოლიოს მუდმივი არმია.— [illegible] გადაჭრით განაცხადა ჩვენმა დელეგაციამ ჟენევის ეგრედწოდებულ სამშვიდობო კონფერენციაზე, და ყოველ შემთხვევაში ჩვენი ბრალი არ არის, რომ არ გავიდა ჩვენი წინადადება შეიარაღებული ძალების ნამდვილი და არა მოჩვენებითი შემცირების შესახებ. ასეთ მდგომარეობაში და პირობებში, როცა ჩვენი კავშირის მტრები განუწყვეტლივ აჩხარუნებენ იარაღს, აუცილებლობა გვაიძულებს განსაკუთრებული ყურადღება გამოვიჩინოთ საკუთარი შეიარაღების საქმისადმი.

ჩვენ გვიყვარს და ვაფასებთ ჩვენს წითელ არმიას, არა მარტო როგორც მებრძოლს ძალას, არამედ როგორც მუშათა კლასისა და გლეხობის ახალგაზრდათა საუკეთესო ნაწილს. პროლეტარული სახელმწიფოსათვის იგი წარმოადგენს არა იარაღის ავანტიურების და მეზობლებზე თავდასხმისათვის, არამედ მხოლოდ აუცილებელ საშუალებას საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავად. ამიტომ სავსებით გასაგებია ის მუდმივი სიფრთხილე, რომელსაც საბჭოთა მთავრობა იჩენს პოლიტიკური გართულების დროს და სცდილობს მშვიდობიანად გადასწყვიტოს ყველა კონფლიქტები.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნება თქმა იმისა, რომ ეს სიფრთხილე გამოწვეულია საკუთარი სისუსტის შეგნებით. როცა დადგება მუშათა და გლეხთა ძირითადი ინტერესების დარღვევის მომენტი ან საფრთხე, წითელი არმია შესძლებს სავსებით გამოაშკარაოს თავისი ძლიერება, თავისი თავდაცვის უნარი.

და დღეს, წითელი არმიის ათი წლის თავზე, ყოველ მუშასთან და ყოველ გლეხთან, ერთად, სიამაყისა და კმაყოფილების გრძნობით ვესალმები წითელ არმიას— წითელ არმიელთა და მეზღვაურთა, უფროსთა და პოლიტშემადგენლობის სახით, იმ მტკიცე რწმენით, რომ იგი წმინდათ ინახავს და ანვითარებს თავის რევოლიუციონურ ტრადიციებს, რომელნიც მან მიიღო თავის წარმოშობისთანავე.

გაუმარჯოს წითელ არმიას—მუშათა და გლეხთა დასაყრდენს!

ქ. ვოროშილოვი.

წითელი არმია შრომის ფრონტზე

საქ. ცაკის დადგენილება

№ მესანგრეთა ათასეულის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ცაკმა მიიღო დადგენილება კავკასიის წითელდროშოვან არმიის № ცალკე მესანგრეთა ათასეულის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვების შესახებ სვანეთის გზატკეცილის აღსადგენად და გასაფართოვებლად გაწეულ მუშაობისათვის.

„კავკასიის წითელდროშოვან არმიის № ცალკე მესანგრეთა ათასეული,—ნათქვამია დადგენილებაში,—ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში საზაფხულო პერიოდებში აწარმოებდა მუშაობას სვანეთის გზატკეცილის აღსადგენად და გასაფართოვებლად.

ამ ხნის განმავლობაში დასახელებულმა ათასეულმა შეასრულა დიდი ღირებულების მუშაობა: აგებულია 50 ხიდი, დაახლოვებით 660 მეტრის სიგრძით, შესრულებულია 6.300 კუბ. მეტრზე მეტი კლდისა და 16.000 კუბ. მეტრ. მიწის სამუშაოები, ციცაბო კლდეებიდან მუშაობის ადგილზე მიტანილია დიდი რაოდენობის ხე-ტყისა და სხვა მასალა, შესრულებულია სადურგლო, სამჭედლო და სხვა მუშაობა.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის № ცალკე მესანგრეთა ათასეულმა ეს მუშაობა შეასრულა სვანეთის ადგილმდებარეობის ძნელ პირობებში. ათასეული, მუშაობის სასწრაფო ხასიათის გამო, მუშაობდა დროს განუსაზღვრელად, დაწესებულ შესვენების დღეებშიაც კი, ამასთანავე ათასეულის შემადგენლობამ გამოიჩინა დიდი შეგნება, ძალების უდიდესი დაჭიმვა, დიდი მოხერხება და იშვიათი სიმტკიცე დაბრკოლებებთან ბრძოლაში.

აღნიშნავს რა № ცალკე მესანგრეთა ათასეულის ასეთ თვალსაჩინო მუშაობას, რომელსაც უდიდესი საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს საქართველოს და კერძოდ სვანეთისათვის, **საქართველოს ცაკის პრეზიდიუმი განსაკუთრებულ მადლობას უძღვნის აღნიშნულ ათასეულს და აჯილდოვებს მას შრომის წითელი დროშის ორდენით“.**

24 თებერვალს მოხდება საქართველოს ცაკის მიერ № ცალკე მესანგრეთა ათასეულისათვის დროშის საზეიმო გადაცემა.

საქართველოს პროფკავშირები—წითელ არმიას

წითელი არმიის ათი წლის თავის აღსანიშნავად, საქართველოს პროფკავშირთა, კავშირების ცენტრ. გამგეობათა და ქალ. თბილისის წარმოებების მუშათა წარმომადგენლები 26 თებერვალს, თბილისის ჰაეროდრომზე წითელ არმიას გადასცემენ ორ აეროპლან „საქართველოს პროფკავშირები“ და „თბილისის პროლეტარი“.

მუშურ-გლეხური წითელი არმია ჩაისახა სამოქალაქო ომის ცეცხლში და გრიგალში, როცა რუსეთის კონტრრევოლიუცია ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ მთელ თავის ძალებს იკრებდა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად. სამოქალაქო ომის ცეცხლში, მონარქისტულ-ესერულ და მენშევიკურ თეთრგვარდიელებთან და მათ დამხმარე დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიასთან ბრძოლებში წითელი არმია გამოიბრძმედა, გაიზარდა და გადაიქცა ძლევამოსილ და ძლიერ ძალად, რომელმაც ერთის დაკვრით გაანადგურა მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ყველა ჯურის მტრები.

წითელი არმია ძლიერი და ძლევამოსილია მით, რომ იგი შექმნილია მუშათა და გლეხთა ნებისყოფით, შესდგება მუშებისა და გლეხებისაგან და მოწოდებულია დაიცვას მუშათა და გლეხთა სოციალისტური მშენებლობა.

რევოლიუციამდე არსებული მეფის არმია კაპიტალისტებისა და მემამულეთა იარაღს წარმოადგენდა მშრომელთა საექსპლოატაციოდ და დასაბეჩავებლად.

ამჟამად კი წითელი არმია წარმოადგენს სკოლას, სადაც მუშები და გლეხები სწავლობენ რა თავისი სოციალისტურ სახელმწიფოს დაცვის ხელოვნებას, ამასთან ერთად იძენენ პოლიტიკურ და კულტურულ მომზადებას და ამრიგად ფაბრიკაში ან სოფელში დაბრუნებული წითელ არმიელი თავისთავად წარმოადგენს კულტურულ ძალას, რომელიც ეწევა მუშაობას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგებში.

მუშები და გლეხები არას დროს არ შეასუსტებენ დახმარებას და ზრუნვას თავის წითელ არმიაზე. 1924 წელში, როცა ინგლისის შუბლმაგრებმა თავიანთი პირველი ულტიმატუმი წარუდგინეს მუშათა და გლეხთა მთავრობას, შუბლმაგრებმა შესაფერისი პასუხიც მიიღეს. ბრძოლისათვის ყოველთვის მზათ მყოფ წითელი არმიის დასახმარებლად მთელ საბჭოთა კავშირში გაისმა მუშებისა და გლეხების ძლიერი მოწოდება. ულტიმატუმის პასუხი იყო გუგუნი საჰაერო ესკადრილიის მრავალრიცხოვან მოტორებისა, რომელიც აგებულ იქნა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ნებაყოფლობითი შემოწირულებებით.

წითელი არმიის და მუშათა და გლეხთა მთლიანობის ასეთი დემონსტრაციის შემდეგ მსოფლიო ბურჟუაზიის შუბლმაგართა ყოველი მუქარა—უბრალო ქოფაკის ყეფაა.

სახელოვანი წითელი არმიის ათი წლის არსებობის დღეს საქართველოს პროფკავშირები წითელ არმიას გადასცემენ ორ აეროპლანს: „საქართველოს პროფკავშირები“ და „თბილისის პროლეტარი“, რომელიც აგებულია პროფკავშირების წევრთა ანარიცხებით.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საჰაერო ძალებში ჩარიცხული ეს ორი აეროპლანი, საჭირო მომენტში დაეხმარება მას მტრის იერიშების მოგერიებაში. გარდა ამისა, საქართველოს პროფკავშირების ეს საჩუქარი ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს წითელ არმიას, რომ საქართველოს პროლეტარიატი ზრუნავს არმიაზე, თავის ამხანაგებზე და ძმებზე, რომელნიც მოწოდებული არიან დაიცვან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

გაუმარჯოს უძლეველი, სახელოვანი წითელი არმიის ათი წლის თავს!

გაუმარჯოს წითელ არმიის ერთიანობას მუშებთან და გლეხებთან!

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

წითელი არმიის ათი წლის თავის აღსანიშნავად

საზეიმო სხდომა წითელი არმიის სახლში

გუშინ, საღამოთი, წითელი არმიის სახლში შესდგა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი წითელი არმიის 10 წლის თავისადმი. სხდომას დაესწრნენ წითელ არმიელნი, კადრის და თადარიგის მეთაურნი და მუშა-მოსამსახურენი.

საზეიმო სხდომა გახსნა არმიის შტაბის უფროსმა ამხ. ალაფუზომ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე, რომელმაც საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის სახელით წითელ არმიას გადასცა სალამი. თავის სიტყვაში ამხ. მახარაძე შეჩერდა წითელი არმიის ორგანიზაციაზე, მის კლასობრივ შეგნებაზე, რომელიც ხდის წითელ არმიას მშრომელთა უძლეველ ძალად. ამხ. მახარაძემ აღნიშნა ის სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც მშრომელები ეპყრობიან თავის ღვიძლ შვილს —წითელ არმიას და დაასახელა ამის დამამტკიცებელი ფაქტები.

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობას, ამხ. ფ. მახარაძემ სთქვა, რომ ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ ომისათვის. „ომის დროს მთელი მშრომელი მოსახლეობა იქნება წითელ არმიასთან ერთად. წითელი არმიის დამარცხება არ შეიძლება, ვინაიდან იგი ძლიერია თავისი იდეებით. გაუმარჯოს მსოფლიო წითელ არმიას“ — ასე გაათავა ამხ. ფილიპემ თავისი სიტყვა.

ამხ. მამია ორახელაშვილის სიტყვა

ამხ. ფ. მახარაძის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხ. მამია ორახელაშვილი, „წითელი არმიის არსებობის ათი წელი ისეთივე „ხანწაულია“, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ათი წელი“ — ამბობს ამხ. მამია. შემდეგ ამხ. ორახელაშვილი ვრცლად ეხება ძველ და ახალ არმიას და განსხვავებას მათ შორის. ამხ. მამია ამბობს, რომ წითელი არმია მით არის ძლიერი, რომ მას აქვს კლასობრივი შეგნება, იცის, რასაც ემსახურება.

ამხ. ორახელაშვილი ეხება წითელ არმიას, როგორც კულტურულ მშენებლობის და ზრდის ძლიერ ფაქტორს.

სიტყვის დასასრულს ამხ. მამია ამბობს, რომ მიღებულ უნდა იქნეს ყოველგვარი ზომები იმ თადარიგის მეთაურთა და შვებულთა უზრუნველსაყოფად, რომლებიც მუშაობდნენ წითელ ჯარში.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

ამხ. მიხა ცხაკაია ესალმება წითელ არმიას ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით. თავის სიტყვაში ამხ. მიხა ეხება წითელი არმიის წარსულს, მის ბრძოლებს, მენშევიკური მთავრობის მუხანათურ პოლიტიკას და იმ დახმარებას, რომელიც აღმოუჩინა წითელმა არმიამ ამიერ-კავკასიის მშრომელებს. ამხ. მიხას სიტყვის დასასრულს მფარავს მქუხარე ტაში.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ალაფუზოს მისალმება კავკასიის არმიის სამხ.-რევ. საბჭოს სახელით, ამხ. ნემერზელის მისალმება არმიის პოლიტ-სამმართველოს სახელით და მთელი რიგ საზოგადოებრივ და პროფესიონალურ დაწესებულებების წარმომადგენლების მისალმებები.

უგეგმო მუშაობის, უმომჭირნეობის და კერძო კაპიტალთან დამოყვრობის ფაქტები

(საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მასალებიდან)

კიდევ და კიდევ გვიხდება ლაპარაკი და წერა ჩვენი სამეურნეო და სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა ხასიათის ნაკლისა და დეფექტების შესახებ. გვიხდება მათი გამომჟღავნება გაზეთის ფურცლებზე შეცდომების შემდგომ გამოსწორების მიზნით.

მომყავს რამოდენიმე ფაქტი.

კინომრეწველობა

კინო-მრეწველობის გამგეობამ განიზრახა კინო-ატელიეს აშენება, რაც, რასაკვირველია, თავის თავად ძალიან კარგი საქმეა.

მან შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა, სადაც დაარწმუნა თავის თავი და ზევით მდგომი ორგანოები იმაში, რომ ამ კინო-ატელიეს აშენება დაჯდება არა უმეტეს 70.000 მანეთისა.. გამგეობის შემდეგ წარდგენილ ხარჯთ- - აღრიცხვას იხილავს კინო-მრეწველობის საბჭო, სადაც 70 ათასი მანეთის მაგიერ მტკიცდება — 155.115 მანეთი. რაღაც მანქანებით ამის შემდეგ კიდევ იბადება მესამე ხარჯთ-აღრიცხვა, სადაც კინოატელიეს აგების ხარჯები გათვალისწინებულია 161.802 მან. ეს თანხაც დამტკიცებულ იქნა საბჭოს მიერ. ამას გარდა ატელიეს აგების სამუშაოები კინომრეწველობამ, წინააღმდეგ არსებული კანონისა, გასცა საჯარო ვაჭრობის გარეშე. აშკარათ დაარღვია კანონი. მაგრამ გავყვეთ ქვევით, კინო-მრეწველობის გამგეობამ ბოლოს აღარ მოისურვა კინო-ატელიეს აგება ძველი გეგმის თანახმად, იგი აღარ აკმაყოფილებს მას, „მადა ჭამის დროს მოუდის“, სცვლის და აფართოებს მას, რასაც, რასაკვირველია, სჭირდება ახალი დამატებითი ხარჯები. კინო-მრეწველობის გამგეობა ყურადღებას არ აქცევს სახელმწიფოში არსებულ საგეგმო ორგანოების დირექტივებს (არც ეკითხება მათ რასმეს), იწყებს არსებულ პროექტის სხვანაირათ შეცვლას და ამრიგათ კინო-ატელიეს აგების ხარჯები აყავს 400.000 მანეთამდე. ასე გაიზარდა პირველათ გათვალისწინებული 70 ათასი მანეთი.

და მერე როდის ხდება ეს? არა 1922—23—24 და 25 წლებში, არამედ ეხლა—27-28 წლებში, როცა ჩვენ თითქოს გვეგონა რაღაცა ვისწავლეთ, შევიგენით პასუხისმგებლობა, მომჭირნეობის მნიშვნელობა პროლეტარულ სახელმწიფოსათვის და სხვა.

მაგრამ, როგორც სჩანს, კინო-მრეწველობის გამგეობის თავზე ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი, „მგლის თავზე სახარების“ კითხვა ყოფილა, მისთვის უმაღლესი ორგანოების დირექტივებს ფუჭეთ ჩაუვლია, ყურებიც არ გაუბერტყავს და თითიც არ გაუნძრევია ამ დირექტივების გასატარებლად ცხოვრებაში.

აი, საუკეთესო მაგალითი ზოგიერთი დაწესებულებების „გეგმიანი“ მუშაობის, აი, მაგალითი ჩვენებური უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის. ეს მეათასეჯერაა მგონია ნათქვამი.

რაღა საჭიროა რაიმე სახელმწიფო გეგმების შედგენა, რაღა საჭიროა ხუთწლიანი და წლიანი გეგმები თუ კი ასე ვიმუშავებთ? რაღას ვხარჯავთ ამ გეგმების შედგენაზე ფულებს?

ასეთი „გეგმიანი“ მუშაობისათვის საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ პასუხისგებაში მისცა კინომრეწველობის ძველი გამგეობა და საქმე განსახილველათ გადაგზავნა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში.

თითქმის ყველა ახალი — წამოწყებები ჩვენში იწყებოდა უგეგმოდ, გვიჯდებოდა ძვირი, არ სრულდებოდა თავის დროზე და სხვა. ეს იყო, ასე ვთქვათ, გუშინდლამდი. იგი აღარ უნდა იყოს დღეს, აღარ უნდა განმეორდეს მომავალში, იმიტომ, რომ ჩვენ ამ ხნის განმავლობაში მაინც ვისწავლეთ რაღაცა, ყურები გამოვიჭედეთ ლაპარაკით გეგმიანობაზე, მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაზე, დაუდევრობაზე, უპასუხისმგებლობაზე, ზედმეტ ხარჯებზე და სხვა.

„რიონჰესი“

ყრუსაც კი უნდა შეესმინა ამდენ ხანს რაღაცა. მაგრამ რას ვხედავთ? „რიონჰესი“ გუშინ დავიწყეთ, და აი, უკვე საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში შემოდის მასალები, რომლებიც ღაღადებენ იქ უმომჭირნეობაზე და დაუდევრობაზე. მაგალითად, „რიონჰესისთვის“ თბილისში არსებობს მომარაგების განყოფილება, ქუთაისშიაც არსებობს ასეთივე განყოფილება. რა საჭიროა ორივეს არსებობა? ყური დაუგდოთ შემოსული მასალების შინაარსს:

ქუთაისის მომარაგების განყოფილებაში მუშაობს 31 კაცი, მათი ჯამაგირი გაიცა 6 თვეში 17.182 მან. ამ ხნის განმავლობაში მასალა შეიძინეს სულ—26.776 მან. და 52 კაპ. აქ შედის დაახლოვებით ზედნადები ხარჯები — **19.068 მ. და 88 კ., ასე, რომ ფაქტიურად ჯამაგირი გასცეს 6 თვეში—17.182 მან. და მასალა შეიძინეს სულ — 7.707—64 კ.**

ზემოაღნიშნული გარემოება ყოვლად დაუშვებელია. მიუხედავათ მათი შტატის სიდიდისა და აგრეთვე მათი მუშაობის სიმცირისა,აღსანიშნავია ის გარემოება,რომ ოქტომბრის,ნოემბრის და დეკემბრის ანგარიშები დღემდე არაა განაწილებული და დამუშავებული.

ეხლა თბილისის მომარაგების განყოფილების შესახებ. შტატში შედის 18 კაცი, მათი ჯამაგირი გაიცა 6 თვის განმავლობაში დაახლოვებით — 9.682—93 კ. აქვე დაიხარჯა მასალის შეძენაზედ — 389.193 მან. ზედნადები ხარჯები გამოდის სულ 10.002 მან. ასე, რომ ფაქტიურად მასალა შეძენილია სულ — 379.193 მან. ჯამაგირი გაცემულია სულ 9.682 მან. და 93 კაპ. აქ არ შედის ზაჰესიდან გადაგზავნილი მასალა, რომლის ღირებულება გამოიხატება დაახლოვებით — 744.000 მან.

გამოდის, რომ 31 კაციდან შემდგარ შტატს თითქმის არაფერი არ ქონია გასაკეთებელი ქუთაისში, მხოლოდ 18 კაციდან შემდგარი შტატი თბილისში, გაცილებით მეტს აკეთებს. რა იყო ან დღეს რა არის მიზანშეწონილი? მიზანშეწონილი იყო, რომ ქუთაისში არ დაარსებულიყო მომარაგების განყოფილება (რომელიც ჯამაგირს იღებს 18.000 მანეთამდე და აკეთებს 7.000 მანეთის საქმეს); ხოლო დღეს უნდა დაისვას საკითხი მისი გაუქმების შესახებ.

არ უნდა მივაქციოთ ამას ყურადღება? არ უნდა გავუფრთხილდეთ სახელმწიფო კაპეიკებს, რომ ისინი მიზანშეწონილათ იქნან დახარჯული? არ უნდა ვებრძოლოთ ზედმეტ ხარჯებს?

„რიონჰესი“-ს შესახებ ხელთ გვაქვს მეორე მასალა, რომლითაც მტკიცდება შემდეგი: 16 პირს უკანონოთ აქვთ მიღებული 9 ათას მანეთამდე, უკანონოთ, ე. ი. არ ერგებოდათ და მოხერხებით მიუღიათ.

„რიონჰესი“-ს შესახებ ხსენებული მასალები გადაეცა იმ კომისიას, რომელიც ამას წინათ გამოყო სახკომსაბჭომ „რიონჰესი“-ს რეორგანიზაციისა და ყოველგვარი ხარჯების მაქსიმალურათ შემცირების მიზნით, სადაც შედის საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი წარმომადგენელი.

კერძო კაპიტალი

სავსებით მართალია ის დებულება, რომ მიუხედავათ მრავალი ნაკლისა და დეფექტებისა, მიუხედავათ შეცდომებისა, რომლებსაც ჩვენი სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოები უშვებდნენ ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ მაინც მივდიოდით წინ, იზრდებოდა და მტკიცდებოდა ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჩვენი მშენებლობის დროს სოციალისტური სექტორი ჩვენს მეურნეობაში.

ეს ასეა, მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენი სწორი მუშაობით უნდა უზრუნველვყოთ ხსენებული სოციალისტური სექტორის საბოლოო გამარჯვება არა სოციალისტურ ელემენტებზე.

რა არის ამისათვის საჭირო? საჭიროა გეგმიანი მუშაობა, ფინანსიური საშუალებანი და ამ საშუალებათა მიზანშეწონილათ გამოყენება. ჩვენ უნდა ვაშენოთ კარგათ, იაფათ და თავის დროზე საჭიროა ბრძოლა კერძო ვაჭართან, ნეპმანთან, კულაკთან და ბიუროკრატთან, იზოლიაცია მათი და შემდეგ სავსებით მოსპობა. ასეთია პარტიის დირექტივები, ასეთია პარტიის ხაზი.

მაგრამ ზოგიერთი პირები და დაწესებულებანი არ ასრულებენ ამას, უძმობილდებიან ნეპმანებს, კერძო ვაჭრებს, ზრუნავენ მათთვის და ჩვენი და სამარცხვინოთ იცავენ. აი, ერთი ამის სამაგალითო ნიმუში, აი, მართლაც „მხატვრული ნაწარმოები“, რომელიც თავგამოდებით იცავს კერძო ვაჭრობას. დაუგდეთ ყური. „მოქმედება სწარმოებს“ აფხაზეთში, მაგრამ მსგავს რამეს, მერწმუნეთ, ბევრჯერ ქონია ადგილი თვით თბილისშიაც. გავეცნოთ ერთი ოქმის საინტერესო ადგილებს. ამას წინათ ის განხილული იქნა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის მიერ, რომელმაც სათანადო მსჯავრი დასდო ამ „მხატვრულ ნაწარმოების“ ავტორებს. ავტორთა რიცხვში ურევიან კომუნისტებიც.

ოქმი

ძმ. ილარიონ და რაჟდენ შენგელაიების კრედიტორების კრებისა, თვით მოქ. შენგელაიების დასწრებით, მათი დავალიანების მოწესრიგების შესახებ.

დაესწრნენ:

აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკაში შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა. ვ. გრიგოლია, წარმომადგენლები: შაქრის ტრესტის —პეტროსიანი, სახელმწიფო თამბაქოს ქარხნის — ბორისენკო, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის — ლიტვინენკო, „სევკავტორგის“ ნოვოროსიის განყოფილების — ზაპოროჟკო, ს. მ. უ. ს. სავაჭრო კანტორის — გეგეჭკორი, სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების — გელიჰალი და ცეცხლაძე და ძმები ილარიონ და რაჟდენ შენგელაიები.

თავმჯდომარეთ ერთხმად იქნა არჩეული შინა-ვაჭრობის რწმუნებული— ა. ვ. გრიგოლია.

მოისმინეს:

შინა-ვაჭრობის რწმუნებულის ა. ვ. გრიგოლიას ცნობა, ძმები შენგელაიების სავაჭრო სახლის მდგომარეობის შესახებ, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: ერთი თვის წინათ მას (გრიგოლიას) მიმართეს ძმ. შენგელაიებმა განცხადებით იმის შესახებ, რომ ვაჭრობის შენელებისა და ფინანსიური კრიზისის გამო, ფირმა განიცდის მწვავე კრიზისს და არ აქვს საშუალება თავის დროზე გაანაღდოს მის მიერ სხვადასხვა დაწესებულება და პირებისადმი გაცემული ვალდებულებები, ხოლო სურთ რა, რაც არ უნდა იყოს, შესაძლებელი კეთილსინდისიერებით დაფარონ თავიანთი დავალიანება, ხსენებული შენგელაიები სთხოვენ მას, — აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკაში შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, — აღმოუჩინოს შესაძლებელი დახმარება შექმნილ მდგომარეობის მოსაწესრიგებლად.

შინა-ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის გრიგოლიას მოხსენების შემდეგ, კრედიტორებთა ყველა დამსწრე წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ძმ. შენგელაიები დიდი ხანია რაც ცნობილ არიან როგორც განსაკუთრებით კეთილსინდისიერი კომერსანტები, რომ მათი ვაჭრობის საქმე შეფერხდა არახელსაყრელ გარემოებათა ზეგავლენით და, რომ ისინი (ძმ. შენგელაიები) შესძლებენ პირნათლათ გამოსვლას შექმნილ მდგომარეობიდან, ერთგვარ აქტიური დახმარებით, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო კრედიტორების მხრით.

დაადგინეს:

იღებს რა მხედველობაში, რომ ძმები შენგელაიები თავიანთი პირადი ღირსებებით ღირსნი არიან სრული ნდობისა, რომ მათი ვაჭრობის საქმე შეფერხდა არახელსაყრელ გარემოებათა გამო, რომ ძმ. შენგელაიების ფირმა დიდი ხანია ცნობილია და განირჩევა თავისი განსაკუთრებული კეთილსინდისიერებით და ყოველთვის წესიერათ იხდიდა თავის ვალებს, კრედიტორებთა საერთო კრება ადგენს:

1.—ძმ. შენგელაიების ფირმას აღმოუჩინოს დახმარება, რისთვისაც წინადადება მიეცეს ყველა თამასუქების მქონეებს, თამასუქების ვადის დადგომისთანავე მიიღონ ძმ. შენგელაიებისაგან ნაღდ ფულად თამასუქში აღნიშნული თანხის 15 პროცენტი, ხოლო დანარჩენ თანხაზე მიიღონ მათგან თამასუქევე 45 დღის ვადით; გადაწერილ თამასუქების ახალი ვადის დადგომისას, თამასუქის მქონენი ისევ იღებენ ნაღდ ფულად თამასუქის პირვანდელ ძირითადი თანხის 15 პროცენტს, ხოლო დარჩენილ თანხას იღებენ თამასუქებით ისევ 45 დღით, მესამე ვადის დადგომისას თამასუქის მეპატრონენი იღებენ ნაღდათ 25 პროც. უკანასკნელ თამასუქში აღნიშნულ თანხისას, ხოლო დარჩენილი თანხა ისევ გადაიწერება 45 დღით და ასე ვალის სრულ განაღდებამდე.

2. თამასუქების გადაწერისას ძმ. შენგელაიებს გადახდეთ პროცენტები თამასუქების დახურდავებისათვის სახელმწიფო ბანკის ნორმებით.

3. წინადადება მიეცეს ძმ. შენგელაიებს იმ კერძო კრედიტორებს, რომლებისაგანაც გაცემულ თამასუქებში მიღებული აქვთ ფული და არა საქონელი, ყოველთვიურად აძლიონ ძირითად თანხის არა უმეტეს 10 პროცენტისა, ამ დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ ვალის განაღდების წესის დაუბრკოლებლად.

4. სავაჭრო თამასუქებით ძმ. შენგელაიების დავალიანების განაღდება სახელმწიფო და კერძო სავაჭრო ფირმებისადმი უზრუნველყოფილია შენგელაიების სახლებით, რომლებიც მდებარეობენ ქ. სოხუმში ოლღას ქუჩაზე № 7 და ორჯონიკიძის ქუჩაზე № 55 და აგრეთვე საქონლებით, რაც მოიპოვება მათ მაღაზიაში მე-3 ინტერნაციონალის ქუჩაზე № 355, რაზედაც ძმ. შენგელაიებს ჩამოერთვას სათანადო პირობა.

5. ძმებ შენგელაიებს თუ რომელიმე კრედიტორთაგანი წარუდგინს თავის პრეტენზიებს და ასწერს მათ ქონებას, სახელმწიფო კრედიტორებიც დაუყოვნებლივ წარადგენენ თავიანთ პრეტენზიებს და მიიღებენ დაკმაყოფილებას პირველ რიგში სხვა კრედიტორებზე ადრე, თანახმად არსებულ კანონმდებლობისა.

6. ძმ. შენგელაიების ფირმის სავაჭრო ოპერაციების გაძლიერებისა და ამრიგათ ამ ფირმის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, ამ ფირმას კრედიტი არ დაეხუროს, არამედ მხოლოდ შემცირებულ იქნას იგი 50 პროცენტით ამჟამად არსებულ ნორმასთან შედარებით.

7. ასლები ამ ოქმისა დაეგზავნოს ძმ. შენგელაიების ყველა კრედიტორებს წინადადებით **სავსებით შეუერთდნენ მასში აღნიშნულ დადგენილებას.**

8. ამ ოქმს დაერთოს ყველა სახელმწიფო საწარმოთა კრედიტორების სია, შინა-ვაჭრობის სახკომატის რწმუნებულის მიერ შემოწმებული.

9. ეთხოვოს შინა-ვაჭრობის სახკომატის რწმუნებულს იქონიოს ფხიზელი მეთვალყურეობა ძმ. შენგელაიების ფირმის სავაჭრო საქმიანობაზე და ყოველ ისეთ შემთხვევის შესახებ, რაც არღვევს სახელმწიფო-საწარმოო კრედიტორის ინტერესებს, დაუყოვნებლივ აცნობოს მათ.

ხელს აწერენ: შინა-ვაჭრობის სახკომატის რწმუნებული აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკაში გრიგოლია.

წარმომადგენლები: შაქრის ტრესტის (პეტროსიანი), სახ. თამბაქოს ქარხნის—დირექტორი (ბორისენკო), საბჭოთა სავაჭრო ფლოტის (ლიტვინენკო), „სევკავტორგი“-ს ნოვოროსიის განყოფილების (ზაპოროჟკო), ს. მ. უ. ს. სავაჭრო კანტორის (გეგეჭკორი), სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების (გარეჩალი და ცეცხლაძე).

აი, როგორ უწყობენ ხელს ზოგიერთი პირები და დაწესებულებანი სოციალისტური ელემენტების გაძლიერებისა და გამარჯვების საქმეს არა სოციალისტურ ელემენტებზე. აი, როგორ ებრძვიან ისინი კერძო ვაჭრობას.ვინ იცის რამდენი ამისთანა რამე ხდება ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში? რას ჰგავს ეს მუშაობა? განა ეს დასაშვებია? განა არ უნდა გამოვამჟღავნოთ, არ უნდა გამოვიყვანოთ ასეთი ხალხი სააშკაროზე და არ უნდა მოვსთხოვოთ პასუხი? განა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ იმისათვის მიანდო საქმე ზემოთ დასახელებულ „მხატვრებს“, რომ სპეკულიანტ შენგელაიების ფირმის ინტერესები დაიცვან და გამოიმუშაონ მის გადასარჩენათ და შემდეგი გაძლიერებისათვის ღონისძიებანი? სად გაგონილა ეს?

დამნაშავეებს შესაფერი სასჯელი გამოუტანა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, საბჭოებმა, პროფკავშირებმა, საკონტროლო ორგანოებმა და მათმა რწმუნებულებმა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრში სასტიკი თვალყური უნდა ადევნონ ასეთ „საქმიანობას“ და შემჩნევისთანავე ძირშივე უნდა ამოფხვრან იგი ამასთანავე დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები მეათასეჯერ ამტკიცებენ იმას, რომ ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში, მიუხედავათ მათი მუშაობისა საერთოთ, შედარებით, გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ ბლომათ მოიპოვება სხვადასხვა ხასიათის ნაკლი და დეფექტები.

და ამიტომ ბრძოლა ხსენებული ნაკლისა და დეფექტების წინააღმდეგ ერთის წუთითაც არ უნდა იქნას შესუსტებული. იგი უფრო უნდა გავაცხოველოთ.

ა. დოლიძე.

კამპანია საბჭოთა სექციების მუშაობის გამოკვლევისათვის

გამოცხადებულია კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

ჩვენი მუშურ-გლეხური საზოგადოებრიობა უნდა შეეჭრას საბჭოთა სექციებში, საქმიანობაში და გამოიკვლიოს ის.--მასებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საქმიანობის დაფასებაში.

ჩვენ მოუწოდებთ ჩვენ მუშ--გლეხკორესპონდენტებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა მიმდინარე კამპანიაში.

„კომუნისტი"-ს საუკეთესო კორესპოდენციების ავტორები დაჯილდოვებული იქნებიან პრემიებით.--პრემიების რაოდენობა და რაობა ცალკე იქნება გამოცხადებული.

ანგარიშს აბარებენ თბილისის საბჭოს სექციები

მივიღოთ აქტიური მონაწილეობა

სექციების გამოკვლევის მიზანი.—პრემიები ჩვენს საუკეთესო კორესპონდენტებს

ამჟამად ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში სწარმოებს საბჭოთა სექციების მუშაობის გამოკვლევა. ამ გამოკვლევასთან დაკავშირებით გამოცხადებულია კონკურსი საბჭოს საუკეთესო სექციაზე.

სრულიად საქართველოს ცაკის დადგენილებით, ასეთივე გამოკვლევა უნდა ჩატარდეს საქართველოშიც. სათანადო კამპანია უკვე დაიწყო და გასტანს აპრილის ხუთმეტამდე.

რა მიზანს ისახავს სექციების მუშაობის გამოკვლევა და როგორი შედეგები უნდა იქნეს მიღებული ამ გამოკვლევიდან?

გამოკვლევის მთავარი მიზანია, სექციების შემოწმებით გამოარკვიოს, როგორ მუშაობას ეწევიან საბჭოები სოციალისტურ აღმშენებლობაში.

კამპანია მიზნად ისახავს შეისწავლოს სექციების მიერ ჩატარებულ მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

საუკეთესოთ ჩაითვლება ისეთი სექცია, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს წინასწარ გათვალისწინებულ მოთხოვნილებებს.

როგორია ეს მოთხოვნილებანი?

ქალაქის საბჭოების სექციები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს: ინდუსტრიალიზაციის ხელის შეწყობა, ქალაქის მშრომელ მოსახლეობის კოოპერაციაში ჩაბმა, წარმოების და მმართველობის აპარატის რაციონალიზაცია, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, შრომის ნაყოფიერების ხელის შეწყობა, ფასების დაკლება და სხვ., ყველა ამ საქმიანობაში სათანადო სექციების ფართეთ მონაწილეობა, მათ მიერ მასიური აქტივობის გამოწვევა.

რაც შეეხება **სათემო და სასოფლო საბჭოების** სექციებს,—საჭიროა გამოკვლევა, თუ რა მონაწილეობა მიიღეს სექციებმა სასოფლო მეურნეობის განვითარებაში, სოფლის მეურნეობის კოოპერატიულად და კოლექტიურად შეკავშირებაში, გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის გატარებაში, ფასების დაკლებაში, ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებაში და სხვა მთელი რიგ საკითხების გადაჭრაში.

ამასთან ერთად, უნდა გამოირკვეს, თუ რამდენად რეგულიარულად, თავის დროზე და მთელი თავისი შემადგენლობით იკრიბებოდნენ სექციები, რამდენად ფართო მასები ჩააბეს მათ თავიანთ მუშაობაში, შეასრულეს თუ არა ამომრჩეველთა ნაკაზები, ჰქონდათ თუ არა ამომრჩევლებთან მჭიდრო კავშირი, აბარებდნენ თუ არა თავის დროზე ანგარიშებს ამომრჩევლებს და სხვა.

ამ კამპანიის ხელმძღვანელობისათვის, სრ. საქართველოს ცაკთან არსდება ცენტრალური საკონკურსო კომისია ცაკის მდივნის თავმჯდომარეობით, დაინტერესებულ სახალხო კომისარიატების, პროფესიონალურ და სხვა ორგანოების, პრესის და საბჭოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საკონკურსო კომისიები დაარსდება აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკებთან და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან. ამ კომისიებს მინიჭებული აქვთ უფლება დააჯილდოვონ საუკეთესო სექცია თავიანთი შეფასების თანახმად.

როგორც ვხედავთ მიმდინარე კამპანიას აქვს ფრიად დიდი მნიშვნელობა საბჭოების მუშაობის შემდგომი გამოცოცხლებისა და მასში მშრომელთა ფართე ფენების აქტიურად ჩაბმისათვის.

ამ საგამოკვლევო კამპანიაში ჩვენმა გაზეთებმა უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა თავიანთი მუშა-გლეხ კორესპონდენტების საშუალებით.

განსაკუთრებული მოვალეობა აწევთ სწორედ მუშ-გლეხკორებს, რომლებიც ახლოს სდგანან საბჭოების საქმიანობასთან და იციან მათი მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

ამიტომ, ჩვენი გაზეთი მიზნად ისახავს ფართედ ჩააბას თავისი მუშ-გლეხ კორესპონდენტები მიმდინარე კამპანიაში. საჭიროა მუშ-გლეხკორებმა რედაქციას მოაწოდონ სათანადო წერილები საბჭოს სექციათა მუშაობის შესახებ და გამოააშკარაონ ამ მუშაობის როგორც **მიღწევები, ისე ნაკლულოვანებანი.**

მიმდინარე საგამოკვლევო კამპანიის წარმატებით ჩატარებას მუშ-გლეხკორებმა მთელი თავისი ენერგიით უნდა შეუწყონ ხელი და მით გაუადვილონ პრესას მასზე დაკისრებული ამოცანის გადაჭრა.

საუკეთესო კორესპონდენციების ავტორებს, რომლებიც ყოველმხრივ და სისწორით გააშუქებენ ჩვენს გაზეთში სექციების მუშაობას, როგორც მათი მიღწევების, ისე ნაკლულოვანებათა მხრივ, „კომუნისტი"-ს რედაქცია მისცემს პრემიებს.

პრემიების რაოდენობა და რაობა გამოქვეყნებული იქნება ამ დღეებში.

კომუნალურ სექციის საქმიანობა

კომუნალურ სექციას, რომელიც დაახლოებით 526 წევრისაგან შესდგება, წარსული წლის ოქტომბრიდან თებერვლამდე ქონდა სულ 19 სხდომა, რომელზედაც გარჩეული იქნა 39 საკითხი. სხდომებზე დამსწრე წევრთა რიცხვი საშუალოდ არ აღემატებოდა 70 პროცენტს. რაც აიხსნება ზოგიერთი დეპუტატების დატვირთვით პარტიული და პროფესიონალური საქმიანობით. სექციის მიერ გამოყოფილი იყო 35 სხვადასხვა კომისია, რომელშიდაც ჩაბმული იყო 433 დეპუტატი.

ტრამვაის მეურნეობა

პირველ ყოვლისა სექციამ დასვა საკითხი ტრამვაის ქსელის გაფართოებისა და ტრამვაის ბილეთების გაიაფების შესახებ. სექციის მითითებით კომუნალურმა განყოფილებამ შესძლო რონოდების რიცხვის გამრავლება, ტრამვაის ქსელის გაფართოება და აგრეთვე სამგზავრო ბილეთების გაიაფება მთელ რიგ მარშრუტებზე. მაგალითად, ნაძალადევიდან თავისუფლების მოედნამდე წინანდელი სამი შაურის ნაცვლად დაწესდა ორი შაური და შემოღებული იქნა შეღავათიანი საბონენტო წიგნაკები მუშებისათვის.

წყალსადენი

მეორე არა ნაკლები საჭირბოროტო საკითხი, რომლის გადაჭრასაც სექცია შეუდგა, იყო წყალსადენის ქსელის გაფართოება განაპირა უბნებში. სექციამ გამოჰყო კომისიები, რომლებიც ბიუროს ხელმძღვანელობით გაეცნენ განაპირა მუშათა უბნებს, წყალსადენის დირექციის სამუშაო გეგმას და შეიტანეს ამ გეგმაში სათანადო დამატებები.

ამ მუშაობას შედეგად მოჰყვა წყალსადენის მაგისტრალების გაყვანა ზოგიერთ განაპირა რაიონში. კერძო სახლებსა და ბინებში წყალსადენი [illegible] გაყვანა აბრკოლებს საჭირო მასალების უქონლობა, თვით მდგმურთა მიერ განცხადების დროზე შეუტანლობა და სხ.

ჩვენი წყალსადენის ქსელის გაფართოებაზე ზრუნვასთან ერთად, რასაკვირველია სექცია გვერდს ვერ აუხვევდა ნატახტარიდან ახალი წყალსადენის გაყვანის საკითხს. ეს საკითხი დაწვრილებით შეისწავლა ბიურომ, ხოლო სექციამ მოისმინა და განიხილა პროექტი. საბჭომ უკვე გაიღო საჭირო თანხა და ამ ორი-სამი წლის შემდეგ ექნება საუკეთესო წყაროების წყალი საკმაო რაოდენობით.

კეთილმოწყობა

ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე სექციის მიერ ქალაქის კეთილმოსაწყობად ჩატარებული მუშაობა. პირველ რიგში მოსაგვარებელი იყო ქუჩებისა და მუშათა სახლების უზრუნველყოფა ზაჰესის ენერგიით. ამ მიზნით ბიურომ დაწვრილებით გამოარკვია ერთი ელექტრო-წერტის გაყვანის ღირებულება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებული ტარიფის შემცირება მუშათა უბნებში შესაძლებელია. სექციის ბიურო უკვე შეთანხმებულია „ტელასთან", რომელიც დიდი ხანია უკვე შეუდგა მუშათა რაიონების ქუჩების განათებას.

კეთილმოწყობის სხვა დარგებში ბიუროს მიერ შემუშავებულია უახლოესი წლების სამუშაო გეგმა, რომლის თანახმად უნდა მოხდეს ელბაქიძის აღმართის გაგანიერება, სანაპირო ქუჩის გაყვანა ელბაქიძის ხიდიდან მარქსის სახელობის ხიდამდე და სხ.

ბიურომ მიაქცია ყურადღება განაპირა უბნებში ტელეფონის ქსელის გაყვანის საკითხს, რომელიც ამჟამად დამუშავების პროცესში იმყოფება და, უნდა ვიფიქროთ, მოკლე ხანში ეს საკითხი დადებითად გადაიჭრება.

ბიურომ და სექციამ დაამუშავა აგრეთვე ქუჩაში მოძრაობის სავალდებულო დადგენილების პროექტი.

სექციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კანალიზაციის საკითხს, რომლის მოუგვარებლობა განსაკუთრებით განაპირა უბნებში ქმნის ანტი-სანიტარულ მდგომარეობას. სექციის მიერ ეს საქმე ასეა მოგვარებული: ყოველწლიურად ქალაქის კანალიზაციისათვის უნდა გაღებულ იქნეს 300 ათასი მანეთი. ასეთი მუშაობით ხუთი წლის შემდეგ უკანალიზაციოთ აღარ დარჩება არც ერთი რაიონი და არც ერთი ქუჩა.

სექციამ კომუნალურ მეურნეობის წინაშე დასვა აგრეთვე საკითხი ნაგავის საწვავ ღუმელის მოწყობისა და მუშა მიქელაძის მიერ გამოგონილ სანაგვე „პოვოსკების" დამზადების შესახებ.

სხვა სამუშაოები

სექციის მიერ ჩატარებულ სხვა ხასიათის სამუშაოებიდან აღსანიშნავია აბანოების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ლენინის რაიონში ახალი სასკოლო შენობის აგების საკითხის შესწავლა, ქალაქში ახალი ფაბრიკა-ქარხნების სააღმშენებლო გეგმის განხილვა, საბჭოთა სახლების მდგომარეობის გამოკვლევა, ცეცხლის მქრობელი რაზმის მუშაობის შესწავლა, სასაკლაოს საწარმოო პირობების გამოკვლევა და მისი წარმოების რაციონალიზაციის საკითხის შესწავლა და სხვ.

მასიური მუშაობა

რაც შეეხება ბიუროს და სექციის წევრთა მასიურ მუშაობას, ბიურო ღებულობდა ყოველგვარ ზომებს მასიურ მუშაობის გასაცხოველებლად და მასში სექციის უმრავლესობის ჩასაბმელად. ამ მიზნით სამილიციო რაიონების რიცხვის მიხედვით გამოყოფილი იქნა 11 კომისია, რომელშიდაც დღემდე ნაყოფიერად მუშაობს დაახლოებით სექციის 250 წევრი. დღემდე კომისიების მიერ დათვალიერებულია და სათანადოთ შესწავლილი ზოგიერთი რაიონების ქუჩები. კანალიზაცია, წყალსადენი, სკოლები, კერძო და საბჭოთა სახლები, ბაღ-სკვერები. ყოველი მუშაობის დამთავრების შემდეგ კომისიები ადგენდნენ შემჩნეული დეფექტების აქტს და შეჰქონდათ ისინი განსახილველად ბიუროში. ბიუროს მიერ განხილული აქტები ეგზავნებოდა აღმასკომს და განყოფილებებს შემჩნეული დეფექტების წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

ჩვენს ორგანოებში შემჩნეულ ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად სექციამ გამოჰყო ორი კომისია შვიდ-შვიდი კაცის შემადგენლობით, რომელთაგან ერთი მუშაობს უქსის, ხოლო მეორე კეთილმოწყობის განყოფილებაში.

გარდა ამისა სექციის ბიურო ხელმძღვანელობას უწევდა წარმოებებში მოწყობილ სადეპუტატო მაგიდის მუშაობას.

სექციის ნაკლულოვანებათაგან აღსანიშნავია შემდეგი:

სექციამ დღემდე ვერ მოახერხა ყველა დეპუტატების მუშაობაში ჩაბმა: 535 კაციდან აქტიურად მუშაობს 484.

სექციამ ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება იმას, ტარდება თუ არა ცხოვრებაში მის მიერ გამოტანილი დადგენილებები.

მესამე მთავარი ნაკლი ის არის, რომ დღემდე, მცირე გამონაკლისის გარდა, სექციის სხდომები არ იმართებოდა მუშათა რაიონებში.

სექციის წევრი.

საბჭ. დეპუტატები თავიანთი სექ. მუშაობის შესახებ

მიღწევებთან ერთად გვაქვს ნაკლიც

ამხ. ვასილ გორლოვი

(ამხ. სტალინის სახელობის, „ზაკავპრო-მტორგი"-ს ავტო-სახელოსნოს მუშა)

— მე მიმაგრებული ვარ კომუნალურ სექციაზე. უნდა ავღნიშნო, რომ ჩვენი სექციის მუშაობა ამ ბოლო დროს წარმატებით მიმდინარეობს. თითეული საბჭოს წევრი აქტიურადაა ჩაბმული საბჭოს მუშაობაში. სექციამ გამოჰყო 32 სხვადასხვა კომისია, სადაც მონაწილეობას იღებენ სექციის წევრთა 50 პროც. დიდი ენერგია დახარჯა კომუნალურმა სექციამ კეთილმოწყობის საქმეში. ფართოვდება ქუჩები, ეწყობა და კეთდება აბანოები, წყალსადენი და სხვ. ახლო წარსულში გაყვანილ იქნა 18—20 კილომეტრი წყალსადენის მთავარი მაგისტრალი. საერთოდ, გადაჭრით უნდა ვსთქვა, რომ კომუნალურ სექციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მაგრამ მიღწევებთან ერთად, კომუნალურ სექციას, ნაკლიც აქვს მაგ.: დროზე არ ტარდება ცხოვრებაში საბჭოს დეპუტატების წინადადებანი. ამას წინად, მე შევიტანე წინადადება, რომ დიდუბეში აგებულიყო საერთო წყლის ონკანი. ამას სექციამაც და საბჭომაც ყურადღება მიაქცია და ონკანის აგება უკვე დაწყებულია. მაგრამ მეორე წინადადება, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ჯერ კიდევ არ არის ცხოვრებაში გატარებული. თბილისის მაზრ. ახლო-მახლო სოფლებიდან წყნეთის ქუჩით გლეხებს ჩამოაქვთ შეშა. ეს ქუჩა ოღრო-ჩოღრო და მოუკირწყლავია, რის გამო გლეხებს ურმები უზიანდება და ჩემის აზრით, ამ ქუჩის კეთილმოწყობა დიდ ხარჯებს არ მოითხოვს.

წინადადებას ყურადღება არ მიაქციეს

ამხ. ნიჩუგოვსკი

(რკინის-გზის მთავარ სახელოსნოს მუშა კომუნალურ სექციის წევრი

სათანადო კომისიაში მე არ ამომირჩიეს, მაგრამ სექციაში შევიტანე ასეთი წინადადება:

1921 წ. საქართველოდან ბევრი შეძლებული და ვაჭრები გაიქცენ თბილისიდან, მათ დარჩათ უძრავ-მოძრავი ქონება. უძრავი ქონება აღმასკომს დარჩა, ხოლო მოძრავი ქონებას კი ვერ მიექცა საჭირო ყურადღება.

პლეხანოვის და რუსთაველის პროსპექტზე მოწყობილია ჩამოსაკიდი ფარნები, სადაც სწერია: „იარეთ მარჯვნივ", ამ ფარნებზე დაიხარჯა 4.000 მ., მაგრამ აღმასკომმა ისინი ვერ გამოიყენა. ფარნებში არ გამოიყვანეს სინათლე. ზოგიერთი მათგანი დაიმსხვრა. სექციამ ამ გარემოებას არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

როგორ ვმუშაობთ

ამხ. ლადო მაისურაძე

(სადგ. თბილისის მოძრაობის დარგი, კომუნალურ სექციის წევრი)

საბჭოთა თვითეული დეპუტატი დაინტერესებული იყო აღმასკომის საქმიანობის გაჯანსაღებაში. უნდა ითქვას, რომ დიდი ბრძოლა დაგვჭირდა ბიუროკრატიზმის და დაუდევრობის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ის მაინც არსებობს. ხშირია შემთხვევები თანამშრომლების დაგვიანებისა სამსახურში. არის აგრეთვე ბიუროკრატიზმის სხვა ნიმუშები, რასაც სასტიკ თვალყურს ვადევნებთ. პირველ ყოვლისა საჭიროა აღმასკომის სხვადასხვა განყოფილებებმა მოსპონ ქაღალდების „ვოლოკიტა".

ამას წინად მე წინადადება შევიტანე განაპირა უბნების მილიციელების საგუშაგოსთან ქალაქის ტელეფონების დადგმის შესახებ. ამას ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან სასწრაფო დახმარების საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობას საშუალება ექნეს კავშირი იქონიოს სათანადო ორგანიზაციებთან.

იყო შემთხვევა, როცა საზოგადო სამუშაოების ტეხნიკოსები ლოთობდენ. სექციამ ჩემის წინადადებით ამას ყურადღება მიაქცია და ნაკლი გამოსწორდა. დაუდევრობის ერთ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საცხოვრებელი სახლების ასაგებად რკინისგზელებს ყოფ. „ვერის" რაიონში აძლევდენ მიწებს. ეს იმ დროს როცა ლენინის უბანში სხვებს აძლევდნენ სამოსახლო მიწებს. ეს გარემოება უკმაყოფილებას იწვევდა. ჩვენი მითითებით ეს ნაკლი გამოსწორებული იქნა.

ამასთან ერთად უნდა შევეხო ზოგიერთ სხვა ნაკლსაც. ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც დროებით და სეზონურ სამუშაოებზე არაკვალიფიციურ მუშა-ხელს იღებენ, რის გამო ფუჭდება სააღმშენებლო სამუშაოები. საჭიროა კვალიფიციურ მუშების მომზადება.

კომუნალურმა სექციამ დღემდე ვერ მოაგვარა საბურთალოსათვის წყლის მიწოდების საკითხი.

პარტიული ცხოვრება

მისალმებანი საქ. კომპარტიის ცეკას

ფოთის საკავშირთა შორისო მერვე კონფერენცია პროლეტარულ სალამს უძღვნის საქართველოს კომპარტიის ცეკას. კონფერენცია ღრმა რწმენით აღნიშნავს, რომ ცეკას ენერგიული ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელთა კლასმა მოიპოვა ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური გამარჯვება, აგრეთვე მოსპო ერთა შორის შუღლი და მთელი მშრომელი კლასი მიყავს საბოლოო გამარჯვებისაკენ.

კონფერენცია დასძენს, რომ ცენტრალური კომიტეტი საქართველოს მშრომელ ხალხთან ერთად პირნათლად შეასრულებს ისტორიის მიერ დაკისრებულ მოვალეობას.

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიის ცეკას!

გაუმარჯოს მუშათა კლასის ხელმძღვანელ შტაბ-კომინტერნს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

კონფერენციის პრეზიდიუმი.

ხაშურის უბნის რკინის გზელთა პროფკავშირის მე-11 საუბნო კონფერენცია გიძღვნით მხურვალე სალამს და იმედს გამოსთქვამს, რომ ყოველივე თქვენს დავალებას პირნათლად შეასრულებს, გადალახავს წინ გადაღობილ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობას და თქვენი დირექტივებით გატარებს ცხოვრებაში ყოველივე იმ ამოცანებს, რომლებიც სდგას პროფკავშირების წინაშე.

მე-11 კონფერენცია.

სანაპირო რაზმების კომუჯრედთა მდივნების ა.-კ. თათბირი

22 თებერვლის დილის სხდომა

თათბირის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. გოგლიძის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ჟუკმა, ბალინასმა, სერგეევმა, მამედოვმა, კუროვმა, ბოროვიკმა, ლომოვმა, გერმანმა. სტეპანოვმა, სერგეევმა, სპირიდონოვმა, მელნიკოვმა, მაკეევმა და ნოსოვმა.

კამათში გამოსულ ამხანაგების უმრავლესობა აღნიშნავდა პარტხელმძღვანელობის გაძლიერების აუცილებლობას კომკავშირის მუშაობაზე.

აუცილებლად საჭიროა გაძლიერებულ იქნეს კონტროლი ხელისშემწყობ ბიუროს მუშაობაზე. კომკავშირის ზრდა უნდა ხდებოდეს მუშებისა და მოჯამაგირეების ხარჯზე. საჭიროა სააგიტაციო და საპროპაგანდო მუშაობის გაღრმავება იდეოლოგიურათ და ყურადღების მიქცევა მე-15 პარტყრილობისა და კომკავშირის ყრილობების დადგენილებების სწორად შეთვისების პოპულიარიზაციას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ კომკავშირის აქტივის აღზრდას.

სკოლის გარეშე მუშაობა

(ამხ. პოპოვის მოხსენება)

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. პოპოვის მოხსენება სკოლის გარეშე მუშაობის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სკოლის გარეშე მუშაობა სანაპირო რაზმებში უნდა დაუკავშირდეს წითელარმიელთა მასების კულტურული დონის ამაღლებისათვის წარმოებულ მუშაობას. აუცილებელია შევითვისოთ სანიტარულ - გიგიენური გამოცდილება და შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი ყოველდღიურ ცხოვრებაში უკულტურობის გარშემო. ამ მიმართულებით საჭიროა თვით მასების აქტივობის გამოჩენა. ამ მუშაობის ერთ-ერთი საყურადღებო ნაწილია წითელარმიელებისთვის გაცნობა ადგილობრივ მოსახლეობის ადათ-ჩვეულებების.

სკოლის გარეშე მუშაობით უნდა ჩავატაროთ აგრეთვე პარტიულ და საბჭოთა ყრილობების მასალების დამუშავება.

აუცილებელია ლენინის კუთხეების მუშაობის გაფართოება და ყურადღების მიქცევა ბუნებისმეტყველების საკითხების პოპულიარიზაციისათვის, როგორც ბაზისი ანტი-რელიგიური პროპაგანდისათვის.

კინო და რადიო, რომლებიც მშრომელ მასებში დიდ ინტერესს იწვევენ, ფართედ უნდა იქნან გამოყენებული. უნდა მივიღოთ ზომები საინფორმაციო მუშაობის გასატარებლად. სკოლის გარეშე მუშაობა წარმოებულ უნდა იქნას გეგმიან ნიადაგზე.

საჭიროა მთელი მუშაობის იდეური ხელმძღვანელობა გამომდინარეობდეს პარტიულ ორგანიზაციებიდან.

რაც შეეხება უფროს შემადგენლობას, აუცილებელია მათი ჩათრევა წითელი ჯარის სახლების, კლუბების და აგრეთვე სხვა პოლიტგანმანათლებელ დაწესებულებების მუშაობაში.

საბიბლიოთეკო მუშაობის საქმეში საჭიროა სწორ ნიადაგზე დავაყენოთ წითელარმიელების კითხვის ხელმძღვანელობა.

22 თებერვლის სალამოს სხდომაზე რეზოლუციების მიღების შემდეგ თათბირი დაიხურა (ადს).

თბილისის კომიტეტის პლენუმი

მეორე სხდომა

მოხსენებით, დღის წესრიგის მეორე საკითხზე (თბ. კომიტეტის სამუშაო გეგმის დამტკიცება) გამოდის ამხ. ახრიბეკოვი. იგი ახასიათებს გეგმის ძირითად პუნქტებს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პარტორგანიზაციამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს.

ამხ. ახრიბეკოვის მოხსენების შემდეგ, დღის წესრიგის უკანასკნელ საკითხზე — თბილისის კლუბების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ — მოხსენებას აკეთებს ს. პ. კ. ს. კულტ განყოფილების გამგე ამხ. ფირალიშვილი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კლუბების ტეხნიკური მოწყობილობის და განსაკუთრებით კი შესაფერი შენობების უქონლობა დიდათ აფერხებს მუშაობას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თბილისის კლუბებში გასულ წელს ჩაბმული იყო პროფკავშირების წევრთა მხოლოდ 22 პროცენტი.

კლუბების მუშაობაზე ცუდ გავლენას ახდენს აგრეთვე პარტიულებისა და კომკავშირელების სუსტი მონაწილეობა უკანასკნელში.

გასულ წელს თვითეულ კლუბში მუშაობდა საშუალოდ ექვსი სხვადასხვანაირი წრე. წრეების უმეტესობა მხატვრული დარგისაა.

უნდა აღინიშნოს, რომ წრეების მუშაობა, მცირე გამონაკლისს გარდა ვერაა კარგად დაყენებული. ამის მიზეზია — კვალიფიციურ ხელმძღვანელთა სათანადო კადრის უქონლობა. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ღებულობს ზომებს ამ ნაკლის გამოსასწორებლად; ასე მაგალითად, მან დრამატიული წრეების ხელმძღვანელოდ მოიწვია მუშათა თეატრის რეჟისორები და სხვ.

დადგმებში უდიდეს პროცენტს შეადგენს კინო - სურათების ჩვენება. პროფსაბჭოს ხელშეკრულება აქვს დადებული სახკინმრეწვთან, რომლის ძალითაც უკანასკნელი აწვდის სურათებს მუშათა კლუბებს; მაგრამ აქ აღსანიშნავია ერთი არანორმალური მოვლენა. სახელდობრ ის, რომ სახკინმრეწვი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით მუშათა კლუბებს აძლევს უვარგისს და ძველ სურათებს. ეს კი იწვევს მუშების სამართლიან უკმაყოფილებას კლუბების მიმართ.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად აუცილებელია შესაფერი ზეგავლენის მოხდენა სახკინმრეწვის ხელმძღვანელებზე.

წარმოდგენების დადგმას მუშათა კლუბებში ხელს უშლის სათანადო რეპერტუარის უქონლობა ქართულ და სომხურ ენებზე. ჩვენი პროლეტარული მწერლობა უნდა შეეცადოს ამ ნაკლის შევსებას.

რაც შეეხება ხელმძღვანელობას კლუბებისადმი, უნდა ითქვას, რომ არც პარტიის რაიკომები და არც პროფკავშირთა ცენტრალური გამგეობები არ ხელმძღვანელობენ კლუბების მუშაობას ისე, როგორც საჭიროა.

უკეთებს რა დასკვნას თავის მოხსენებას, ამხ. ფირალიშვილი კლუბების მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭიროდ სთვლის არსებული კლუბების შესაფერისად მოწყობას, ახალი შენობების აგებას კლუბებისათვის და პარტიულების ჩაბმას საკლუბო მუშაობაში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. პრეობრაჟენსკიმ, ბელიაევსკაიამ, გევორქიანმა. ნასარიძემ, თრუჯინიკიძემ, აზარაშვილმა, ლუჩანსკაიამ, ჟორჟოლაძემ, სუხიშვილმა და ახრიბეკოვმა.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლუციები ყველა საკითხებზე, რის შემდეგაც პლენუმი დაიხურა.

ქ. ხურმუშელი.

თბილისის უნივერსიტეტის ათი წლის თავი

მისალმებები

ვწუხვართ, რომ მთელ რიგ მიზეზების გამო პირადათ ვერ ვესწრებით თბილისის უნივერსიტეტის იუბილეს. ბელორუსიის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდი სიხარულით ადევნებს თვალყურს ამიერ-კავკასიის მშრომელთა კულტურის წარმატებით განვითარებას. ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ თქვენი უნივერსიტეტი სავსებით შესძლებს პროლეტარული რევოლუციის მიერ დაკისრებულ ამოცანათა შესრულებას და ამიერ-კავკასიის მშრომელთათვის გახდება პროლეტარული კულტურის ნამდვილი სამჭედლოდ.

გისურვებთ წარმატებას მომავალ მუშაობაში.

ბელორუსიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე:
ნ. გოლოდედი.

საბჭოთა კავშირის განათლების მუშაკთა ცენტრალური კომიტეტი ულოცავს განათლების ყველა მუშაკებს თბილისის სახ. უნივერსიტეტის არსებობის 10 წლის თავის იუბილეს და აღნიშნავს იმ დიდ მუშაობას, რომელიც უნივერსიტეტმა ჩაატარა ამიერკავკასიის ხალხთა კულტურის ამაღლების საქმეში, და რომლის თითოეული ნაბიჯი ხელს უწყობს წარმატებებს სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე.

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ თბილისის სახ. უნივერსიტეტს შემდეგში კიდევ მეტი წარმატებები იქნება. საქ. სახელმწ. უნივერსიტეტის მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურული რევოლუციის ამოცანებთან დაკავშირებით, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის მუშაკების მჭიდრო კავშირით საბჭოთა ხელისუფლებასთან და პარტიასთან.

განათ. მუშ. კავშ. კომიტეტის თავმჯდომარე: **კოროსტელევი.**

სუნიატ-სენის სახ. უნივერსიტეტის გამგეობა, მასწავლებლები და სტუდენტები სალამს უძღვნიან თბილისის უნივერსიტეტს მისი არსებობის ათი წლის იუბილეს გამო და უსურვებენ განვითარებას პროლეტარული რევოლუციის საქმის განმტკიცებითა და გამაგრებით.

რექტორი: **მიფ.**

დნეპროპეტროვსკის სახქიმო ინსტიტუტის გამგეობა ესალმება საქართველოს უნივერსიტეტს მისი არსებობის ათი წლის თავის. იუბილეს გამო და უსურვებს მომავალშიც ნაყოფიერ მოღვაწეობას საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ხალხთა კეთილდღეობისათვის.

რექტორის მოადგილე: **შირმანი.**

ერისმანის სახელობის სანიტარული ინსტიტუტი მხურვალეთ ულოცავს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს სახალხო დღესასწაულს—თბილისის სახ. უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის თავს.

ინსტიტუტის დირექტორი: **ხეცროვი.**

ასტრახანის სახქიმო ინსტიტუტი ულოცავს თბილისის უნივერსიტეტს მისი არსებობის ათი წლის თავს.

რექტორი: **ბელიაევი.**

უკრაინის შაქრის მრეწველობის ინსტიტუტი თბილისის სახ. უნივერსიტეტს ულოცავს იუბილეს და გულწრფელად უსურვებს შემდგომ განვითარებას.

კუხარენკო.

ათი წლის მანძილზე

საქ. სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობა 1918—1928 წლებში

დიდმა ლენინმა ჯერ კიდევ 1903 წელს დასახა ის გზა, რომელზედაც უნდა იაროს სტუდენტობამ: „გარკვეული მსოფლმხედველობისა და პროგრამის საფუძველზე დაყრდნობით აკადემიურ დონის ამაღლება და მეცნიერული სოციალიზმის (ანუ მარქსიზმის) პროპაგანდა". ამ დებულებით ლენინი სტუდენტობის ამოცანად აყენებდა მარქსიზმის შესწავლა-პროპაგანდას, და სწორედ ეს დებულება დაედო საფუძვლად სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობას საბჭოთა უნივერსიტეტებში. თუ წარსულში უმაღლესი სკოლა „რჩეულთა" მიერ იყო დაკავებული, თუ მის დემოკრატიზაციაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, თუ მეცნიერებისა და შრომის დაახლოებაზე ფიქრი — ფანტაზია იყო, ოქტომბრის რევოლუციამ ყველაფერ ამას ბოლო მოუღო.

დღეს, როდესაც აღარ არსებობს ძველი სკოლა, რომელიც ხელ-ფეხს უბორკავდა სტუდენტთა ყოველგვარ ინიციატივის გაშლას, საჭიროა მოვიგონოთ თუ რას აკეთებდა სტუდენტობა. მე-19 საუკუნე და მე-20 საუკუნის დასაწყისი დიდ ამბების მომსწრეა უნივერსიტეტების ცხოვრებაში.

რამდენმა მეცნიერმა დატოვა უნივერსიტეტი და რუსეთიც და წავიდა საზღვარგარეთ? რამდენი გამოჩენილი პროფესორი იძულებული იყო თავი მიეფარებინა საყვარელი საქმისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ თავისუფლების იდეებს იზიარებდა?

სტუდენტობა — კი ამ მხრივ დიდი „კულტურისან" მინისტრების, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა მინისტრის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა. 183 სტუდენტის ჯარში გადაცემა, უნივერსიტეტების დახურვა, სტუდენტობის უნივერსიტეტიდან გამორიცხვა, და სხვა—აი ხვედრი რევოლუციონური სტუდენტობისა რუსეთის რევოლუციონური მოძრაობის ისტორიაში. განსაკუთრებული ასოებით არის ჩაწერილი ტატიანას დღე—12 იანვარი (ძველი სტილით), როდესაც სტუდენტთა დღესასწაულზე ერმიტაჟში (პეტერბ.) სტუდენტების მიერ პირველად გამოსროლილ იქნა ლოზუნგი „ძირს თვითმპყრობელობა", სტუდენტთა ორგანიზაციები უდიდესად რევოლიუციონურ როლს თამაშობდენ.

სტუდენტთა ორგანიზაციები გააფთრებით ებრძოდენ ცარიზმს და ამ ბრძოლაში შეიქმნა ტრადიცია, რომელიც ახასიათებდა რუსეთის უნივერსიტეტების სტუდენტობის რევოლიუციონურ ნაწილს. სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობის თავის დონეზე დაყენება სტუდენტთა ინიციატივის გაშლა, სტუდენტის სწავლის დაკავშირება ცხოვრების პრაქტიკულ საკითხებთან, აგრეთვე საზრიანი დამოკიდებულების დამყარება სტუდენტსა, პროფესორსა და საერთოდ პედაგოგიურ პერსონალს შორის პატივისცემისა, ურთიერთ დახმარებისა და თანაგრძნობის ნიადაგზე. სტუდენტობის აქტიურად ჩაბმას საზოგადოებრივ საქმიანობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც უმაღლესი სასწავლებლისათვის, ისე იმ საზოგადოებისათვის, რომლის ხელმძღვანელ კადრს ამზადებს ეს სასწავლებელი.

ამ თვალსაზრისის მიხედვით ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ, თუ რამდენად იყო შესრულებული ეს ამოცანა ჩვენში, რამდენად იყო დაცული ის პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემდა ჩვენს სტუდენტობას ეს ამოცანა შეესრულებინა ტფ. უნივ. არსებობის ათი წლის განმავლობაში. ამისათვის საჭიროა დაუკვირდეთ და შევისწავლოთ, შესძლო თუ არა სტუდენტობამ თავიდანვე ალღოს აღება რევოლუციით შექმნილი მდგომარეობისათვის და დახმარა თუ არა ამაში მას სამეცნიერო და პედაგოგიური პერსონალი? ეს მით უფრო საინტერესოა დღეს, როდესაც საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს არსებობის ათი წლის თავი უსრულდება. ათი წელი შეიძლება არც ისე დიდი დრო იყოს მეცნიერული მუშაობის თავის დონეზე დაყენებისათვის (რადგან განთქმული უნივერსიტეტები ასეული წლებით ითვლიან თავის ისტორიას), მაგრამ ყოველ შემთხვევაში საკმაო დროა ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და მუშაობის სწორე გზით წარმართვისათვის.

საქართველოს უნივერსიტეტი დაარსებულ იქნა 1918 წელს, მენშევიკების ბატონობის დროს; ის დაარსებულ იქნა არა მთავრობის აქტით, არა მთავრობის მიერ, არამედ კერძო ინიციატივით. მენშევიკურმა მთავრობამ, ვერც კი შეამჩნია საქართველოში ქართული უნივერსიტეტის დაარსება. ასე „ზრუნავდენ" მენშევიკები ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე. დროებითი მთავრობის ბატონობის დროს აღძრული იყო შუამდგომლობა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების ნებართვის შესახებ, მაგრამ კერენსკის მთავრობა არ სთვლიდა საჭიროდ ქართული უნივერსიტეტის არსებობას.

ქართული უნივერსიტეტის არსებობის ისტორია და მასთან დაკავშირებით სტუდენტთა ორგანიზაციების ისტორიაც ორ პერიოდად იყოფა: 1—1918 წლიდან 1921 წლამდე და 2—1921 წლიდან დღევანდლამდე, ე. ი. 1928 წლამდე. პირველი პერიოდი მენშევიკების ბატონობის დროა და მეორე პერიოდი — საბჭოთა ხელისუფლების ხანა.

უნივერსიტეტის მუშაობა გაიშალა მეორე პერიოდში — საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს: ჩამოყალიბდა აგრონომიული ფაკულტეტი, დაარსდა პოლიტეხნიკური ფაკულტეტი, დაარსდა სოც. - ეკონომიური ფაკულტეტი, დაარსდა მუშათა ფაკულტეტი. ასეთივე გარდატეხა ხდება სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობაშიც.

1918 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობდენ ეგრეთწოდებული სტუდენტთა კავშირები. ასეთი კავშირება არსებობდა ყველა ფაკულტეტზე თავისი გამგეობებით და შემდეგ — კი არსებობდა საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელი [illegible] სტუდენტთა კავშირის გამგეობა. სტუდენტ - ქალთა კავშირიც კი არსებობდა ცალკე. სტუდენტთა კავშირების და მისი გამგეობის არსებობის შესახებ ჩვენ მასალებს ვხვდებით 1919 წლიდან უნივერსიტეტის გამგეობის ოქმებში. მაგრამ ამ კავშირებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ და არავითარ ყურადღებასაც არ აქცევდენ, მათ დახმარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სტუდენტთა კავშირები არსებობდენ მხოლოდ ფორმალურად, მათ არავითარი მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ არა თუ საერთო ხასიათის კითხვების გადაჭრაში, არამედ მათ არავითარ ანგარიშს არ უწევდენ, ისეთი საკითხების გადაჭრაშიც კი, რომლებიც სტუდენტთა ცხოვრებას შეეხებოდა. სტუდენტთა კავშირის გამგეობის მიერ უნივერსიტეტის გამგეობის სხდომაზე დასმულ კითხვებზე უმრავლეს შემთხვევებში უარყოფით უპასუხებდნენ. არავითარ დახმარებას, არც მატერიალურსა, და არც მორალურს უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოები სტუდენტობას არ უწევდენ.

უნივერსიტეტის გამგეობის სხდომების ოქმებში ჩვენ ვპოულობთ შემთხვევებს, როცა სტუდენტობას უარს ეუბნებოდენ ოთახის მიცემაზე საჩაის მოსაწყობათ და საკითხველოსათვის. ეს ხდებოდა, მაშინ, როდესაც მთელი ქვედა სართული უნივერსიტეტის შენობისა დაკავებული ჰქონდა ინგლისელებს, ხოლო უნივერსიტეტი ფაკულტეტების მხრივ სრულიად არ იყო დატვირთული. ეს ერთი დამამტკიცებელი საბუთია მენშევიკური საქართველოს „დამოუკიდებლობისა" და კულტურის აკვანის — უნივერსიტეტის „ავტონომიისა".

ავიღოთ სხვა მაგალითები, უნივერსიტეტის გამგეობის 1918 — 21 წ. ოქმებში ვპოულობთ მაგალითებს იმისას, თუ როგორ „ეხმარებოდენ" სტუდენტობას სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები მენშევიკური მთავრობის ბატონობის დროს.

ამონაწერი 1919 წლის 23 მაისის № 28 ოქმიდან:

მოისმინეს:

სტუდენტთა კავშირის გამგეობის თხოვნა მიეცეს მას სესხად 10.000 მანეთი (ათი ათასი მანეთი).

დაადგინეს:

უარი ეთქვას.

1919 წლის 15 ნოემბრის № [illegible] ოქმიდან

მოისმინეს:

თხოვნა სტუდენტთა კავშირის გამგეობისა მიეცეს მას სესხად 7.000 მანეთი (შვიდი ათასი) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სასწავლო საგანთა [illegible] დასაბეჭდად.

დაადგინეს:

უარი ეთქვას.

ასეთი საბუთებით უმასპინძლდებოდენ სტუდენტობას მაშინ, როცა საკათალიკოსო საბჭოს მიერ გელათში მოწვეულ საეკლესიო კრებაზე დასასწრებლად, უნივერსიტეტი ირჩევდა წარმომადგენელს და ხარჯავდა 50.000 მანეთს. (ოქმი № 85), ან როცა ამავე გამგეობის დადგენილებით (ოქმი № 48 1919 წლ. სპეციალურად იძენდენ მისს მარჯორ უარდროპის სურათს და ამისათვის ფულებს ხარჯავდენ სპეც. თანხებიდან, ე. ი. სტუდენტების თანხიდან.

მენშევიკების დროს სტუდენტობა არ იყო განთავისუფლებული სამხედრო გაწვევისაგან, როგორც ეს ირკვევა 1919 წლის 8 ნოემბრის ოქმიდან.

მოისმინეს:

სტუდ. კავშირის გამგეობის თხოვნა აღძრულ იქნეს შუამდგომლობა, რომ სტუდენტებს სამხედრო ბეგრის მოხდა გადაედოს კურსის დამთავრებამდე.

დაადგინეს:

როგორც გამოირკვა, შეღავათის მიცემა შეუძლებელია და ამიტომ სტუდენტები ახლავე უნდა გამოცხადდენ ბეგარის მოსახდელად.

არავითარი ყურადღება არ ექცეოდა სტუდენტთა სტაჟიორობისა და პრაქტიკის საკითხებს. მოუმატეთ ამას ის, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში სტუდენტობა არავითარ მონაწილეობას არ იღებდა და კიდევ ის, რომ გამგეობაში არც ერთი წარმომადგენელი სტუდენტთაგან არ იყო, და თქვენ მიიღებთ ნამდვილ დასრულებულ სურათს სტუდენტთა ორგანიზაციების მაშინდელ „მუშაობისას".

ასეთი იყო პირველი (მენშევიკების დროის) პერიოდი სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობისა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მეორე პერიოდი სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობისა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, იწყება, 1921 წლიდან. ეს პერიოდი შეიძლება გაყოფილი იქნას ორ ნაწილად. 1)—როდესაც სტუდენტობის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ გაერკვია საბჭოთა სისტემის რაობასა და საბჭოთა საზოგადოებრიობის მნიშვნელობაში და რამოდენადმე განზე გადგა და მოწინააღმდეგე ბანაკში მოექცა. ეს აიხსნება მით, რომ თვით უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პირები და ორგანიზაციები (როგორც არის საბჭო, გამგეობა და სხვა) ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდენ და ერთგვარ გავლენას ახდენდენ მოსწავლე ახალგაზრდობაზე. მათ უმაღლესი სასწავლებელი წარმოედგინათ, როგორც განყენებული დაწესებულება, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს საბჭოთა საზოგადოებრიობასთან და ნაკლებ ზრუნავდენ და იტკივებდენ თავს ასეთი კავშირის გაბმისათვის, ეს მაშინ როდესაც ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალთან მიწერ-მოწერა ჰქონდათ. (მაგალითისათვის აი ერთ გამგეობის ოქმი № 93, 13 ნოემბერი, 1923 წ.).

უნივერსიტეტის ხელმძღვანელების ასეთმა მოქმედებამ და აგრეთვე ანტი-საბჭოთა პოლიტიკური პარტიების მუშაობამ ერთგვარი დაღი დაასვეს სახელს, იგი უნივერსიტეტის სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობას, და ის ნაწილობრივად მოსწყვიტეს და აცილეს ნამდვილსა და სწორ გზას. მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წლიდანვე მოიპოვებოდენ თითო - ოროლა პიროვნებები სახ. უნივ. სტუდენტთა შორის, რომელთაც სწორად [illegible], თუ ვისკენ უნდა ყოფილიყო ახალგაზრდობა. ეს ჯგუფი თანდათან გაძლიერდა 1921 წლიდან და საკმაო გავლენას ახდენდა სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობაზე.

ეს ჯგუფი შედგებოდა კომპარტიის და კომკავშირის წევრებისაგან, რომლებიც სათავეში ჩაუდგენ სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობას და მიიყვანეს იმ მიღწევებამდის, რომელთა მოწმენი დღეს ჩვენ ვართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორგანიზაციები ბევრ წინააღმდეგობებს ხვდებოდენ და მათ ბევრი დაბრკოლებები გადალახეს თავიანთი მუშაობის პროცესში და, თუ დღეს სტუდენტთა ორგანიზაციები საკმაოდ ანგარიშ გასაწევ ძალას წარმოადგენს უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ეს სწორედ ამ ორგანიზაციების მუშაობას უნდა მიეწეროს და არა იმათ, ვინც ყოველგვარი მახინაციებით ცდილობდა საქ. სახ. უნივერსიტეტი და მისი სტუდენტობა მოეწყვიტა განახლებულ ცხოვრებას და გადაესროლა რევოლუციის საწინააღმდეგო ბანაკში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა რიცხვი იზრდებოდა შემდეგნაირად:

1919—20 წ.	2414	1924—25 წ.	4663
1920—21 „	3054	1925—26 „	6790
1921—22 „	3498	1927—28 „	7803
1922—23 „	3724		

ეს ციფრები ყოველგვარ ნიადაგს აცლიან მენშევიკების ჭორებს, თითქოს ბოლშევიკები უნივერსიტეტს ანგრევენ და ახალგაზრდობას სწავლის მიღების საშუალებას არ აძლევენ. 1921 წლიდან დღევანდლამდე სტუდენტთა რიცხვი გაიზარდა 3.054-დან 7.803-დე, ე. ი. 4.749-ით, სოციალური შემადგენლობის მხრივაც ჩვენი უნივერსიტეტი სახეს იცვლის და ხდება ნამდვილ საბჭოთა უნივერსიტეტად. თუ 1923 წლამდის უნივერსიტეტში არ იმყოფებოდა მუშა და გლეხი, დღეს ასეთების რიცხვი უდრის 3.520 კაცს.

სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობა საგრძნობ მიღწევებს იძლევა. სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეს ირიცხება კომპარტიის წევრი 346 და კანდიდატი და კომკავშირის 1.162 წევრი და კანდიდატი, რაც მთლიანად შეადგენს 20 პროც. მთელი სტუდენტობისას. ამ ორგანიზაციების მუშაობა თანდათან ძლიერდება და საკმაო ავტორიტეტი აქვს უნივერსიტეტის სტუდენტობაში. ამასთან ერთად უნივერსიტეტი აერთიანებს პროფსექციებს (პროფესიონალური ხაზით): განათლების პროფსექციას, მედსანშრომს, საბჭოთა მუშაკებს, მიწატყის კავშირის, მეღვინეების, რკინის გზის და სხვებს, რომელთა წევრების რიცხვი უნივერსიტეტში აღწევს 3866. ამ პროფსექციების სათავეში უდგას აღმასრულებელი ბიურო, რომელიც შესდგება 40 წევრისა და კანდიდატისაგან, და რომელსაც 2 წარმომადგენელი ჰყავს უნივერსიტეტის გამგეობაში. აღმასბიუროს მუშაობა წარმართულია იქითკენ, რომ გაუმჯობესებულ იქნეს სტუდენტთა მდგომარეობა მატერიალურად. ამ ორგანიზაციას დახმარებას უწევენ სახელმწიფოებრივი და პროფესიონალური ორგანოებიც. დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში არის 387 სტიპენდიანტი. სტიპენდიანტთა რიცხვი თანდათანობით იზრდება, ღარიბებს სტუდენტებს ეძლევა უფასო სადილები; სტუდენტებისათვის არსებობს სპეციალური საერთო საცხოვრებლები და კიდევ შენდება სახლები. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის და განათლების კომისარიატის ხარჯზე აღმასბიურო აძლევს ფულადს დახმარებას ღარიბ სტუდენტობას და ამასთანავე მთლიანად ყველა სტუდენტებს ეძლევა რკინის გზაზე უფასო სამგზავრო ბილეთები; აი ის მატერიალური დახმარება, რომელსაც იღებს ჩვენი სტუდენტობა აღმასბიუროს ხაზით. სტუდენტთა ორგანიზაციები თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით, აქტიურ მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში, (დეკანატებში, ფაკულტეტების საბჭოებში, საგნობრივ კომისიებში, პრეზიდიუმებში, გამგეობაში და სხვა.). სახელმწიფო უნივერსიტეტში ეხლა არსებობს თოთხმეტი სამეცნიერო წრე, რომელიც აერთებს 2000-მდე სტუდენტს. ეს სამეცნიერო წრეები იმდენად გაიშალნენ, რომ ფაქტიურად საგრძნობ და სასარგებლო მუშაობას აწარმოებენ, ზოგიერთ მათგანს თავისი საკუთარი გამომცემლობაც აქვს, მაგ. ტეხნიკურ სამეცნიერო წრეს. სტუდენტთა ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ თავისი მუშაობის კულტურულ მხარეს. აღმასბიუროს აქვს სპეციალური ბეჭდვითი ორგანო — ორკვირეული გაზეთი, აქვს კლუბი, რომელიც სტუდენტთა ორგანიზაციების ინიციატივით იქნა აშენებული; ეს კლუბი იტევს 1.200 სტუდენტს.

სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობა არ განისაზღვრება მარტო უნივერსიტეტის კედლებით. სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობა უფრო გაღრმავდა უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შემდეგ. თუ ის აქამდის ჩაკეტილი იყო უნივერსიტეტის კედლებში და თავის აკადემიურ საქმეებზედაც არ ზრუნავდა, დღეს ის უკვე ჩაება საბჭოთა საზოგადოებრიობაში. სახელმწიფო უნივერსიტეტს თბილისის საბჭოში 33 წევრი ჰყავს, რომელნიც აქტიურ მუშაობას აწარმოებენ და უახლოვებენ ჩვენს უნივერსიტეტს ქალაქის მმართველობის უმაღლეს ორგანოს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობა, ისე როგორც საერთოდ დანარჩენი სტუდენტობა, სამხედრო ბეგარისაგან თავისუფალია მთავრობის განკარგულებით, რაიც მენშევიკური მთავრობის დროს ოცნება იყო. რასაკვირველია ჩვენ ამ მიღწევების აღნიშვნით არ გვინდა ვთქვათ, ვითომც ჩვენს სტუდენტობას არაფერი არ აკლია, ვითომ ის ყოველმხრივ დაკმაყოფილებულია, რომ მისთვის ზრუნვა საჭირო აღარ არის, რომ ყველაფერი მიღწეულია მისი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. არა, ჩვენ ამას არ ვამბობთ, ჯერ ჩვენ კიდევ ბევრი გვაკლია, ჯერ ჩვენს სტუდენტობას და მის ხელმძღვანელ ორგანოებს ბევრი მუშაობა დასჭირდება იმისათვის, რომ ჩვენი მდგომარეობა მიყვანილ იქნეს იმ დონემდე, როგორც ის სხვა საბჭოთა უნივერსიტეტებშია.

⁂

საქართველოს უნივერსიტეტის ათი წლის დღესასწაული შედის იმ იუბილეთა სერიაში, რომლებიც წითელი ასოებით შევლენ რევოლუციის ისტორიაში. დღეს, როდესაც ბუხარინის მოსწრებული გამოთქმით „მეორე ათეულ წელს ვიწყებთ კულტურული რევოლუციით", საქ. უნივერსიტეტსაც უხდება მეორე ათეულ წელში ნაბიჯის გადადგმა და ეს მდგომარეობა განსაზღვრავს ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობის მთავარ ხაზებს: 1) მოამზადოს ახალ პროლეტარულ საზოგადოებას პროლეტარული საქმისადმი თავდადებული ახალი ხელმძღვანელი კადრი; 2) მოამზადოს ახალი სამეცნიერო ძალები, რომლებიც თავის დევიზად გაიხდიან მეცნიერებისა და შრომის კავშირის განმტკიცებას; 3) მთელი მუშაობა წარმართულ იქნეს სამეცნიერო, პედაგოგიური პერსონალის სტუდენტობის და საბჭოთა საზოგადოებრიობის ურთიერთ გაგების და კიდევ უფრო მტკიცე კავშირის ნიადაგზე. ამ საქმეში სტუდენტთა ორგანიზაციები უკანასკნელ რიგში არ უნდა მოექცნენ.

უნივერსიტეტის საბჭოთა პერიოდის მუშაობა იმის თავდებია, რომ სტუდენტთა ორგანიზაციები ამ საქმეში არ ჩამორჩებიან და მეორე ათეულ წელს ახალი ძალებით, ახალი ენერგიით და ახალგაზრდული გატაცებით მოეკიდებიან საქმეს და მოგვცემენ ახალ ძალებს ახალი საზოგადოებისათვის, რომლებიც გამოსადეგი იქნებიან „არა მარტო სკოლისათვის, არამედ ცხოვრებისათვისაც".

ლ. სალუქვაძე.

მოხსენებები უნივერსიტეტის შესახებ

სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავის შესახებ მოხსენებების გასაკეთებლად საქართველოსა და მეზობელ რესპუბლიკების მთავარ ქალაქებში მივლინებული იყვნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და მუშაკნი.

მოხსენებები ჩატარდა:

ბათომში

ბათომში სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად მიწვეული იყო პროფესორი **კორნელი კეკელიძე.** წინასწარ პარტიულ პროფესიონალურ და საბჭოთა დაწესებულებებს დაეგზავნათ მოწვევის ბარათები მოხსენებაზე დასასწრებლად. ბათომის მუშა - მოსამსახურეთა ინტერესი თბილისის უნივერსიტეტისადმი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ თეატრმა, სადაც მოხსენება იყო დანიშნული, ვერ დაიტია მოხსენებაზე დამსწრეთა მსურველთა ნახევარიც. მომხსენებელს პროფესორ კეკელიძეს, რომელმაც ვრცლად გააშუქა სახელმწიფო უნივერსიტეტის მიღწევები მეცნიერების ყველა დარგებში, საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

სათანადოთ აღინიშნა სახ. უნივერსიტეტის ათი წლის თავი აჭარისტანის მთავრობამ, რომელმაც უნივერსიტეტს გადასცა ციხისძირში ორსართულიანი შენობა თავისი მამულით ბიოლოგიური სადგურის მოსაწყობათ. შემოწირულების ღირებულება 80 ათას მანეთს აღემატება.

ქუთაისში

სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავს გამოეხმაურა ქუთაისიც, სადაც მოხსენების წასაკითხავად მივლინებულ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. **თედო ღლონტი.** მოხსენებას, რომელიც ადგილობრივ თეატრში გაიმართა, დიდძალი საზოგადოება დაესწრო. მომხსენებელმა აუდიტორიას დაწვრილებით გააცნო სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების და მისი განვითარების ისტორია, აგრეთვე უნივერსიტეტის სამეცნიერო ძალების მუშაობა მეცნიერების სხვადასხვა დარგში, საქართველოს სახ. უნივერსიტეტის ურთიერთობა საბჭოთა კავშირის და ევროპის უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან.

მეზობელ რესპუბლიკებში

ერევანი, 20 თებერვალი. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის თავის შესრულების გამო ერევანში კულტურის სახლში შესდგა სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელმაც მოისმინა პროფესორ გიორგი ახვლედიანის და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ექიმ მდივანის მოხსენებები საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარსული მუშაობის და მომავალი პერსპექტივების შესახებ. სომხ. სახ. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების გამოსვლას აღტაცებით შეხვდა და დაადგინა ათი წლის თავის შესრულების გამო საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს გაუგზავნოს მისალოცი დეპეშა.

ამავე სხდომაზე სომხეთის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ თავის საპატიო წევრად აირჩია საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. თედო ღლონტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა სთხოვს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც სურთ მიესალმონ უნივერსიტეტს მისი 10 წლის იუბილეს გამო ამა წლის 26 თებერვალს საზეიმო სხდომაზე, წინასწარ აცნობონ ამის შესახებ უნივერსიტეტის საქმეთა მმართველს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა აცხადებს უნ-ტის ყველა თანამშრომლების და სტუდენტების საყურადღებოთ, რომ 25 თებერვალს დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად შეკრება მოხდება უნ-ტის მთავარ შენობაში დილის სრულ 9 საათზე. ის თანამშრომლები და სტუდენტები, რომლებიც მსახურობენ სხვა დაწესებულებებში უნდა გამოცხადდენ დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად უნივერსიტეტში.

საქ. ცაკში

გაცემული პენსიების და დახმარებების რაოდენობა

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი ცნობით—უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში—ინვალიდებს, ქვრივებს, ობლებს და წითელარმიელების ოჯახებს შორაპნის სამაზრო აღმასკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ პენსიების და დახმარებების სახით დაურიგა—876 მან.

რამდენია აყვანილი აღრიცხვაზე

გორის სამაზრო აღმასკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში ამჟამად სულ აღრიცხულია: 24 კაცი პირველი ჯგუფის ინვალიდი, 37 მეორე ჯგუფის ინვალიდი, 109 მესამე ჯგუფის ინვალიდი, 508 კაცი მეოთხე ჯგუფის ინვალიდი; აღრიცხულია 10 შრომის ინვალიდი, 2 სამოქ. ომის ინვალ. და 300 ოჯახი ომში მოკლული და დაკარგული პირების. გასულ საანგარიშო წელში ინვალიდებს, წითელ არმიელების ოჯახებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს გორის სამაზრო აღმასკომის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ პენსიების და დახმარებების სახით დაურიგა—6.425 მანეთი და 51 კაპ.

ყრილობა

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით 20 თებერვალს შორაპნის მაზრაში გაიხსნა გლეხთა ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოებების (გლეხკომების) ყრილობა.

ა. კ. სახკომსაბჭოში

კაპიტალური მშენებლობის გეგმები.

საკავშირო სმუსის პროექტი, კაპიტალურ მშენებლობათა გეგმების განხილვის და დამტკიცების წესის შესახებ, ა.-კ. სახკომსაბჭომ მოიწონა ა.-კ. სახ. საგეგმო კომიის შესწორებებით.

რესპუბლიკანურ სმუსების და ა.-კ. სახ. საგეგმო კომისიის ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით, ა.-კ. სახკომსაბჭომ საჭიროთ სცნო განსაკუთრებული ინსტრუქციების გამოცემა კაპიტალურ მშენებლობათა გეგმების დამუშავების, განხილვის და დამტკიცების წესის შესახებ.

ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროებითი წესები

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ა.-კ. ტეხნიკურ - სამშენებლო კომიტეტის მიერ წარდგენილი წესები — სამშენებლო სამუშაოთა ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს ზედნადებ, საორგანიზაციო და სხვა დამატებითი ხარჯების გამოანგარიშების შესახებ.

წესები ძალაში შედის 15 მარტიდან.

რესპუბლიკანურ უმაღლეს ეკონომსაბჭოებს და სახალხო კომისარიატებს ნება ეძლევათ, აღნიშნული წესების განვითარების მიზნით, გამოსცენ საუწყებო ინსტრუქციები, მხოლოთ ინსტრუქციები შეთანხმებული უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ან რესპუბლიკანურ ტეხნიკურ - სამშენებლო კომიტეტთან.

ა.-კ. ტეხნიკური - სამშენებლო კომიტეტი დროებით წესებს დაუგზავნის ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

როგორც აღნიშნული გვქონდა, ა.-კ. რკ. გზების გამგეობამ საკავშირო ლითონის სინდიკატს დაუკვეთა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის საჭირო რკინა. ეს რკინა საჭიროა გადამცემ ხაზის ასაშენებლად.

სინდიკატი უკვე შეუდგა დაკვეთილ რკინის ნაწილ-ნაწილად ჩაბარებას. ამჟამად ა.-კ. რკ. გზაზე უკვე მიღებულია 500 ტონა რკინა, გამოგზავნილია და გზაში იმყოფება 150 ტონა; სინდიკატის საწყობებში ინახება და გამზადებულია გამოსაგზავნად 300 ტონა.

რკინის ეს რაოდენობა სავსებით აკმაყოფილებს საელექტროფიკაციო სამუშაოების მოთხოვნილებას.

მიღებული რკინა გადაცემული აქვს საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს ლითონტრესტს, რომელმაც უკვე დაამთავრა ყველა მოსამზადებელი სამუშაოები და შეუდგა გადამცემ ხაზის დასაყრდენების დამზადებას.

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებულ საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის ბიუროს ამჟამად გაჰყავს მისასვლელი გზები გადამცემ ხაზამდე. მარტის დამდეგს დაიწყება გადამცემ ხაზის დასაყრდენების საფუძვლის ჩაყრა.

ამ თვის ბოლოს აღნიშნული ბიურო გზათა კომისარიატში გაგზავნის ელექტროფიკაციის პროექტებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ გაცემული იქნეს დაკვეთები საჭირო ელექტრომოწყობილობაზე.

ამიერ-კავკასიის საექსპორტო შესაძლებლობანი

(თათბირი ა.-კ. აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში).

გუშინ საღამოს ამიერ-კავკასია-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში შესდგა გაფართოებული თათბირი აღმოსავლეთის ქვეყნებში გასატან საქონლის კონტინგენტების გამორკვევის შესახებ. თათბირს დაესწრენ სპარსეთისა და თურქეთის ვაჭართა წარმომადგენლები და ყველა დაინტერესებულ სავაჭრო და საწარმოო ორგანიზაციების რწმუნებულები. თათბირის მიზანს შეადგენდა გამორკვია, თუ რა და რა საქონელი მოიპოვება ამიერ-კავკასიაში და შეიძლება თუ არა ამ საქონლის გატანა (ან რა რაოდენობით). უმთავრესად სპარსეთისა და თურქეთის ბაზარზე.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საექსპორტო შესაძლებლობის შესახებ მოხსენება გააკეთა აღმოსავლეთ-სავაჭრო პალატის წარმომადგენელმა ამხ. ზიზინინმა, რომელმაც მოიყვანა ციფრობრივი ცნობები ამიერ-კავკასიიდან გატანილი საქონლის ღირებულების შესახებ და ჩამოთვალა ის საქონელი, რომელთა გატანა კიდევ შეიძლება დამატებით. ამიერ-კავკასიიდან სპარსეთში საშუალოდ გააქვთ 6 მილიონი მანეთის საქონელი ყოველწლიურად—1,800.000 მანეთის. გარდა ამ თანხის საქონლისა, შეიძლება გატანილ იქნეს თამბაქოს პროდუქცია, მარილი, ბოსტნეული, ყველი, მაგარი სასმელები, მინერალური წყლები, ლითონის ნაწარმოებნი, თესლეულობა, ცემენტი და სხ. სულ ეს საქონელი ბაზარზე შეიძლება ყოველწლიურად გასაღდეს დაახლოებით 1,600.000 მანეთის თანხის. გასული წლის განმავლობაში საცდელად ყოფილა გატანილი 100,000 მანეთის საპონი, რაც მოკლე ხანში გასაღდა და წელს შესაძლებელია საპნის მეტი რაოდენობით გატანა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თათბირმა დაადგინა დაევალოს ა.-კავკასიის ყველა სავაჭრო და საწარმოო ორგანიზაციებს შეიმუშაონ იმ პროდუქციის სიები, რომელთა გატანაც მათ შეუძლიათ აღმოსავლეთის ქვეყნებში. თათბირის შემდეგ სხდომაზე გამომუშავებული იქნება ამიერ-კავკასიის მრეწველობის პროდუქციის გატანის გეგმა.

ნატახტარის წყაროების გეოლოგიურ გამოკვლევის შედეგები

პროფ. ა. ჯანელიძის მოხსენება.

ამას წინად შესდგა საქ. გეოლოგიური კომიტეტის სხდომა, რომელზედაც ნატახტარის წყაროების გეოლოგიურ გამოკვლევათა შედეგების შესახებ მეორე მოხსენებით გამოვიდა პროფ. ა. ჯანელიძე. მომხსენებელმა დაწვრილებით განმარტა ნატახტარის მიდამოების გეოლოგიურ წარმოშობის ხასიათი და დაწვრილებით გაარკვია ამ რაიონის ნიადაგის შემადგენლობა.

მოხსენების უმთავრეს საგანს წარმოადგენდა ნატახტარის წყაროების წარმოშობის საკითხი. სათანადო ლიტერატურაში, მომხსენებელის სიტყვით, წყაროების წარმოშობის მიზეზათ მიჩნეულია ატმოსფერული ნალექები. თუმცა ამავე ლიტერატურაში წყაროების წარმოშობის მიზეზათ აღიარებულია აგრეთვე, მახლობელი დიდი მდინარეების ფილტრაციის (ნიადაგს ქვეშ გაჟონვის) მოვლენა. თუ ნატახტარის წყაროები ატმოსფერულ ნალექთა წარმოშობაა, მაშინ, საჭირო ხდება დაწვრილებით იქნეს შესწავლილი ამ ნალექების რაოდენობა იმის გამოსარკვევად, რა რამდენად იქნება უზრუნველყოფილი ახალი წყალსადენის დებეტი.

გამოკვლევების ჩატარების დროს შეგროვილი მასალების საფუძველზე, მომხსენებელი აცხადებს, რომ ნატახტარის წყაროები იკვებება უშუალოდ მდ. არაგვისწყლით, რომელიც ჟონავს ნიადაგს ქვეშ. ფილტრაციის შემდეგ წყალი იწმინდება და იძენს კარგ თვისებებს, რაც მას ხდის კარგი ხარისხის წყაროს წყალად.

შემდეგ მომხსენებელი აყენებს საკითხს: არის თუ არა შესაძლებელი, რომ უახლოესი საუკუნის განმავლობაში მოხდეს რაიმე მნიშვნელოვანი გეოლოგიური ცვლილება, რომელიც გავლენას მოახდენს—1) წყალსადენის დებეტზე, 2) ხელს შეუშლის არაგვის წყალის ფილტრაციას და 3) გაამრავლებს ქიმიურ ნალექებს ამჟამად არსებულ მიწისქვეშა მდინარის კალაპოტში.

მომხსენებელის აზრით, შემდეგში მნიშვნელოვანი გეოლოგიური ცვლილებები არაა მოსალოდნელი და ახალი წყალსადენიც სავსებით უზრუნველყოფილი იქნება წყალით.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კომიტეტის სხდომას დაესწრენ თბილისში მყოფი თითქმის ყველა გეოლოგები და ახალი წყალსადენის გასაყვან სამუშაოთა ხელმძღვანელები.

დახმარება სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულთ

საქართველოს სახალხო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციის ცნობით 1927 წელს საქართველოში სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალდა 150.518 დესეტინა ნათესი.

განსაკუთრებით დაზარალდა 11 მაზრა, მათ შორის ზუგდიდის და სენაკის მაზრები. სტიქიურ უბედურების გამო სულ დაიღუპა—6.786.000 ფუთი ხორბლეული.

ამჟამად დაზარალებულ მაზრებს სიმშილობის თავიდან ასაცილებლად ესაჭიროება 64.000 ფ. სიმინდი, 29.000 ფ. პურეული და 18.000 ფ. ქერი.

ამავე მაზრებს ესაჭიროება 300.000 მანეთი სათესლე მასალის შესაძენათ.

საგეგმო კომისიამ დაზარალებულ მაზრებისათვის დახმარების გასაწევად შეიმუშავა შემდეგი ღონისძიებები: აღძრას შუამდგომლობა სათანადო უმაღლეს ორგანოების წინაშე, წელს გეგმის გარეშე დამატებით შემოტანილი იქნეს 5 მილიონი ფუთი სიმინდი, ამასთან ერთად ეთხოვოს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს გამონახოს შესაფერი თანხა დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

საგეგმო კომისიამ დაადგინა აგრეთვე წინადადება მიეცეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს სასწრაფოდ გადასინჯოს თავის საკრედიტო გეგმა და გაადიდოს დაზარალებულ რაიონებისათვის სესხად მისაცემ თანხების რაოდენობა.

ამავე დროს წინადადება მიეცა „სოფლის კავშირს“ დაჩქარებით შეიძინოს 15.000 ფუთი სიმინდი და მიაწოდოს ზუგდიდის და სენაკის მაზრებს.

უმიწაწყლო გლეხების დასახლება ახალ მიწებზე

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეიმუშავა მიმდინარე წელში უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხების ახალ მიწებზე მოწყობის გეგმა.

ამჟამად საქართველოში თავისუფალ მიწების სივრცე უდრის 7.478 ჰექტარს, რომელიც მიღებული იქნა მიწად-მოწყობის ჩატარებისა, ჭაობების ამოშრობისა და მორწყვის საშუალებით. ეს თავისუფალი მიწები უმთავრესად მდებარეობს სიღნაღის, გორის და ახალქალაქის მაზრებში. ამ მაზრებში მდებარე მიწები განსაკუთრებით გამოსადეგია პურის მოსაყვანად, მესაქონლეობისათვის და კერძოთ თამბაქოს და ბამბის მეურნეობისათვის.

საგეგმო კომისიის გეგმით, წელს ამ მიწებზე საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან გადმოსახლებული იქნება 951 უმიწაწყლო და მცირემიწის მქონე გლეხის ოჯახი. მათ გადმოსასახლებლად ჯერ-ჯერობით გადადებულია 14.137 მანეთი.

აგრეთვე გადადებულია 400.000 მანეთი, რომელიც გრძელვადიან სესხის სახით დაურიგდება გლეხებს ახალ მიწებზე მეურნეობის მოსაწყობათ.

საგეგმო კომისიის ცნობებით, ამას გარდა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით სოჭის რაიონში გამოყოფილია—40.000 ჰექტარი მიწა საქართველოს მოსახლეობის საჭიროებისათვის, ხოლო თერგის ოლქში გამოყოფილია 89 მეურნეობისათვის საყოფი მიწა. ამ რაიონებში საქართველოს უმიწაწყლო მცხოვრებთა მოწყობა იწარმოებს საკავშირო ხარჯზე.

გადაწყვეტილია სოჭის რაიონში მოწყობილი იქნეს 5.000 სული, მათ შორის ახალ მიწებზე დასახლებული იქნება საქართველოში მცხოვრებ 2.000 მშრომელი ებრაელი.

შემუშავებულია აგრეთვე აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში გლეხების ახალ მიწებზე დასახლების გეგმა.

წელს ზემო-აჭარიდან ქვემო აჭარაში და ბათომის მაზრის თავისუფალ ადგილებში გადმოსახლებული იქნება სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებული 160 კომლი და აგრეთვე ის გლეხები, რომლებსაც ნავთის ქარხნების აგების გამო შეუმცირდა მიწის ნორმა.

სამხრეთ ოსეთში ახალ მიწებზე დასახლებული იქნება იმ სოფლების გლეხები, რომლებიც ყოველ წლიწადს ზარალდებიან სტიქიურ უბედურებისგან.

რამდენი კვალიფიციური მუშაკია საჭირო

ხუთი წლის განმავლობაში

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი შეუდგა მასალების დამუშავებას იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი უმაღლესი, საშუალო და დაბალ სპეციალურ ცოდნით აღჭურვილი მუშაკი ესაჭიროება საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში უახლოეს 5 წლის განმავლობაში.

ამ მასალების მიხედვით, უახლოეს 5 წლის განმავლობაში საქართველოსათვის საჭირო იქნება: 500 ახალი ექიმი, უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი 200 ფარმაცევტი, სამთო მრეწველობის 5 ინჟინერი, 100 კბილის ექიმი, ლითონის მრეწველობაში—40 ინჟინერი, მექანიკოსები და თბო-ტეხნიკოსები—40, უმაღლესი განათლებით—30 ელექტრო-ტეხნიკოსი, საფეიქრო მრეწველობაში—20 ინჟინერი, 40 ქიმიკოსი, 20 ინჟინერ-მშენებელი, გზათა-მიმოსვლის—20 ინჟინერი და 60 ჰიდრო-ტეხნიკოსი.

400 აგრონომი, 200 ბეითალი, 50 სატყეო საქმის სპეციალისტი, 40 მიწადმომწყობი, ზოოტეხნიკოსები — 80, ეკონომისტი—100 უმაღლესი განათლებით—40 ფინანსისტი, 60 კოოპერატორი უმაღლესი განათლებით, 160 ბუღალტერი უმაღლესი განათლებით, 40 სტატისტიკოსი, 40 ბანკის მუშაკი, 120 ვაჭრობისა და საქონლის ბრუნვის სპეციალისტი, 100 იურისტი, 600 განათლების მუშაკი.

ამრიგად, უახლოეს 5 წლის განმავლობაში საქართველოს ესაჭიროება უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი—3.150 კაცი, საშუალოდ ყოველწლიურად 600—650 კაცი.

უმაღლეს განათლებით აღჭურვილ მუშაკებს საქართველოში იძლევა ორი სამეცნიერო დაწესებულება—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი.

ორივე ეს სასწავლებელი მათი სასწავლო გეგმის მიხედვით, უახლოეს 5 წლის განმავლობაში საქართველოს მისცემს: 470 ექიმს, 840 ინჟინერს (საჭიროა მხოლოდ 320), 950 აგრონომს (საჭიროა 400), 750 ეკონომისტს, იურისტს, ფინანსისტს, კოოპერატორს და სავაჭრო-სამრეწველო დარგის მუშაკს (ყველა ამ სპეციალისტებიდან საჭიროა მხოლოდ 600 კაცი), 1000 განათლების მუშაკს (საჭირო იქნება 600).

ორივე უმაღლესი სასწავლებელი უახლოეს 5 წლის განმავლობაში სულ გამოუშვებს უმაღლეს ცოდნით აღჭურვილ 4000 კაცს, საქართველოსათვის კი საჭირო იქნება 3200.

აღსანიშნავია, რომ ორივე უმაღლესი სასწავლებელი არ იძლევა შემდეგ სპეციალისტებს: ბეითლებს, კბილის ექიმებს, ფარმაცევტებს, ზოოტეხნიკოსებს და მიწადმომწყობებს—აღჭურვილებს უმაღლესი ცოდნით.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

მე - 2 დღე.

საქ. პროფსაბჭოს პლენუმმა გუშინდელ სხდომაზე მოისმინა ამხ. მაჩაიძის საინფორმაციო მოხსენება. პროფსაბჭოს 1927-28 წ. ფინანსიური ანგარიშის შესახებ და უცვლელად დაამტკიცა-იგი.

საუკეთესო ადგილკომების დაჯილდოვება ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებისათვის.

დასასრულ პლენუმმა მოისმინა ამხ. ანთიძის საინფორმაციო მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებისათვის საუკეთესო ადგილკომების დაჯილდოვების შესახებ. პლენუმმა დააჯილდოვა შემდეგი საუკეთესო ადგილკომები: 1) კავკასიის წითელდროშოვან არმიის სტაბის ქარხკომი—(ერთი წარმომადგენლის მოსკოვში მივლინებით), 2) გემოკვების მუშაკთა კავშირის ჯგუფკომი № 6 (150 მანეთის საჩუქრით რადიო აპარატის შესაძენად), 3) რკინის გზის ნავთსადენის ადგილკომი (100 მანეთით წიგნების შესაძენად). სამივე ადგილკომს მიეცათ ქების სიგელი.

ამით დამთავრდა პლენუმი.

საარჩევნო კამპანია სამომხმარებლო კოოპერაციაში

კამპანიის შედეგები

დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში.

წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა ამ კამპანიისათვის დაიწყო 19 ოქტომბერს.

კამპანია ტარდებოდა პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანოების მონაწილეობით. რათა კოოპერატივის საქმიანობა უფრო ფართოდ გაეცნოთ მომხმარებელთათვის, გამგეობა მოხსენებით გამოდიოდა სასოფლო კრებებზე.

კოოპერატივების წევრთა დასწრება რაიონულ კრებებზე უმეტეს მაზრებში გამოიხატა 80—90 პროც.

კოოპერატივების მმართველ ორგანოების საქმიანობის შეფასება

102 კოოპერატივიდან, სარევიზიო კომისიების მუშაობა 14 კოოპერატივში, მათი უმოქმედობის გამო ცნობილ იქნა არადამაკმაყოფილებლად. გამგეობების საქმიანობა ექვს კოოპერატივში ცნობილ იქნა აბსოლიუტურად არადამაკმაყოფილებლად, ხოლო შვიდ კოოპერატივში—სუსტად ორგანიზაციულ ნაწილში. დანარჩენნი კოოპერატივების გამგეობების და სარევიზიო კომისიების მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

უვარგისი გამგეობანი და სარევიზიო კომისიები

აი სია ზოგიერთ იმ კოოპერატივებისა, რომელთა გამგეობების და სარევიზიო კომისიების საქმიანობა საანგარიშო კრებებზე ცნობილ იქნა არადამაკმაყოფილებლად.

დიდი-ენაგეთის კოოპერატივის სარევიზიო კომისიის მუშაობა ცნობილ იქნა სუსტად; იგივე—შუაველის კოოპერატივში; იგივე—ხაჭამია-ხერში; შაშიანში—გამგეობის მუშაობა ცნობილ იქნა არადამაკმაყოფილებლად; ახალ ხიბულში—რწმუნებულთა კრებამ საყვედური გამოუცხადა სარევიზიო კომისიას უმოქმედობისათვის; ჩოხატაურში—აღნიშნულია სარევიზიო კომისიის სისუსტე; ზარალეთში—არადამაკმაყოფილებლად იცნეს როგორც გამგეობის, ისე სარევიზიო კომისიის საქმიანობა; ბაღდათში კოოპერატივის გამგეობას არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის კრებამ საყვედური გამოუცხადა; ახალციხის კოოპერატივში აღნიშნულია სარევიზიო კომისიის სისუსტე; დიდი-აჯარის კოოპერატივში—გამგეობის და სარევიზიო კომისიის არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა; იგივე—კიცხის კოოპერატივში; მამათში და ოზურგეთში აღნიშნულია კოოპერატივების გამგეობების სუსტი მუშაობა საორგანიზაციო დარგში.

ყველა იმ კოოპერატივებში, სადაც გამგეობის ან სარევიზიო კომისიის მუშაობა ჩაითვალეს არადამაკმაყოფილებლად, მოხდა ამ ორგანოთა შეცვლა ახალი შემადგენლობით.

კოოპერატივების მდგომარეობა

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ გამოარკვია, რომ ჩვენი სამომხმარებლო კოოპერატივები შედარებით გამოკეთდნენ. ეს შემდეგიდან სჩანს:

146 კოოპერატივიდან (თბილისის მუშკოპიდან) 1926—27 წლის ოპერაციები 22 კოოპერატივმა დაამთავრა ზარალით (საერთო ზარალი 41.362 მანეთს უდრის), ხოლო დანარჩენებმა კი მიიღეს—623.432 მანეთი წმინდა მოგება. აქედან—278.000 მანეთი მოდის ქალაქის კოოპერატივებზე და დანარჩენნი სოფლისაზე. მიღებულ მოგებიდან ღარიბთა ფონდში გარიცხულია—66.000 მანეთი და კულტფონდში—70.793 მან.

არჩევნების შედეგები

დირექტივები კოოპერატივების მმართველ ორგანოების შემადგენლობის სოციალ-პოლიტიკური შერჩევის შესახებ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს:

წინა წელთან შედარებით ახლად არჩეულ კოოპერატივების გამგეობების შემადგენლობაში გადიდებულა მუშური ელემენტი—0,4 პროცენტით, ღარიბ გლეხური 4 პროცენტით, მოსამსახურენი 0,8 პროცენტით, კომკავშირის წევრები 1,4 პროც. და ქალები—3,9 პროც.

ცვლილება სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში გამოიხატა მუშების რიცხვის გადიდებაში 2,2 პროცენტით, საშუალო გლეხობისა—1,3 პროცენტით, კომპარტიის წევრებისა—5,5 პროცენტით, კომკავშირის წევრებისა—3,7 პროცენტით, და ქალების—1,1 პროცენტით.

ცეკავშირის რწმუნებულთა მე-13 ყრილობა

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს, ძირითად კოოპერტივების მმართველ ორგანოების გადარჩევასთან ერთად მოხდა ცეკავშირის რწმუნებულთა გადარჩევაც, რადგან ორი წლით არჩეულ რწმუნებულებს უკვე ვადა გაუვიდათ. ხელახლად არჩეულია 300-დე რწმუნებული ორი წლის ვადით.

ცეკავშირის რწმუნებულთა მორიგი მეცამეტე წლიური ყრილობა მოწვეულია თბილისში ა. წ. 25 თებერვლისათვის.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის წინ

ბამბის მეურნეობა

საქართველოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა გადაწყვიტა მიიღოს ყოველგვარი ზომები წელს ბამბის ნათესების სივრცის გასადიდებლად.

ამ მიზნით მიწსახკომმა ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის საქართველოს განყოფილებასთან შეთანხმებით შეადგინა დაწვრილებითი გეგმა ბამბის მეურნეობის გასაფართოებლად.

ამ გეგმის მიხედვით, წელს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში სულ დაითესება—6.992 ჰექტარი ბამბა (1.709 ჰექტარით მეტი გასულ წელთან შედარებით). ცალკე რაიონების მიხედვით წელს ბამბა დაითესება: ყარაიას რაიონში—1.638 ჰექტარი, ბორჩალოში—3.277 ჰექტარი, კახეთში—427 ჰექტარი, დასავლეთ საქართველოში—1.638 ჰექტარი.

აღმოსავლეთ საქართველოში ბამბის მეურნე გლეხებს წელს დაურიგდება საუკეთესო ჯიშის ბამბის თესლი, რომელსაც „ყარაიას კინგი“ ეწოდება. ამ ჯიშის ბამბის თესლი ყველა ჯიშებზე უფრო ხარობს აღმოსავლეთ საქართველოში; აგრეთვე მიღებულია ზომები დანარჩენ რაიონების მოსამარაგებლად შესაფერ და საუკეთესო ჯიშის ბამბის თესლეულობით.

წელს აგრეთვე გაფართოებული იქნება აგრო-კულტურული მუშაობა მებამბეობის რაიონებში. ამ მიზნით ყველა რაიონებში მოწყობილი იქნება 100 საჩვენებელი მიწის ნაკვეთი, რომელზედაც იწარმოებს ბამბის სანიმუშო მეურნეობა.

ამასთან ერთად წელს იწარმოებს მიწების განოყიერება ხელოვნური სასუქებით. მიწსახკომმა უკვე შეიძინა ხელოვნური სასუქები, მათ შორის „კაპტონის ფქვილი“ და სხვა ქიმიური სასუქები.

რკინის გზა გორიდან ცხინვალამდე

1926 წლიდან სამხრეთ-ოსეთის სახკომსაბჭოსა და ცაკის ინიციატივით დაიწყო მუშაობა ქ. გორიდან ცხინვალამდე რკინის გზის ხაზის გასაყვანად. აღნიშნული გზის გასაყვანად სათანადო გამოკვლევები სწარმოებდა ჯერ კიდევ მეფის რეჟიმის დროს, მაგრამ ეს გამოკვლევები არ იყო დასრულებული და შეგროვილი მასალებიც ხელუხლებლად ელაგა.

გუშინ სამხრეთ-ოსეთის მთავრობის რწმუნებულმა ამხ. ზოგუშევსკიმ აღნიშნული რკინის გზის გაყვანის მდგომარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— რკინის გზის გასაყვანად საჭირო გამოკვლევები უკვე თავდება. 27 თებერვალს მოწვეულია გორის სამაზრო აღმასკომის პლენუმი, სადაც სხვათა შორის განხილული იქნება ეს საკითხიც. აღნიშნულ პლენუმს დაესწრებიან სამხრეთ-ოსეთის ცაკის წარმომადგენლებიც ვინაიდან მათ განზრახვა აქვთ აღნიშნული რკ. გზის ხაზის გაყვანის საქმეში შეუთანხმდენ გორის აღმასკომს.

რკინის გზის გასაყვანად გორიდან ცხინვალამდე ორი ვარიანტია დამუშავებული. პირველი ვარიანტით რკინის გზის სიგრძე უდრის 38 და მეორეთი 36 კილომეტრს. სამაზრო აღმასკომის პლენუმზე აღნიშნული საკითხის შეთანხმების შემდეგ განზრახულია შესაფერი შუამდგომლობანი იქნეს აღძრული მთავრობის უმაღლეს ორგანოების წინაშე. რკინის გზის გაყვანა საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვის თანახმად დაჯდება 3—4 მილიონი მანეთი, მაგრამ სამხრეთ-ოსეთის მდიდარი ტყეების ექსპლოატაციით და აქედან ხე-ტყის მასალის გამოტანით ეს ხარჯი რამოდენიმე წელიწადში დაიფარება.

ახალი წარმოებები ტყიბულში

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით ტყიბულის სამრეწველო რაიონში გაიგზავნა სპეციალისტების კომისია, რომელშიც შედიოდენ: ინჟ. გ. წულუკიძე, დ. ყიფიანი, ტერ დავიდოვი, ელიავა, ვართანოვი და ედიბერიძე. კომისიის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა 5 წლიან საპერსპექტივო გეგმასთან დაკავშირებულ საკითხების გადაჭრა.

5 წლის განმავლობაში ტყიბულში აგებული უნდა იქნეს ქვანახშირის ე. წ. გამამდიდრებელი ფაბრიკა, ბრიკეტების საკეთებელი სახელოსნო, დამტვირთავი მოწყობილობა და სხ. კომისიამ თავისი მუშაობა დაასრულა 9 თებერვალს.

კომისიის აზრით, ახალი წარმოებები მოწყობილი უნდა იქნეს აღმოსავლეთ და დასავლეთ უბნების შუა ადგილას. ორივე უბნებზე ამჟამად სწარმოებს მუშაობა დიდი გვირაბების გასაყვანად. აღმოსავლეთის უბანზე გვირაბი უკვე გაყვანილია 298 მეტრის და დასავლეთისა უბანზე—162 მეტრის სიღრმეზე.

კომისიას გარდა ამისა დავალებული ჰქონდა გამოეძებნა ტყიბულის საქვანახშირო რაიონში ზოგიერთი ადგილას გაჩენილ ხანძართან ბრძოლის საშუალებანი. უკანასკნელათ ხანძარი გაუჩნდა მე-6 ფენას და ეს ხანძარი დღესაც გრძელდება. კომისიამ დაადგინა ხანძართან ბრძოლის მიზნით შემოღებულ იქნას ხელოვნური ვენტილიაცია და ცეცხლგამძლე კედლების სისტემა.

ასეთი საშუალებით მე-6 ფენის ქვემო ზონაში უკვე დაწყებულია ნახშირის ამოღება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფენას ზევით ცეცხლი ეკიდება.

ტყიბულის მაღაროებში ამჟამად ყოველთვიურად იღებენ 600.000 ფუთ ქვანახშირს.

მთრიმლავი მრეწველობის პერსპექტივები აფხაზეთში

საბჭოთა კავშირში ამჟამად მეტად მწვავეთ სდგას საკითხი მთრიმლავ ნივთიერებათა შესახებ. საკავშირო ტყავის მრეწველობას მისთვის საჭირო მთრიმლავ ექსტრაქტების 97 პროც. შემოაქვს უცხოეთიდან. საკავშირო მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მთრიმლავ ნივთიერებათა წარმოების განვითარებას საბჭოთა კავშირში; გეგმის თანახმად, აღნიშნული მრეწველობა იმდენათ უნდა განვითარდეს ჩვენში, რომ სავსებით დააკმაყოფილოს საკავშირო ტყავის მრეწველობის მოთხოვნილებები. ამ მხრივ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული აფხაზეთს. სადაც დიდია მთრიმლავ მცენარეულობათა მარაგი.

აფხაზეთის ს. მ. უ. ს. შეუდგა თავის მთრიმლავ რესურსების გამოკვლევას და, საერთოდ, მთრიმლავი მრეწველობის განვითარების საკითხის შესწავლას. შარშან ზაფხულზე სპეციალისტთა კომისიამ გამოყენებით ბოტანიკის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის განყოფილების საერთო ხელმძღვანელობით მოახდინა აფხაზეთის ტერიტორიაზე გაბნეულ მთრიმლავ მცენარეულობათა გამოკვლევა. გამოკვლევასთან ერთად დამუშავებული იქნა საკითხი წაბლის გამოყენების შესახებ მთრიმლავ ნივთიერებათა დასამზადებლად; წაბლი, უმთავრესად, გამოყენებული უნდა იქნეს კოდორის მაზრაში მდ. აზანტეს გასწვრივ და ეთერო-გუმისტას სატყეო აგარაკში, რომელიც მდიდარია წაბლის ტყეებით.

ვინაიდან წაბლი ამავე დროს საუცხოვო საამშენებლო მასალაა, ამიტომ სასურველად არის ცნობილი, რომ კოდორის მაზრაში მთრიმლავ ნივთიერებათა დამამზადებელ ქარხნის გარდა აგებული იქნეს ხე-ტყის სახერხი ქარხანა: მთრიმლავ ნივთიერებათა ქარხანა შესძლებს დაამზადოს კოდორის რაიონში 50—60.000 ფუთი მშრალი ტანიდი (მთრიმლავ ექსტრაქტებისათვის საჭირო მასალა), ეთერის რაიონში კი—30—35.000 ფუთი.

გამორკვეულია, რომ მთრიმლავ ნივთიერებათა დასამზადებლად კარგ მასალას წარმოადგენს აკაცია (მიმოზა); ამისათვის საჭირო იქნება სპეციალური პლანტაციების გაშენება. ერთი წლის განმავლობაში ასეთი პლანტაციების გაშენება შეიძლება 3—4.000 დესეტინა მიწაზე. პლანტაციების ექსპლოატაცია კი შეიძლება დაწყებული იქნეს სამი წლის შემდეგ. ამიტომ თუ გამოყენებული იქნება მომავალი ზაფხული, მთრიმლავ ექსტრაქტების ქარხანა შეიძლება ამუშავებული იქნეს 1930 წლის შემოდგომიდან; სრულ დატვირთვას ქარხანა მიაღწევს ოთხი წლის შემდეგ.

ასეთი ქარხნის ასაგებად შეიძლება გამოყენებული იქნება ძურგელის რაიონში, რომელიც ზღვის პირას მდებარეობს; აქ შესაძლებელია აკაციის პლანტაციების გაშენება 3—6.000 დესეტინაზე. ზღვის სიახლოვე საშუალებას იძლევა იაფად და სწრაფად იქნეს გადაზიდული საჭირო ნედლი მასალა. ძურგელში შესაძლებელია ნავთსადგურის გაშენებაც.

ქარხნის ნაყოფიერება ამ რაიონში შეიძლება აყვანილი იქნეს 300.000 ფუთამდე წელიწადში.

„ზაკმიასოტორგის“ ლიკვიდაცია

ა. კ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო „ზაკმიასოტორგის“ გაუქმება, რომლის ნაცვლათ თბილისში გაიხსნება საკავშირო სააქციო საზოგადოება „მიასოპროდუქტის“ ა. კ. განყოფილება. „მიასოპროდუქტი“ ხორცს მიაწოდებს წითელ არმიას, ქალაქ თბილისს, ბაქოს და ბათომს. ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს დაევალა სასწრაფოთ მოიწვიოს უწყება-დაწესებულებათა თათბირი, შეიმუშაოს ხორცით მომარაგების საქმის რეორგანიზაციის გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ა. კ. სახკომსაბჭოს.

ხელოვნების მუშაკთა ყრილობა

მეოთხე დღე

განათლების სახალხო კომისარიატის სახელოვნო პოლიტიკა

(მომხსენებელი ამხ. დავით კანდელაკი)

მეოთხე დღის დილის სხდომაზე სახელოვნო პოლიტიკის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დავით კანდელაკმა. სახელოვნო პოლიტიკას,—ამბობს მომხსენებელი, საქართველოში ვერ ექცეოდა საკმარისი ყურადღება უკანასკნელ დრომდე არა იმიტომ, რომ მთავრობას ხელოვნება მიაჩნია უმნიშვნელო მოვლენად ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, არამედ იმიტომ, რომ განათლების დარგში მას გადასაჭრელი ჰქონდა უფრო მნიშვნელოვანი საკითხები. პირველ რიგში მთავრობას უხდებოდა ზრუნვა ჩვენი დაბალი სასკოლო ქსელის გასაფართოებლად საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსაწყობად და შესაფერის სიმაღლეზე დასაყენებლად, და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად. ეხლა, როდესაც ეს საკითხები ასე თუ ისე მოგვარებულია და გამზადებულია ნიადაგი ფართო კულტურული მშენებლობის საწარმოებლად, მთავრობა დღის წესრიგში აყენებს ხელოვნების საკითხების გეგმიან მოწესრიგებას.

პირველ ყოვლისა, საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სამხატვრო პოლიტიკის სფეროში მთავრობა ვერ დაადგება ამა თუ იმ ჯგუფის მფარველობის გზას. იგი მოვალეა თანაბრად ხელი შეუწყოს ყველა ჯგუფებს, როგორც ლიტერატურაში, ისე თეატრის დარგში, თუ კი ისინი იდეოლოგიურად მისაღები არიან და არ ეწინააღმდეგებიან ჩვენი პოლიტიკის სამხატვრო ხაზს. ამ თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა მთავრობა უკანასკნელ დრომდე. იგი ყოველმხრივ ეხმარებოდა ჩვენი ხელოვნების ყველა დარგებს და ცდილობდა მტკიცე მატერიალურ ბაზაზე დაემყარებია მათი შემოქმედება. მთავრობის მიერ ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებები უშედეგოთ არ დარჩენილა და დღეს ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები ხელოვნების ყველა მთავარ დარგებში. მაგალითად, თუ ავიღებთ თეატრს, აქ ჩვენ შეგვიძლია თავი გამართლებულად ჩავთვალოთ. თეატრი უკვე აშკარად დაადგა იმ გზას, რომელიც მას ჩვენს სინამდვილეს—თანამედროვეობას უახლოვებს. ამ საქმეს მხოლოდ აბრკოლებს დრამატურგიის კრიზისი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რუსეთმა შესძლო ამ კრიზისიდან თავის დაღწევა, მან უკვე მოგვცა თანამედროვე რევოლიუციონური პიესები. ქართულმა თეატრმა წარმატებით გადმოიღო ისინი, მაგრამ ეს საქმე არ არის, მართალია რევოლიუციონური ნაწარმოები, ყოველთვის ინტერნაციონალური და ყველა მშრომელისათვის ადვილი გასაგებია, მაგრამ ჩვენ ცხოვრებას, ჩვენს რევოლიუციონურ წარსულს აქვს თავისებური ხასიათი, რომლის მხატვრული ასახვა უფრო მეტ ემოციონალურ ზეგავლენას იქონიებს ჩვენს მშრომელ მასაზე. სწორედ ამას უნდა მიაქციოს ყურადღება ჩვენმა მწერლობამ, რომელმაც ჩვენს თეატრს უნდა მიაწოდოს თანამედროვე პიესები, რაც ჩვენს თეატრს აუცილებლად გამოიყვანს რეპერტუარის კრიზისიდან და მკვიდრ საფუძველზე დააყენებს მის შემდგომ განვითარებას. მხოლოდ თანამედროვე რეპერტუარით აღჭურვილ თეატრს ეყოლება მაყურებელი, რასაც ნათლად ამტკიცებს თბილისის თეატრების უკანასკნელი დადგმები, რომელსაც დიდძალი მუშა მაყურებელი ესწრება.

უდავოა, რომ სახელოვნო ორგანოების მიერ ჩვენს თეატრებს სათანადო ხელმძღვანელობა არ ჰქონია, მაგრამ დაწინაურება მაინც აშკარაა—არა მარტო ცენტრში, არამედ ცენტრს გარეთაც. მაგალითად, ბათომსა და ქუთაისში. თუ ახალი რეპერტუარი არა გვაქვს, ეს იმას არ ნიშნავს, უკუვაგდოთ სავსებით ძველი რეპერტუარიც. საჭიროა ძველი პიესების შერჩევა და დანაწილება იმის მიხედვით, თუ რა გამოადგება ქალაქს და რა სოფელს.

რაც შეეხება სამხატვრო დაწესებულებათა და კერძოთ თეატრების მმართველობის ორგანიზაციულ ფორმას მიმდინარე წლიდან იგი საფუძვლიანად შეცვლილია. თეატრებს ენიჭებათ ერთგვარი ავტონომიური უფლება მხატვრული მუშაობის სფეროში. ამ მხრივ არავითარ ჩარევას ადმინისტრაციის მიერ ადგილი არ ექნება.

მთავრობა მხოლოდ ხელმძღვანელობას გაუწევს მათ იმ მხრივ, რომ ისინი დაუახლოვონ ჩვენს თანამედროვეობას, გახადონ თანამედროვე ეპოქის ამსახველი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავრობა თეატრს დაავალებს და აიძულებს, რომ დადგას მაინც და მაინც ესა თუ ის პიესა. იგი მისცემს მხოლოდ მას რეპერტუარის საერთო სქემას, რომლის ფარგლებშიაც უნდა გაიშალოს თეატრის მუშაობა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება რა კერძოთ ოპერას, ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მასზე დიდ თანხებს ხარჯავს, მან ვერ შესძლო რუტინიდან თავის დაღწევა. თუ ოპერამ თავისი მხატვრული მუშაობა იმდენად არ გააუმჯობესა, რომ მიიზიდოს მაყურებელთა ფართო მასსა, თუ მან ვერ შესძლო თავისი საშუალებებით თავისი ხარჯების დაფარვა, მთავრობა იძულებული გახდება ხელი აიღოს მის დახმარებაზე. შემდეგ მომხსენებელი ეხება სამხატვრო განათლებაზე და ამბობს, რომ საამისოდ ჩვენ გვაქვს სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია და მუსიკალური ტეხნიკუმები. სამხატვრო აკადემია უკანასკნელ წლებში უფრო დაუახლოვდა ჩვენს ცხოვრებას, მისი მუშაობა დაუკავშირდა ჩვენს მშენებლობას. ეს მუშაობა მომავალში კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს, აკადემიასთან არსებულ სახელოსნოებმა მიზნათ უნდა დაისახოს მუშაკების მომზადება ჩვენი აღმშენებლობისა და მრეწველობისათვის. ამავე დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს საშუალო-სამხატვრო განათლებას, რისთვისაც უნდა მოეწყოს ერთი სამხატვრო ტეხნიკუმი, რომელიც მოამზადებს ახალგაზრდობას ჩვენი სკოლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. პრაქტიკული ამოცანების გარეშე, ჩვენს პირობებში, უაზროა როგორც სამხატვრო აკადემიის, ისე კონსერვატორიის არსებობა. ეხება რა კონსერვატორიას, მომხსენებელი ამბობს, რომ მისი მთავარი ამოცანაა მასწავლებლების მიწოდება ჩვენი პირველი საფეხურის სასწავლებლებისათვის, ხალხურ მელოდიების შეგროვება და დამუშავება და სხვა.

ამხ. კანდელაკის და თოხაძის მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 50 დელეგატმა.

საკურორტო ყრილობა

მეექვსე სხდომა

საკურორტო კლიმატოლოგია

საქართველოს საკურორტო კლიმატოლოგიის შესახებ მოხსენებით გამოდის პროფ. ა. ჯავახიშვილი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კურორტის სამკურნალო თვისებებს ყოველთვის განსაზღვრავს ამა თუ იმ კურორტის კლიმატი. ამ მხრივ საქართველოს კურორტები არაა შესწავლილი და პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგმულ იქნა ამ რამოდენიმე წლის წინათ. მთავარ საკურორტო სამმართველოს დავალებით, მომხსენებელს შეუსწავლია რესპუბლიკის საკურორტო კლიმატოლოგია. ამავე მიზნით მას გამოუყენებია ფიზიკური ობსერვატორიის სხვადასხვა სადგურების ცნობები.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს ჰავის განაწილებას სხვადასხვა კურორტებზე და აღნიშნავს რომ შავი ზღვის სანაპიროებიდან, ერთის მხრივ თრიალეთის ქედამდე და მეორეს მხრივ ქუთაისამდე ყველა კურორტებზე არის ზღვის ხასიათის კლიმატი. მტკვარის ხეობაში, ჰავა უფრო კონტინენტალურია და კახეთისაკენ კი ჰავა ენათესავება დასავლეთ საქართველოს ჰავას. გარდა ამისა, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მთელ რიგ კურორტებზე (აბასთუმანი, ბორჯომი, სოხუმი, გაგრა და სხვა). ზაფხულობით არის შედარებით გრილი ჰავა, ხოლო ზამთრობით კი თბილი, რაც ამ კურორტებს აძლევს დიდ სამკურნალო თვისებებს.

ბორჯომის წყალის სამკურნალო თვისებანი

ბორჯომის წყალის სამკურნალო თვისებათა შესახებ გაკეთებულ იქნა ოთხი მოხსენება. პროფ. ა. ალადაშვილი განმარტავს აღნიშნული წყლის გავლენას კუჭის სეკრეციაზე და აღნიშნავს, რომ შესაფერმა დაკვირვებებმა დაადასტურეს, რომ კუჭის დაავადებებთან საბრძოლველად ბორჯომის წყალს აქვს უდიდესი მნიშვნელობა. წყლით მკურნალობის შემდეგ ავადმყოფთა 60—65 პროცენტი თითქმის სავსებით თავისუფლდება კუჭის სნეულებისაგან.

ექ. ი. კონიაშვილი ყრილობას აცნობს თუ რა შედეგებს მიაღწია მან ბორჯომის წყლის ხანგრძლივი ხმარებით საშარდე ორგანოთა დაავადების მკურნალობაში. ექ. მ. ტყემალაძე ეხება ბორჯომის კურორტის ბალნეო-კლიმატიურ მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ეს კურორტი უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ პირველხარისხოვან კურორტად მთელ ევროპაში.

მეშვიდე სხდომა

მეშვიდე სხდომაზე მოხსენებით გამოდის ამხ. შამშე ლეჟავა, რომელიც ფართოდ ეხება ახლად მოწყობილ კურორტ შოვის ბალნეოკლიმატიურ მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ თავისი სამკურნალო წყაროებით და მდიდარი ჰავით შოვი უნდა ჩაითვალოს პირველ ხარისხოვან კლიმატიურ კურორტად, სადაც ვერ ვითარდებიან ტუბერკულიოზის ბაცილები.

მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აღნიშნული კურორტის კეთილმოწყობას.

ექ. ი. გოგბაძე ყრილობას აცნობს თავის 30 წლის დაკვირვებებს აბასთუმანში. მას მოყავს დაწვრილებითი ცნობები, თუ რამდენი პროცენტით უმჯობესდება იქ ტუბერკულიოზით დაავადებულთა მდგომარეობა.

ექ. კ. ლორთქიფანიძე თავის ვრცელ მოხსენებაში ეხება „არაზინდოში“ ჩატარებულ დაკვირვებათა შედეგებს 1925—26 წლების ორი საკურორტო სეზონის განმავლობაში. იგი აღნიშნავს, რომ არაზინდოში მყოფ 1103 ავადმყოფიდან 6 კვირის შემდეგ 1001 კაცს დაეტყო ჯანმრთელობის აშკარა გაუმჯობესება, 4 კაცს—გაუარესება და შვიდის ჯანმრთელობა უცვლელად დარჩა. ყველა ეს ავადმყოფები იყვნენ ჭლექით შეპყრობილნი. ავადმყოფებს საშუალოთ მოუმატნიათ წონაში, 4,4 კილოგრამი.

ექ. ა. ინგოროყვა მოხსენებით გამოდის კურორტ ზახმაროს შესახებ. მომხსენებელი ახასიათებს კურორტის ღირსებებს და მოუწოდებს ყრილობას მიიღოს დადგენილება ზახმაროზე გზატკეცილის გაყვანის შესახებ, რითაც კურორტი ჩადგება პირველხარისხოვან კლიმატიურ კურორტთა რიგში.

განათლების განყოფილებათა გამგეების თათბირი

მეორე სხდომა

განათლების ხუთ წლიანი გეგმა

მეორე დილის სხდომაზე განათლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. ქობულია, რომელმაც კონფერენციას გააცნო განათლების ხუთწლიანი გეგმა სენაკის მაზრისათვის. შეეხო რა პროფტეხნიკური განათლების პერსპექტივებს, მომხსენებელმა განაცხადა, ამ დარგში გეგმის შედგენას აფერხებს საქართველოს ყველა კუთხისათვის საერთო ხასიათის ხელის შემშლელი გარემოება, სახელდობრ ის, რომ განათლების განყოფილებას მაზრაში მომქმედ სამეურნეო ორგანიზაციებისაგან არა აქვს ცნობები იმის შესახებ, თუ მეურნეობის რომელ დარგს რამდენი და რა კვალიფიკაციის მუშაკი ესაჭიროება.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. მარიამ ორახელაშვილმა, კ. ქავარავამ, ლლონტმა, კამათის დროს გამოტანილია შემდეგი დასკვნები: ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებით ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდებულ უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვა სახალხო განათლებისათვის; განათლების განყოფილებებმა განათლების ხუთწლიანი გეგმა უნდა შეუთანხმონ მაზრის სამეურნეო ორგანიზაციებს; უნდა დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს გამოარკვიოს ფინანსიური (სასუბვენციო) საშუალებანი ხუთწლიანი გეგმის გასატარებლად; განათლების კომისარიატმა უნდა მიიღოს ღონისძიებები, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში უფრო მეტი ადგილი დაიჭირონ განათლების ხარჯებმა; განათლების განყოფილებებს სასტიკად უნდა აეკრძალოთ სკოლის ახალი ტიპების შექმნა, განყოფილებებმა უნდა მიიღონ აგრეთვე ღონისძიებები, რომ სკოლებში მოხვდეს ღარიბ გლეხობის ბავშვთა, რაც შეიძლება, უფრო მეტი პროცენტი. ტეხნიკუმებისათვის ამა თუ იმ განხრის მიცემის დროს განათლების განყოფილებებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მიწადმოწყობა, ტყის კულტურა და რაიონის მეურნეობის სხვა დარგები. ხუთწლიანი გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმძღვანელოების უფასო მიწოდება უღარიბეს ბავშვებისათვის და ფასების შემცირება სახელმძღვანელო წიგნებზე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე სამკითხველოს მუშაკთა ხელფასის გათანაბრება სოფლის მასწავლებლების ხელფასთან. ხუთწლიანი გეგმის გარეშე არ უნდა დარჩეს პოლიტგანათლების განვითარება. სკოლების გახსნა ასაკგადაშორებულ ახალგაზრდობისათვის, ხელფასის მომატება სარაიონო სკოლების მასწავლებლებისათვის, ისტორიულ ძეგლებისა და სიძველეთა ნაშთების დაცვა და სხვა. რომ ხუთწლიანი გეგმის წარმოდგენის ვადა უნდა განისაზღვროს ერთი თვით,—1-ლი მარტიდან 1-ლ აპრილამდე.

ღარიბ გლეხობის ფონდი

ა.-კ. სახკომსაბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო ბანკის მიერ წარდგენილი ინსტრუქცია ღარიბი გლეხობის ფონდიდან კრედიტების გაცემის შესახებ.

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში ღარიბი გლეხობის კრედიტების მისაცემად შექმნილია სპეციალური ფონდი, რომელიც შესდგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებისაგან, სას.-სამ. ბანკის წლიურ მოგების ანარიცხებიდან და სხვა შემოსავლისაგან.

ამ ფონდით განსაკუთრებული შეღავათიანი საკრედიტო დახმარება უნდა გაეწიოს ამიერ - კავკასიის უღარიბეს გლეხობას, რომელიც დაკავშირებული არის უშუალოთ სასოფლო მეურნეობასთან (შინამრეწველობა და სას. მეურნეობა).

სესხი გაიცემა მხოლოთ მეურნეობის განვითარების მიზნებისათვის და მიეცემა როგორც სხვადასხვა შრომის კოლექტივებს (კოლმეურნეობა, სამანქანო ამხ-ბა და სხ.), რომელშიაც გაერთიანებულია სოფლის ღარიბი მოსახლეობა, აგრეთვე ღარიბი გლეხების ჯგუფებს და ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეობათ.

ინდივიდუალურ მეურნეობათათვის გადადებულია მთელი ფონდის 30—40 პროცენტი. სესხი გაიცემა მხოლოთ მიზნობრივი დანიშნულებით და შემდეგი მიზნებისათვის: მუშა-საქონლის, ჯიშიან საქონლის, სასოფლო-სამეურნეო იარაღ - მანქანების, თესლეულობის, მიწის ხელოვნურ სასუქის და შინამრეწველობისათვის საჭირო ხელსაწყოს შესაძენათ, სპეციალურ კულტურათა გასაშენებლათ და სასოფლო - სამეურნეო ნაგებობათა ასაშენებლათ.

ინდივიდუალურ მეურნეობათ სესხათ მიეცემა არა უმეტეს 200 მანეთისა, ხოლო კოლექტიურ მეურნეობათ არა უმეტეს 4.000 მანეთისა.

წლიური სარგებელი დაწესებულია 2,5 პროცენტის რაოდენობით. სესხის გაცემა იწარმოებს მხოლოთ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით.

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს ევალებათ გამოსცენ დადგენილებები ღარიბი გლეხობის ფონდის შექმნის და ამ ფონდიდან კრედიტების გაცემის წესების შესახებ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4

ქალაქ თბილისის და მისი რაიონების [illegible]

ქალ. თბილისი № 4 1928 წ. 22 თებერვალი

1

ა. წ. 25 თებერვალს მუშურ-გლეხურ წითელი არმიის ათი წლის თავის და საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლისთავის აღსანიშნავად დილის 11 საათსა და 30 წუთზე რუსთაველის პროსპექტზე ვნიშნავ თბილისის გარნიზონის ჯარების აღლუმს.

აღლუმში მონაწილეობას მიიღებენ მუშათა და პროფესიონალური ორგანიზაციები.

2

აღლუმს სარდლობა გაუწიოს მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის სარდალმა ამხ. გითოგაძემ.

3

აღლუმს მიიღებს არმიის სამხედრო რევოლიუციონური საბჭო.

4

აღლუმში მონაწილეობა მიიღონ გარნიზონის ყველა ნაწილებმა მთლიანი შემადგენლობით და დაიწყონ ასეულთა რაზმების ხაზში ფრონტით მუშათა სასახლისაკენ და მარჯვენა ფლანგით სასტუმრო „ორიანტი“-ის პირდაპირ, შემდეგი წესრიგით: ჩამოთვლილია ნაწილები).

შტაბისა და არმიების სამმართველოთა და აგრეთვე გარნიზონის დაწესებულებათა, მთელი უფროსთა შემადგენლობა შეიკრიბოს 25 თებერვალს, დილის ცხრა საათისათვის მოსკოვის ქუჩაზე ყოფილ „ზემელის“ აფთიაქის პირდაპირ და კავკასიის წითელდროშოვან არმიის მომარაგების უფროს ამხ. რუდნევის სარდლობით მონაწილეობა მიიღოს აღლუმში, რისთვისაც დაიწყოს № დივიზიის უკან თბილისის საკომენდატო სამმართველოს საჯარიმო-საყარაულო ნაწილის უფროს ამხ. მესხის მითითებით.

ტანსაცმელის ფორმა აღლუმისათვის არის —საყარაულო. კავალერია და არტილერია გამოყვანილ იქნას ცხენებით, ტეხნიკური ჯარები—მატერიალურ ნაწილებით.

ამა ბრძანების მეხუთე პარაგრაფში დასახელებულ სამხედრო ნაწილების ყველა სარდლებმა ა. წ. 25 თებერვალს 9 საათ. და 30 წუთზე გამოგზავნონ ქალაქის კომენდატის სამმართველოში ორ-ორი მოხაზე და შტაბების უფროსების თანაშემწეები (ადიუტანტები) სამწყობრო ბარათებით კომენდატის სამმართველოს საჯარიმო-საყარაულო ნაწილის უფროს ამხ. მესხის განკარგულებაში.

ქალაქის მილიციის უფროსმა 25 თებერვლის დილის რვა საათიდან შესწყვიტოს ყოველგვარ ეტლების მოძრაობა ქალაქში (მორიგ მანქანების გარდა) და ნაწილების და მუშათა ორგანიზაციების შეკრების შემდეგ დახუროს რუსთაველის პროსპექტის გადამკვეთი ქუჩები.

აღლუმის ადგილისაკენ მოძრაობის დროს სამხედრო ნაწილებმა დაიკავონ ქუჩის მარჯვენა მხარე, მარცხენა მხარე კი დასტოვონ მუშათა ორგანიზაციებისათვის.

სამხედრო ნაწილები აღლუმის ადგილზე მივიდნენ საომარი და საშეფო დროშებით და ორკესტრებით და დაიწყონ ქალაქის კომენდატის სამმართველოს საჯარიმო-საყარაულო ნაწილის უფროს ამხ. მესხის მითითებით.

№ ქვეითა სკოლა გამოცხადდეს არმიის დროშებით, რისთვისაც სკოლის უფროსმა იზრუნოს მათი თავის დროზე მიღებისათვის.

აღლუმის დაწყობა დამთავრდეს ათ საათსა და 50 წუთისათვის.

შენიშვნა: საზეიმო მარშით გავლისათვის ყველა სამხედრო ორკესტრები გადადიან გარნიზონის კაპელმეისტერ ამხ. დოლენკოს განკარგულებაში, რომელმაც გააერთიანოს და უხელმძღვანელოს ორკესტრებს.

№ საავიაციო რაზმმა 10 საათსა და 30 წუთზე აწარმოოს ფრენა ქალაქზე.

სამკურნალო დახმარების მისაწოდებლად აღლუმის დროს, არმიის სამხედრო-სანიტარულ სამმართველოს უფროსის განკარგულების თანახმად, № ცალკე მესანგრეთა ბატალიონის ყაზარმებში მოეწყოს განსაკუთრებული სანიტარული პუნქტი.

აღლუმის დამთავრებისა და საზეიმო მარშით გავლის შემდეგ ჯარები დაიშალონ ყაზარმებში.

გარნიზონის უფროსი მაიორ ალაფუზოვ.

ქალაქ თბილისის და მისი რაიონების კომენდანტი აბაშიძე.

აგრი-კულტურულ ღონისძიებების გასაძლიერებლად

საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიას დავალებული აქვს წარადგინოს შრომის და თავდაცვის საბჭოში მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომსაბჭოებთან შეთანხმებული მოხსენება ანარიცხების დაწესების შესახებ სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებებში გადასამუშავებელ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე და დამამზადებელ ორგანიზაციების მოგებაზე; ეს ანარიცხები გადადებული უნდა იქნეს აგრიკულტურულ ღონისძიებების გასაძლიერებლად და სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობის საწარმოებლად.

ამის გამო ამიერკავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაავალა ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას აცნობოს საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიას ის ძირითადი დებულებები, რომელთა მიღებასაც სთვლის იგი საჭიროდ.

შესაძლებლად არის ცნობილი ეს ანარიცხები დაწესებული იქნეს შემდეგი რაოდენობით: 1 პროც. ბამბის ძაფზე, ბამბის თესლზე, ნედლ აბრეშუმზე, ზეთის სახდელ ნედლეულზე და ღვინოზე; 0,5 პროცენტი—თამბაქოზე, მატყლზე და ნედლ ტყავზე.

დამამზადებელ ორგანიზაციების მოგებაზე შესაძლებლად იქნა ცნობილი დაწესებული იქნეს ანარიცხები 10 პროც. რაოდენობით ნედლი მასალის თვითეულ ცალკე დარგზე.

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს აზრით, მრეწველობამ ანარიცხები უნდა გაიღოს თვითეული კვარტალის ბოლოს გასულ კვარტალში გადამუშავებულ ნედლეულის ღირებულებიდან. დამამზადებელმა ორგანიზაციებმა კი ანარიცხები მოგებიდან უნდა გაიღონ იმ წესების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია მოგების განაწილების შესახებ არსებულ კანონმდებლობით.

ყველა აღნიშნული ანარიცხები უნდა გაიღონ ადგილობრივ, რესპუბლიკანურ და საკავშირო მრეწველობის ყველა წარმოებებმა, რომლებიც ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მუშაობენ და აგრეთვე ყველა ადგილობრივმა და რესპუბლიკანურმა დამამზადებელმა ორგანიზაციებმა. ყველა ანარიცხებიდან შესდგება ამიერ-კავკასიის მთლიანი ფონდი, რომელიც ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს განკარგულებაში იქნება.

ფონდიდან თანხები გაღებული იქნება ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ სამეცნიერო-გამოკვლევით მუშაობისათვის, ნედლი მასალის გადასამუშავებლად და რესპუბლიკებისათვის დოტაციის მისაცემად აგრიკულტურულ ღონისძიებების გაძლიერებისათვის.

საექიმო დახმარების საქმის რეორგანიზაცია

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმთან შესდგა საგანგებო თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნა თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის ამხ. ი. მამულიას მოხსენება ბინებზე საექიმო დახმარების საქმის რეორგანიზაციის შესახებ.

მომხსენებელმა თათბირს გააცნო საექიმო დახმარების საქმის რეორგანიზაციის პროექტი. ამ პროექტის მიხედვით,—განაცხადა მომხსენებელმა,—განზრახულია ქალაქი დაყოფილი იქნეს 46 საექიმო უბნად, თითო უბანს მიჩნეული ეყოლება თითო ტერაპევტი.

ყველა რაიონებისათვის აგრეთვე მოწვეული იქნება 23 პედიატრი, 8 გინეკოლოგი და 6 დოსტაქარი. თითო საუბნო ექიმ-ტერაპევტს მოუწევს 5.000 სულის მოვლა, ხოლო გარე უბნებში, სადაც მცხოვრებლები გაფანტულია და უბნის რადიუსი დიდია, მოსავლელათ განსაზღვრულ მცხოვრებთა რიცხვი შემცირებული იქნება. ვინაიდან საექიმო დახმარების ახალ წესზე გადასვლის გამო უბნის ექიმს ევალება მცხოვრებლებს გაუწიოს არა მარტო საექიმო დახმარება, არამედ თავის უბანში აწარმოოს პროფილაქტიური მუშაობაც და თვალყური ადევნოს სანიტარულ პირობებს, ამიტომ საუბნო ექიმს ეკრძალება სხვა მუშაობა.

წამლების გაცემა იწარმოებს მხოლოდ იმ აფთიაქიდან, რომელიც ავადმყოფის საცხოვრებელ უბანს ექნება მიჩნეული.

ავადმყოფებს აღარ ექნება უფლება აირჩიონ თავისთვის სასურველი ექიმი, ხოლო საუბნო ექიმს უფლება ეძლევა საჭიროების შემთხვევაში საკონსულტაციოთ მოიწვიოს სხვა ექიმები.

ეპიდემიურ სნების გავრცელების დროს საუბნო ექიმების დროებითი რიცხვი გადიდებული იქნება.

საუბნო ექიმების გამოსაძახებლად საუბნო ამბულატორიაში ჩაწერა იწარმოებს დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე. ამასთან ერთად საუბნო ექიმს უფლება ეძლევა საკუთარ ბინაზედაც აწარმოოს ჩაწერა. ექიმი ვალდებულია ავადმყოფი ინახულოს გამოძახების დღესვე. გამეორებით ნახვის დროს ნიშნავს თვით ექიმი, საჭიროების შემთხვევაში გამოძახება შეიძლება ექიმის დანიშნულ დროზე უფრო ადრეც.

ამბულატორიებთან მოეწყობა ექიმების ღამ-ღამობით მორიგეობა საღამოს 8 საათიდან დილის 8 საათამდე.

საუბნო ექიმს თვიურად მიეცემა 140 მანეთი, ხოლო ის ექიმი, რომელიც სამაგალითოდ მოუვლის თავის უბანს დაჯილდოებული იქნება წელიწადში ერთხელ.

ამასთანა დაკავშირებით განზრახულია საამბულატორიო საექიმო დახმარების რეორგანიზაცია.

შემდეგ მოსმენილი იქნა პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების მიერ გამოყოფილ კომისიის დასკვნები პროექტის შესახებ.

თათბირმა მიზანშეწონილად სცნო წარმოდგენილი პროექტის განხორციელება და სატარიფო-ეკონომ. განყოფილების კომისიის დასკვნების თანახმად პროექტში შეიტანა ზოგიერთი დამატებები და დაადგინა: უბნის ექიმის საცხოვრებელი ბინა მოთავსებული იქნას იმავე უბანში, რომელსაც ის ემსახურება.

უბნის ექიმმა საექიმო დახმარება უნდა აღმოუჩინოს მხოლოდ თავის უბანში მცხოვრებ დაზღვეულს და მის მიერ გამოწერილი წამალი გაცემული იქნეს ქალაქში არსებულ ყველა აფთიაქიდან.

ამას გარდა კომისიამ თათბირზე შეიტანა წინადადება, რათა საუბნო ექიმს დაევალოს ავადმყოფობის მოთხოვნის მიხედვით საკონსულტაციოთ გამოიწვიოს სხვა ექიმი.

ამბულატორიაში ჩაწერა ხდებოდეს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე, ხოლო საუბნო ექიმის ბინაზე გასაწვევად ჩაწერა ხდებოდეს დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

კრედიტი მრეწველობისათვის

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობით, საბჭოთა კავშირის მთავრობამ გაადიდა ამიერ-კავკასიის მრეწველობის გასაფართოებლად გადადებული თანხების რაოდენობა 600.000 მანეთით. ასე, რომ მიმდინარე წელს ამიერ-კავკასია მრეწველობის გასაფართოებლად სამი მილიონი მანეთის მაგივრად მიიღებს 3.600.000 მანეთს.

ამ თანხებიდან აზერბეიჯანს მიეცემა 1.348.000 მანეთი, სომხეთს—890.000 მანეთი, საქართველოს—1.362.000 მანეთი.

საქართველოსათვის გადადებული კრედიტი განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოში ლითონის მრეწველობის გასაფართოებლად გადაიდება—50.000 მანეთი, ქვა-ნახშირის მრეწველობის განსავითარებლად—72.000 მანეთი, სამთო-მადნო საქმის გასაძლიერებლად—57.000 მანეთი., სატყეო მრეწველობის გასაფართოებლად—620.000 მან., საფეიქრო მრეწველობის გასაძლიერებლად—35.000 მანეთი, კვების საქმის გასაუმჯობესებლად—45.000 მანეთი და ტყავის მრეწველობისათვის—20000 მანეთი.

საკავშირო თანხებიდან მიღებული კრედიტის უდიდესი ნაწილი მოხმარდება საქართველოს სატყეო მრეწველობას და საფეიქრო წარმოებას. ჩამოთვლილ მრეწველობებისათვის გადადებული თანხები მოხმარდება მხოლოდ ახალი ქარხნების აგებისა და ძველი ქარხნების გაუმჯობესება-გაფართოების საქმეს.

ამ კრედიტებში არ შედის საქართველოში ქაღალდის დამამზადებელ ქარხნის მოსაწყობი კრედიტები.

ქაღალდის ქარხნისათვის ცალკე შედგენილია საფინანსო გეგმა.

დღეს, 24 თებერვალს, საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში მოწვეულია

თბილ. მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს

საზეიმო სხდომა

ფაბრიკების საბჭოს, ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომებისა და წითელ არმიელთა აქტივთან ერთად

წითელი არმიის ათი წლისა და საბჭოთა საქართველოს შვიდი წლის თავის აღსანიშნავად

მოწვეული არიან ამიერ-კავკასიის და საქართველოს ცენტრ. აღმას. კომიტეტების წევრები.

ცენტრ. აღმ. კომიტეტების და საბჭოს წევრები შედიან დარბაზში თავიანთი მანდატებით, დანარჩენნი განსაკუთრებული ბილეთებით. შესასვლელი ბილეთები დარიგდება რაიონებში დღესასწაულის მომწყობ კომისიის მიერ.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

ორშაბათს, 27 თებერვალს, საღამოს 6 საათზე

თბილისის საბჭოს დარბაზში

შესდგება

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი

დღის წესრიგი:

1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ;
2. გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის შესახებ;
3. ორგანიზაციული საკითხები.

ნ. 670

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი

ქრონიკა

25 თებერვალი უქმე დღეა

შაბათი, 25 თებერვალი შრომის კომისარიატის განმარტებით უქმე დღეა.

5 წლიანი გეგმების შესადგენათ

სხვადასხვა მაზრების წარმოებათათვის ხუთ წლიანი საპერსპექტივო გეგმების შესადგენათ და სამისო შესაფერი ცნობების დასამუშავებლად, ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ სამაზრო აღმასკომებთან მიავლინა ამხ. ა. ფურცელაძე, მ. მირიმანოვი და ა. მიხაილოვი.

აღმოსავლეთის განყოფილება თბილისის საქონლის ბირჟასთან

საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთის შორის ვაჭრობის ხელის შეწყობის მიზნით, თბილისის საქონლის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა დაარსოს და მოაწყოს ბირჟასთან აღმოსავლეთთან ვაჭრობის სპეციალური განყოფილება.

განყოფილება დახმარებას აღმოუჩენს სპარსეთ - საბჭოთა კავშირის და თურქეთ-საბჭოთა კავშირის, ვაჭრობას. აღმოსავლეთის განყოფილების შემადგენლობაში შევლენ დაინტერესებული საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციები და სპარსეთის და თურქეთის ვაჭრები.

თბილისის და ერევნის საბაჟოების ლიკვიდაცია

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. საბაჟოების სამმართველოს მიიღოს ზომები საკავშირო მ. და გლ. ინსპექციის დადგენილების სისრულეში მოსაყვანად თბილისისა და ერევნის საბაჟოების ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს ღვინოები უცხოეთში

სახალხო მამულების ტრესტმა და საქართველოს მეღვინეთა კავშირმა უცხოეთში გაგზავნა საქართველოს ღვინოების საუკეთესო ნიმუშები და კონიაკი, ლიკიორი და კონიაკის სპირტი.

ამას გარდა სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ თებერვალში უცხოეთში გაიტანა 10.000 ვედრო ღვინო. მიღებული ცნობებით, საქართველოს ღვინოებს განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებიან საზღვარგარეთ.

თბილისის აღმასკომში

◆ განათება. აღმასკომი შეუდგა გარე უბნებში ელექტრო ქსელის გაფართოებას.

◆ ყინულის ქარხანა. კომუნ. მეურ. განყოფილებამ დაადგინა გააფართოვოს ქ. სასაკლაოსთან არსებული ყინულის დამამზადებელი ქარხანა.

◆ ტრამვაის ახალი ხაზების გასაყვანად ვაკეში, დიდუბეში და სასაკლაომდე გადაიდო 49.500 მანეთი.

◆ ახალი აბანო. კომუნალური მეურნეობა შეუდგა ახალი აბანოს აგებას ლენინის რაიონში.

◆ სახლებში წყალსადენის გასაყვანად წყალსადენის სამმართველოს გადაეცა 71.958 მან., სახლებში წყალსადენის გაყვანა უმთავრესად იწარმოებს გარე უბნებში.

◆ ტრამვაის სახელოსნოების მუშაობის გასაფართოებლად, ტრამვაის დირექცია აწყობს ახალ მექანიკურ სახელოსნოს.

◆ ცემენტის ქარხანა. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა ააგოს ცემენტის ნაკეთობათა ქარხანა.

მიწსახკომში

◆ ჯიშიან ღორების სანაშენო სადგურისათვის მიწსახკომმა ზუგდიდში გამოყო 5 ჰექტარი მიწა.

◆ სათესლე სიმინდი. ქუთაისის აგრო-პუნქტები შეუდგნენ სათესლე სიმინდის განაწილებას გლეხებს შორის.

◆ ჩაის ქარხანა. მიწსახკომის ცნობით, წელს ზუგდიდის მაზრაში აგებული იქნება ჩაის ახალი ქარხანა.

◆ ვენახების აღდგენის საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ მევენახეობის რაიონებში არსდება საკონტროლო ორგანოები.

◆ აგრო-საბჭოები. მიწსახკომმა დაადგინა ძვირფას კულტურების რაიონებში მოაწყოს აგრონომიული საბჭოები გლეხების, კულტმეურნეობების და სოფლის ახ. სკოლების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

სახ. უნივერსიტეტში

◆ პრ. ი. ყიფშიძის ობლებს სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ გაუდიდა ყოველთვიური დახმარება.

◆ სტუდენტების გამორიცხვა. სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ დაუშვებელ ყოფაქცევისათვის უნივერსიტეტიდან გამორიცხა 25 სტუდენტი.

კრებები და მოხსენებები

◆ დამცველთა კოლეგიაში. კვირას, 26 თებერვალს დილის 11 საათზე დანიშნულია დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნება პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება.

სხვადასხვა

◆ ნაპირების გამაგრება. დამთავრდა ფოთში მდინარე კაპარჭინის ნაპირების გამაგრება, რაც წყალთა სამმართველოს ცნობით, დაჯდა 133 ათასი მან.

◆ თამბაქოს ტრესტის ქარხნები წელს დაამზადებენ 1.760.000 ათას ცალ პაპიროსს და 200.000 გირ. მოსაწევ თამბაქოს.

◆ „სოფლის კავშირს" გადაეცა ბეწვეულისა და ჯაგარის დამზადების საქმე.

◆ საპაიო გადასახადი. ცეკავშირს განზრახვა აქვს საპაიო გადასახადი გაადიდოს: სოფლად 7 მანეთამდე და ქალაქად 10 მანეთამდე.

◆ რედაქციამ მიიღო ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ სავაჭრო პალატის ბიულეტენი № 1—2.

◆ საქართველოს რემედასის ცეკა იწვევს მსურველთ მონაწილეობა მიიღონ რემედასის [illegible] ნიშნების დამზადებაში. პირობების შესახებ მსურველებს შეუძლიათ მიიღონ ცნობა, რემედასის საქართველოს ცეკაში, ლენინის ქუჩა № 29.

განცხადებები მიიღება ა; წ. 28 თებერვლის დღის 12 საათ.

ჩაუბარებელი დეპეშები

ლაგოდეხიდან—ცინცაძეს, სუფსიდან—თაყაძეს, ჰრებალოდან— ჭელიძეს, ოდესიდან—ნიკიფოროვს, ბათომიდან—გამყრელიძეს, სოხუმიდან—მაისურაძეს, ტაგანროგიდან—ავეტისოვს.

ხელოვნების ქრონიკა

მომღერალ მუხტაროვის მოწვევა

სახელმწიფო ოპერის დირექციამ საგასტროლოთ მოიწვია ცნობილი მომღერალი ქალი ფატუმ-ხანუმ მუხტაროვა, რომელიც დიდი წარმატებით მღეროდა რამდენიმე სეზონის განმავლობაში თბილისში.

მომღერლის პირველი გამოსვლა დანიშნულია 29 თებერვლისათვის ოპერა „კარმენში".

◆ შაბათს, 25 თებერვალს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი".

◆ მუშათა ახალ კლუბში დღეს ადგ. დრ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „სოფლის მგლები".

◆ ცირკში შაბათს და კვირას დილით გაიმართება საბავშვო წარმოდგენა ა. დუროვის მონაწილეობით.

◆ წითელ-არმიელთა კლუბში დღეს გაიმართება დიდი საღამო.

სასამართლო

ერთი ჭიქა ღვინის გულისთვის

ლევან გაბისონია ქვემო-ჭალის (გორის მაზრაშია) რაიონულ მილიციის უფროსი იყო.

გასული წლის აგვისტოში მან თავისი რევოლვერის კონდახით სიცოცხლეს გამოასალმა ადგილობრივი მცხოვრები დავით ხუციშვილი.

მოხდა ეს შემდეგნაირად.

ხუციშვილი წითელ სასადილოში პურსა სჭამს თავის ამხანაგებთან ერთად. მეორე მაგიდას უზის მოსადილეთა ერთი ჯგუფი. ამ ჯგუფის სახელით დავით ხუციშვილი დგება და მილიციის უფროსს სთხოვს მათ მაგიდაზე ერთი ჭიქა ღვინო მიირთვას.

გაბისონია კატეგორიულ უარს ეუბნება ხუციშვილის კამპანიას.

ხუციშვილი ძალზე ნაწყენი რჩება და შეურაცხმყოფელ სიტყვას წამოისვრის გაბისონიას მისამართით.

— ბევრჯერ მიპატივებია შენთვის ასეთი თავხედობა, მაგრამ ეხლა მე მკითხე შენი „პატივისცემა",—გაბრაზებით ეუბნება გაბისონია ხუციშვილს.

— რას მიზამ?

— რას გიზამ და „ვირის აბანოში" ამოგაყოფიებ თავს.

— რაღას უყურებ?

— დაიცადე ჯერ პურის ჭამას მოვრჩე!

მორჩა გაბისონია პურის ჭამას და უბრძანა ხუციშვილს თან გაჰყოლოდა.

— დაიცა კაცო, მე ხუმრობდი მეგონა. რა დამიშავებია. სუფრაზე მიგიპატიჟე, პატივი მინდოდა მეცა. ამისთვის მაპატიმრებ? ვერ ყოფილხარ პურმარილის კაცი.

— შენს პურმარილსაც რა ვუთხარი მე! წამოდი ეხლავე.

ხუციშვილი გაძალდა. არ მიჰყვება. გაბისონია ხელს ჰკრავს გამოაგდებს სასადილოდან.

— მოითმინე, ამხანაგო, ხელის კვრის უფლება არ გაქვთ. მეც ადამიანი ვარ. დარტყმაზე ნუ მივა საქმე.

— წადი შენი...

ხუციშვილი არ დაიძრა ადგილიდან.

გაბისონია რაღა „ვაჟკაცია", თუ ერთი კაცი ვერ დაიმორჩილა. ტყვილა აწყვეტინებს წელს ამოდენა რევოლვერს!

გაბისონიამ ამოიღო ბუდიდან ბრაუნინგი, შეატრიალა და კონდახით ისე მაგრად ჩაარტყა კისერში ხუციშვილს, რომ უკანასკნელს სული არ დაჰყოლია მიწაზე.

გაბისონია გაასამართლა გორის სამაზრო სასამართლომ.

გაბისონიას მიესაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა. ამნისტიის ძალით დახვრეტა შეეცვალა ათი წლის პატიმრობით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდადებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუმცირა 7 წლით.

„ნელ-ნელა იხარჯავდა"

გერასიმე გასპაროვი „იზვესტია"-ს გამომცემლობის ა. კ. კანტორის თანამშრომელი იყო. მის თანამდებობას ეწოდებოდა აგენტი-დამტარებელი.

აგროვებდა ხელისმომწერლებისაგან ფულს, ებარა ქვითარები, რომლითაც ანგარიში უნდა გაესწორებია კანტორასთან.

გასპაროვი ხელისმომწერს ქვითარში უწერდა სრულ თანხას, რომელსაც ის იხდიდა, ხოლო ტალონში შეჰქონდა მესამედი, თუ მეოთხედი მიღებული თანხისა, დანარჩენს კი თვითონ ითვისებდა და ნელ-ნელა ხარჯავდა.

ხელისმომწერთა საჩივრებმა ეჭვი დაბადა გასპაროვის კეთილსინდისიერებაში, გამოირკვა ეს საქმე და გასპაროვი დაპატიმრებულ იქნა.

მას მოესწრო 108 მანეთის გაფლანგვა. სასამართლომ გერასიმე გასპაროვს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით მანვე უნდა გადაუხადოს კანტორას გაფლანგული თანხა.

შემთხვევები

7 კაცის დაკარგვა

15-დან 20 თებერვლამდე უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ: გერმანე ათაშისძე მამული, 14 წლისა (მცხ. ტატიანის შესახ. № 14); თედორე მიხეილისძე ხასიევი (19 წლისა); ალექსი გრიგოლისძე გიდოსიანცი, 15 წლისა (მცხ წყალსადენის ქუჩა № 9); კარაპეტ გრიგოლისძე გიდოსიანცი, 16 წლისა, მამიკონ ოგანესისძე ხუნიანცი, 12 წლისა (ავსტანსკის შესახ. № 2); კალინის ქუჩა № 107). სამსონ აპკარისძე ოგანოვი, 40 წლისა და არტაშ სტეფანესძე მანუკოვი, 47 წლის (მცხ. კალინინის ქუჩა № 107).

ქურდების დაპატიმრება

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მუშეხ სერგოსძე ალიჯანოვი, გრიგოლ სამუელისძე პოვოლოცკი, ნიკოლოზ ნიკოლოზისძე ლიკვინოვი და ვლადიმერ ალექსანდრესძე ჯღამაძე, რომლებსაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

უბედური შემთხვევა

გუშინ, დღისით რკინის გზის საუბნო პროფკავშირის ეზოში (კლარა ცეტკინის ქუჩა № 200) უეცრად მოკვდა ფურგუნში შებმული ორი ცხენი. როგორც გამოირკვა, თოვლის გამო გუშინწინ ღამით გაწყვეტილა ელექტრონის მავთული; მავთული ჩაფლულა თოვლში. ცხენებმა ფეხი დააბიჯეს მავთულს, რამაც გამოიწვია მათი სიკვდილი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

გვამის პოვნა

გუშინ, დღისით პირველ სამილიციო რაიონის თანამშრომლებმა ტერ-მუკასოვის და ბაიზერის ქუჩის კუთხეში მდებარე ხიდის ქვეშ იპოვნეს ახლათ დაბადებულ ბავშვის გვამი.

ვისია ნივთები?

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ქალისა და კაცის ნაქურდალი ტანთსაცმელები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 5.

ბიბლიოგრაფია

მამია ორახელაშვილი—საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის შედეგები

სახელგამი, 1928 წ.

ამხ. მამია ორახელაშვილმა თავის მოხსენებაში, თბილისის პარაქტივის კრებაზე, ხაზი გაუსვა იმ ისტორიულ მნიშვნელობას, რომელიც აქვს მე-15 ყრილობას კომუნისტური პარტიის ისტორიაში. მე-15 ყრილობაზე ჩვენი პარტიის მიერ დასახული იყო მეურნეობის სოციალისტური განვითარების ხუთწლიანი გეგმა და ამასთანავე, როგორც იდეოლოგიურად, ისე ორგანიზაციულად ბოლო მოეღო ტროცკისტული ოპოზიციის იერიშებს.

ოპოზიციამ, თავისი გაავთრებული ბრძოლით პარტიის წინააღმდეგ, დააყენა თავის პარტიის გარეშე და ამდენად მოექცა მუშათა კლასის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ობიექტურად დღეს იგი უკვე გადაიქცა კონტრ-რევოლუციონურ ძალად, რომელსაც ეყრდნობა საერთაშორისო სოციალ - დემოკრატი, თავის ბრძოლაში პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ; როგორც აღნიშნავს ამხ. ორახელაშვილი „ტროცკისტული ოპოზიციის განადგურება ჩვენში, მისი ბუნების გამომჟღავნება მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე — ეს ნიშნავს ყველა იმ წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტების დაძლევას, რომლებიც, როგორც საწამლავი, ჩაეწვეტენ ზოგიერთ ადგილას კომინტერნის ორგანიზმში".

ამხ. ორახელაშვილი ჩერდება რა ვრცლად საერთაშორისო მდგომარეობის საკითხების განხილვაზე, აღნიშნავს რომ მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმმა წარმოების სფეროში უკვე მიაღწია ომის წინადროინდელ დონეს და მთელ რიგ დარგებში კიდევაც გასცდაას; მიუხედავათ ამისა, მაინც არსებობს მთელი რიგი ისეთი ეკონომიური და პოლიტიკური საკითხები, რომელთა გადაჭრა კაპიტალისტური სისტემის პირობებში ყოვლად შეუძლებელია. ეს არის ბაზრის საკითხები, მსოფლიოს ხელ - ახალი დაყოფის საკითხები და სხვა. კაპიტალისტური წარმოების განვითარება პროლეტარიატისა და საერთოდ მშრომელი მასების გაღარიბების ხარჯზე ხდება. კოლონიალური მოძრაობა, რომელიც „საბოლოოდ გადადის რევოლუციის რელსებზე" მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად ძირ-მომპალია კაპიტალისტური სტაბილიზაცია, რამდენად გამძაფრებული ექსპლოატაციის შედეგად, ვითარდება მშრომელი მასების რევოლუციონური თვითშეგნება. განსაკუთრებით კი ამის მაჩვენებელია ჩინეთის რევოლუცია, რომელმაც შეარყია იმპერიალიზმის საფუძვლები აღმოსავლეთში და რომელიც წარმოადგენს მსოფლიო რევოლუციის პროცესის ერთ - ერთ აქტს.

ამ საერთაშორისო მოვლენებთან დაკავშირებით იჭრება ჩვენი ამოცანები. პირველი, ეს ბოლშევიზაციის პროცესი კომინტერნში შემავალ პარტიებისა, მეორე — მასების დაპყრობის მეთოდი, რომელიც უნდა ხდებოდეს ქვევიდან და მესამე ბრძოლა საერთაშორისო სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც გადაიქცა ბურჟუაზიის აქტიურ დამხმარე ძალად, ბურჟუაზიულ სისტემის დამცველად. ამავე დროს ჩვენი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს მშვიდობიანობის პოლიტიკა.

შემდეგ ამხ. ორახელაშვილი გადადის საშინაო მდგომარეობის საკითხებზე და აღნიშნავს, იმ წარმატებას რომელსაც მიაღწია ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ სოციალისტური აღმშენებლობის დარგში. ამხ. მამია ფართოდ აშუქებს მეურნეობის განვითარების იმ პერსპექტივებს, რომელიც დასახა მე-15 ყრილობამ.

რაც შეეხება სოფლად მუშაობის საკითხებს, მთავარი აქ არის მიწის დამუშავების განსაზოგადოებულ ფორმებზე გადასვლა და გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესის დაჩქარება, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი კავშირის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა.

ჩვენი შინაგანი სიმტკიცის აუცილებელი პირობა, ეს მჭიდრო კავშირია მუშებსა და გლეხებს შორის. ჩვენი ხელისუფლების მთელი ყურადღებაც მიმართულია იქით, რომ ეს კავშირი არ შეირყეს.

სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება, ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, რომლის გადაჭრაში ჩაბმულია ფართო მშრომელი მასები. მართალია, ჩვენ სახელმწიფო აპარატს დიდი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ დღეს იმ ენერგიული მუშაობის შემდეგ, რომელიც ჩაატარა მ.-გ. ინსპექციის ცენტრალურმა ორგანოებმა თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, მდგომარეობა გაუმჯობესებულია. სახელმწიფო აპარატს „ჩვენ კი არ მივყავართ, არამედ ჩვენ მიგვყავს იგი". ამხ. ორახელაშვილს ეს მოსაზრება ცხადყოფილი აქვს მთელი რიგი ფაქტებით.

დაბოლოს, ავტორი არკვევს ოპოზიციის საკითხს. ყრილობაზე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გამომჟღავნდა ოპოზიციის წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება, მისი იდეოლოგიური მრწამსი, რომელსაც არავითარი საერთო ლენინიზმთან არა აქვს. პარტიის ყველა წევრისათვის დღეს უკვე ცხადია, რომ ოპოზიციის პრაქტიკული საქმიანობა მიმართული იყო მეორე პარტიის შექმნისაკენ, რომ პარტიასა და ოპოზიციას შორის ლენინიზმის ძირითად საკითხებზე მთელი რიგი პროგრამული ხასიათის უთანხმოებანი წამოიჭრა. ოპოზიციამ თავის ფრაქციული ბრძოლით დაარღვია ლენინური პარტიის ორგანიზაციული პრინციპები. ცხადია, ჩვენი პარტია არ შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ადამიანთა კრებულს, მაშინ ის იქნებოდა უბრალო „გროვა" და არა ორგანიული მთლიანობა. მე-15 ყრილობამ იდეურად განიარაღა და ისტორიის არქივს ჩააბარა პარტიის დეზორგანიზატორები. ისინი, ვინც ვერ შეეგუენ ლენინურ პარტიის ტრადიციებს, პარტიამ საბოლოოდ მოიკვეთა თავის ორგანიზაციიდან. ამით „პარტია დაისვენებს და მთლიანად ჩაებმება იმ მუშაობაში, რომელიც დასახულია მე-15 ყრილობის მიერ".

ამხ. ორახელაშვილის ზემოაღნიშნული ბროშიურა სახელმძღვანელო მასალათ გამოადგება ყველა იმათ, ვინც მოჰკიდებს ხელს მე-15 ყრილობის შედეგების დამუშავებას.

ბ. ნ—ა.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ დაუთმოთ ადგილი ჩემს შემდეგ განცხადებას: გაზ. „კომუნისტი"-ს 12 თებერვლის ნომერში (№ 36), მოთავსებულ რეცენზიას (კრებულზე „პროლეტარული პოეტები ოქტომბერს"), ხელს აწერს „ლიტერატორი". ვაცხადებ, რომ ამ შემთხვევაში ეს ფსევდონიმი მე არ მეკუთვნის, თუმცა ამ ფსევდონიმით ვსწერდი მე თქვენს გაზეთში რეცენზიებს ლიტერატურულ თემაზე.

ვ. ლუარსამიძე.

რედაქციისაგან. ვადასტურებთ, რომ ჩვენი გაზეთის № 36, მოთავსებული რეცენზია არ ეკუთვნის ამხ. ლუარსამიძეს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კ. პ. თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 24 თებერვალს, საღამოს ექვს საათზე შესდგება ს. კ. პ. (ბ) არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იუწყება არსენალის რაიონში 25 თებერვლის დემონსტრაციის ჩატარების გეგმას.

1) დილის ცხრა საათზე წარმოებები და დაწესებულებები თავს იყრიან ადგილებზე, საიდანაც დილის 10 საათზე გაემგზავრებიან რაიკომის შენობისაკენ.

2) დემონსტრაციის წინა ნაწილი სდგას რაიკომთან.

3) წყობის წესრიგი ასეთია:

მარცხენა მხარე: (პლეხანოვის პროსპ., აპოლოს მხარეზე) პიონერები—250 კაცი, მეშვიდე, მერვე და მეცხრე ჯგუფები და ტეხნიკუმების მსმენელები.

მარჯვენა მხარე: (პლეხანოვის პროსპ., აპოლოს მხარეზე) კომუნალურ მეურნეობის მუშაკები, მელითონეები, გემო-კვების მუშაკები, ტრანსპორტზე მომუშავენი.

მარცხენა მხარე: (კარლ მარქსის ხიდის მხარეზე) განათლების მუშაკები, საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურენი, ხის დამამუშავებელნი, შინამრეწველნი-ხელოსნები.

მარჯვენა მხარე: (კარლ მარქსის ხიდის მხარეზე) მკერავები, მედსანშრომის მუშაკები, მოტო-სექცია.

სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პარტკოლექტივის კომუჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 24 თებერვალს, საღამოს ექვს საათზე უნივერსიტეტის მთავარ შენობაში მოწვეულია პარტიისა და ახ. კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 24 თებერვალს, დილის სრულ ათ საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) ამხ. კვირიკაძესთან.

ვაგან იოსებისძე პიტოევი, დიმიტრი ალექსანდრესძე ჯალიაშვილი; ალექსანდრე იაგორისძე სირბეულიძე, ილია ლავრენტისძე კილაძე, ნესტორ ივანესძე ესაკია, ალექსანდრე ივანესძე დუმბაძე, იაკობ იარაკლისძე კატანოვი, კირილე ბიჩისძე ჩხარტიშვილი, ალექსანდრე იოსებისძე დუდუჩავა, ალეკპერ ალისძე გეიდაროვი, ლაზარ ისაკისძე ფიშერი, მუშეგი კონოვისძე ალაგარდიანი, დავით ივანესძე ვაშაკიძე, სერგო ივანესძე ამაღლობელი, აკაკი თედორესძე კახაძე, ვასილ კაპიტონისძე ახთიძე, ცალი მხეილისძე ზილენკი, აკაკი მაქსიმესძე ჭყონია, მიხეილ მიხეილისძე ხრისტოლიუბოვი, ჰოანეს მირზასძე ოსიპოკა, გრიგოლ ქრისტეფორესძე ბაბაევი, ნიკოლოზ მალაქიასძე ცხაკაია, ანდრია ექვთიმესძე კვაჭაძე, ნიკოლოზ ივანესძე კალატოზოვი, ალექსანდრე თეოფანესძე ნადირაძე, ალექსანდრე გიორგისძე ჯაფარიძე, სიმონ ასლანისძე გოდაბრელიძე, ნოე ვლადიმერისძე ჯინჭარაძე, სამსონ ალექსანდრესძე ოჩიგავა, ვლადიმერ ფილიპესძე მაქსიმოვი, ივანე ალექსისძე ტარასოვი, ვაგან ნიკოლოზისძე მუსაელიანი, გრიგოლ თედორესძე თარხანოვი, ქრისტეფორე ავეტისძე სეროპიანი, ელიზბარ ასლანისძე კალანდაძე, ტროფიმე ივანესძე ლიტვიშკო, იაკობ ვულფისძე ესტიანოვი, მარე ვლადიმერისძე დიანლო, ალიოზ ალიოზისძე რონზანი, სტეფანე მიხეილისძე აკიმოვი, გიორგი გერასიმესძე სალუქვაძე, ფილიპე მანუჩარისძე ჭანტურია, ალექსანდრე დიმიტრისძე კორცხია, ივანე კუზმასძე გურინი, ანდრია ეგნატესძე სუდორგინი, პიმენ ივანესძე სოხაძე, კონსტანტინე საბასძე ვაშაკიძე, ეპიფანე ალექსანდრესძე სიამაშვილი, ალექსანდრე ექვთიმესძე სტურუა, შალვა პეტრესძე სალდაძე, ილია სიმონისძე შონია, კალისტრატე კირილესძე გველესიანი, კორნეი ფროლისძე ფედოტოვი, გიორგი ვალისძე მონტინი, აშოტ გერასიმესძე სარქისოვი, ნიკოლოზ ექვთიმესძე რედკოზუბოვი, პავლე პეტრესძე რიაბენკოვი, მაკარი მოსესძე გურშტეინი, ალბერტ ემანუილისძე კიბლერი, ლევან დავითისძე ხახანიანი, ელიზბარ გიორგისძე ხუციშვილი, ალექსანდრე ნიკოლოზისძე ქუთათელაძე, ათანასე ლევანისძე ესაკია და მიხეილ ვასილისძე ჩუკაევი.

იურიდიული დახმარება

თომა უგლავას

კითხვა:

ვცხოვრობ სოფ. ლეედში (ქუთაისის მაზრა), მინდა გადასახლება სიღნაღის მაზრაში, მაგრამ ამისათვის საჭირო თანხები არ მომეპოვება. მაქვს სახლი, მარანი, ბეღელი და ოჯახის სხვა საჭირო ნივთები. აგრეთვე ვენახი 3—4 ქცევა და ხეხილები. სულ ეზო იქნება 1 ნახ. ქცევა. შემიძლია თუ არა ზემოაღნიშნული მამული მივყიდო ისეთ პირს, რომელსაც არ აქვს სახლკარი და სამყოფი მიწა, ისე რომ სახლის გადატანა არ დასჭირდეს იმას, ვინც მას იყიდის? თუ გაყიდვა არ შემიძლია, მივიღებ თუ არა რაიმე დახმარებას მთავრობისაგან და რა სახით:

პასუხი:

საერთოდ მიწის გაყიდვის უფლება არა გაქვთ მაგრამ თანახმად მიწის კოდექსის მე-170 მუხლისა თქვენ შეგიძლიათ მოახდინოთ ძველ ბინადრობაზე ქონების სრული ლიკვიდაცია (შენობებისა, ნაშეიისა და მიწაში შეტანილი გაუმჯობესებისა) სამი წლის განმავლობაში დღიდან ახალშენში დაფუძნებისა, ხოლო თანახმად ამავე კოდექსის მე-23 მუხლის შენიშვნისა (ახალი რედაქციით) თქვენ შეგიძლიათ სასოფლო-სამეურნეო შენობისა და ნაგებობის გაყიდვა მხოლოდ იმ პირზე, ვისაც საადგილ მამულო ორგანოთა მიერ, არსებული წესისამებრ, გადაეცემა ის მიწა, რაზედაც აღნიშნული ნაგებობა და შენობაა. ამავე პირისაგან შეგიძლიათ აინაზღაუროთ მიწაში შეტანილი გაუმჯობესება.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 24 თებერვალი

დღეს, 24 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის 10 წლის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შვიდი წლის თავისათვის.

საზეიმო სხდომის ტრანსლიაცია იწარმოებს სახელმწიფო ოპერის თეატრიდან საღამოს 6 საათიდან.

შრომის ბირჟაში

დღეს, პარასკევს, 24 თებერვალს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: თედორე დოლიძე და პორფილე ჟვალაძე.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: გრიგორიანი და ვასილ ბლინოვი.

შედსექციიდან: ნიკოლოზ ჯორბენაძე, ნიკოლოზ გძელიძე, სირანუშ ავალოვი, პროკოფი მაჩანოვი, ლეონინა დალაქიშვილი, ლიდა ზურმუხტიძე, მარია ჯაბაშვილი, პოლინა ცხოძელიძე და ელენე ფხაკაძე.

შრომის ბირჟის მედსექცია უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მიღებულია დამატებითი მოთხოვნილება მედპერსონალზე რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან აგრეთვე საჭიროა როგორც თბილისში, ესე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და მაზრებში ფარმაცევტები-ასისტენტები.

ტერეზა ნიკოლოზის ასული კახიანისა შვილებით ღრმა მადლობას უძღვნის საქ. სახ. კომ. საბჭოს, განათლების კომისარიატს, ჯანსახკომს, სახელმწიფო უნივერსიტეტს, სტუდენტობას, რკინის გზის ყველა დაწესებულებებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომელთაც გაიზიარეს განუსაზღვრელი მწუხარება ძვირფასი ქმრის და მამის

პროფ. **ნიკოლოზ სავლეს-ძე**
კახიანის

გარდაცვალების გამო.

ტ. ს. უ. პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის სამთო დარგის უკანასკნელი კურსის სტუდენტები მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ აბასთუმანში გარდაიცვლა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი მეგობარი, სამთო დარგის სტუდენტი

გოგიტა წერეთელი

1584

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პოლიტეხნიკური ფაკულტეტის საბჭო მწუხარებით იუწყება ამავე ფაკულტეტის საბჭოს წევრის, მე-5 კურსის სტუდენტის, და მინერალოგიის კათედრის პრეპარატორის ძვირფას

გოგიტა წერეთლის

უდროოდ გარდაცვალებას 1582

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის სტ—თა სამეცნიერო ტეხნიკური წრე ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას წრის ერთ-ერთი დამაარსებელის, აქტიურ მუშაკის, პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტის

გოგიტა წერეთლის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს ნაშუადღევის 4 საათ. ქაშვეთის ეკლესიაში. 1581

სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიური კაბინეტი გლოვობს თავისი თანამშრომლის ძვირფასი ამხანაგის და იშვიათი მუშაკის

გოგიტა წერეთლის

უდროოდ დაკარგვას 1579

სანატორიუმ არაზინდოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ მეგობრის

გოგიტა ვასილის ძე წერეთლის

უდროოდ გარდაცვალებას აბასთუმანში ა. წ. 21 თებერვ.
ნ. 668

ღრმათ დამწუხრებული დედა ელისაბედ გიორგის ასული წერეთლისა, ძმა ზურაბ ვასილის-ძე წერეთელი, ბიძები: ყარამან, ნიკოლოზ, პეტრე, გრიგოლ, ვასილ და ადამ გიორგის-ძენი აბდუშელიშვილები აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აბასთუმანში მათთვის დაუვიწყარი

გოგიტა წერეთელი

პანაშვიდი ქვაშვეთის ტაძარში 24 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა მოხდება შორაპნის მაზრის სოფელ მერჯევში.
1575

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარული საბჭოს კოლეგია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ 20 ამა თებერვალს უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი და მეგობარი სან.

ექიმი ალექსანდრე გიორგის-ძე
კიზირია

გამოსვენება პარასკევს, 24 ამა თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან. (ყ. მიხეილის), დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1583

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება მწუხარებით იუწყება განყოფილების იშვიათი მუშაკის და დამსახურებული სანიტარულ

ექიმის ალექსანდრე გიორგის-ძე
კიზირიას

ა. წ. 20 თებერვალს უეცრივ გარდაცვალებას. გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის) 24 თებერვალს, პარასკევს, დღის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 682

ამა თებერვლის 20-ს, უეცრად გარდაიცვალა

ექიმი ალექსანდრე გიორგის-ძე
კიზირია

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს ძმა ანდრია გიორგის-ძე კიზირია მეუღლით მარიამ გრიგოლის ასულით, გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის) პარასკევს, თებერვლის 24-ს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1580

თავზარდაცემული და გაუბედურებული დედა ანასტასია გიორგის ასული დეკანოზიშვილისა, დები: ლიზა დეკანოზიშვილი და დარია კონსტანტინეს ასული ზარნაძისა, სიძე—გიორგი მიხეილის ძე ზარნაძე, ბიძა—ვასილ გიორგის ძე ირემაშვილი თავის ოჯახობით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ, საბუღალტრო კურსების მსმენელ, ყოფ. მასწავლებლის

ალექსანდრე (საშა) კონსტანტინეს ძე
დეკანოზიშვილის

გარდაცვალებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. პანაშვიდი შაბათს, 25 თებერვალს საღამოს 6 საათზე საკუთარ სახლში—ანანურის შესახ. № 6. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე—კვირას, 26 თებერვალს, დღის 12 საათზე. (ე)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ლილოსი მურძაყან ფაღავას ასული კორძაიასი, ვაჟი ბარდღა, ქალიშვილები: გუგულია გველესიანისა, ცაცა უზნაძისა და მეგი ჩხეიძისა, რძალი მართა ესტატე თარხან-მოურავის ასული, სიძეები: ზურაბ ივანეს-ძე გველესიანი, ვანო ნიკოლოზის-ძე უზნაძე და შვილისშვილები: ვახტანგ (კუცა) პორფირეს-ძე გოცირიძე და სხვები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 23 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

პლატონ ბექანის-ძე კორძაია

გამოსვენება საკუთარ ბინიდან (კეცხოველის ქ. № 11), მოხდება კვირას, 26 თებერვალს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. (შ)

ღრმათ დამწუხრებულნი ბებია ოლღა, ბაბუა ლადიმერ, ბიძეები: გრიშა, შალიკო, დათიკო და ბიძინა, დეიდეები: ნინა და თამარა დურმიშიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს საყვარელი

ფათალო შალვას ასული
გურულის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ჭიათურაში ა/წ. 25 თებერვალს ნ. 672

ღრმად დამწუხრებული დავითი და ივლიტა შვილებით: კონსტანტინე, ვერა, ევგენი და ლიუბათი, თედორე და ფედოსია ხოშტარიები შვილებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 22 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

შურა დავითის ასული
ხოშტარია

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ტროცკის ქ. № 10, კვირას, 26 თებერვალს, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 6 საათიდან. 1576

გულდათუთქული მეუღლე ქეთევან გიორგის ასული თავის პატარა შვილებით: ნინა, მარინე და ვასიკოთი ამით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დაუვიწყარ ქმრის და მამის

გიორგი (ჟორჟიკ) ვასილის ძის
მირზაშვილის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად შაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, გადახდილი იქნება გარდაცვალებულის საფლავზე პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 1578

სახკინმრეწვის თეატრები	
აპოლო	პრემიერა „50.000 ფრანკი" ს. ხაიაკავას მონაწ.
არფასტო	გრანდიოზული ფილმი (სვლა ცხენით) მგლების [illegible]
სოლეი	ბასტერ კიტონი ახალ მსოფლიო ფილმში ბნედიანი
დარბაზი	„სპიდ" უკანასკნელი 5 და 6 სერია
ოდეონ	მხატვრული ფილმი „მონასტრის კედლებში" იანოვას და სტრიჟევსკის მონაწილეობით
პროლეტარი (ავლაბარში)	„კაცი რესტორანიდან"

[illegible] მალე საუკეთესო კინოებში „ბრძოლის და გამარჯვების დღეები" 0—14



მოითხოვეთ ახალი წიგნები.

ფ. როდიონოვი — წითელი ფლოტის ათი წელი. ფასი 20 კაპ.
აგრ. ნაკაშიძე — თხილი, მისი გაშენება და მოვლა. გვ. 40, ფასი 25 კაპ.
მისივე — სიმინდის ჩრჩილი. გვ. 16, ფ. 10 კაპ.
გ. პოტჩერი — როგორ მუშაობს ცხენოსანი დამთვალიერებელი. გვ. 38, ფ. 20 კაპ.

ნ. 429
25—15

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება აცხადებს, რომ აღმასკომის შენობაში ოთახი № 352 ა. წ. 24 თებერვლიდან

გაიხსნება მტკვრის ხიდის საკონკურსო პროექტების გამოფენა და ტერაპევტიული პავილიონი

დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე 24, 26, 27 და 28 თებერვლის განმავლობაში

კეთილმოწყობის ქვეგანყოფილების გამგის
ნ. 683 მოადგილე მთავარი ინჟინერი ქურდიანი

სახლი იყიდება

ენგელსის ქუჩაზე (ყოფ. ბებუთოვის ქუჩა) იკითხეთ პუშკინის ქუჩაზე რესტორან „ოლიმპია"-ში ბაგრატთან შუადღის 12-დან 2 საათამდე და 7-დან 9 საათამდე. 1557

ამით ცხადდება, რომ ა. წ. 26 თებერვალს დღის 1 საათ.

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

სამსართულიანი სახლი, მდებარე კომუნალურ ქუჩაზე № 53 (ყოფ. ვორონცოვის ქ. მე-5 კომ-სარ.) სახლი შეიცავს 39 საცხოვრებელ ოთახს. ვაჭრობა დაიწყება 10.000 მანეთიდან ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე აჭარვაჭრობის მაღაზიაში, ბნელი რიგი № 41

2—2 1541 **აჭარვაჭრობის გამგეობა**

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

ექიმი **მეგრაბიანცი**
ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.
ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი აშლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ. საღამოს 5—8 საათ. დილის 11—1 საათ.
სპეციალურად სიფილისით ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქუჩა (ყოფ. კირკის) კუთხე. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიასივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—1

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78 13—1

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდმთავრის ქ.)

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—7

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოვე") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25 1

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68